საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 დეკემბერი **შაბათი** 2011

№291 (13588) ფასი 80 თეთრი



# იგორი: კიდევ 2

# ფეხბურთი არსებობს იმისთვის, რომ ეს ნახო

## ამაღამ რეალი-ბარსაა






ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

EuroBasket SLOVENIA 2013

FIBA EUROPE

12




8 წინათქმა

£4000000



## კიდევ ერთი, თანაც, როგორი ანანიძე არსენალსაც უნდა

2

# კალენდარზე ზამთარია, ცივა, კალენდარში ამბებია, ცხელა

ჩემპიონატი გვაქვს, ვისთან სადარი: ორმაგი ბუღალტერია ვისთან, სად არის?

საქართველოს ჩემპიონატის XVII ტურის წინათქმა 4

ლეგიონერი

# რამდენ გირვანქას იღირებს ჯანო?

## არსენალის მაზანდა

£4000000



ჯანო ანანიძე

სავსებით შესაძლოა, **ჯანო ანანიძემ** მოსკოვის "სპარტაკი" დატოვოს. ადრინდელი ცნობებით, მოსკოველები საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველის სხვა გუნდში იჯარით გაშვებაზე ფიქრობდნენ, მერე კი შევიტყვეთ, რომ ჯანოს ტრანსფერით ლონდონის „არსენალი", „ჰამბურგი" და პირეოსის „ოლიმპიაკოსი" დაინტერესდნენ.

*გუშინ კი* ibtimes.com-*მა ("ინტერნეიშნელ ბიზნეს ტაიმს") გაავრცელა ინფორმაცია, რომ „არსენალი" ჯანო ანანიძეში 4 მილიონ გირვანქას იხდის.*

ინგლისის პრემიერლიგის „არსენალი" მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველ ჯანო ანანიძესთან, რომელიც რუსეთის პრემიერლიგაში შთამბეჭდავი თამაშით გამოირჩა, იანვარში კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

*„19 წლის ანანიძით რამდენიმე ევროპული კლუბია დაინტერესებული, მათში ფავორიტი კი „არსენალია". თუმცა მოსკოვის „სპარტაკის" სპორტული დირექტორი დიმიტრი პოპოვი აცხადებს, რომ კლუბი არც ერთ შეთავაზებას არ განიხილავს მანამდე, სანამ ჯანო 20 წლის არ გახდება.*

*შესაძლოა, თავად ანანიძე მაინც აცდუნოს „არსენალის" წინადადებამ, რომელიც ინგლისური და ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდია.*

*თანაც, „მეთოფეები" ანანიძეში 4 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებენ და გარიგების მიღწევას იქამდე ეშურებიან, სანამ ამ ფეხბურთელით სხვა ევროპული კლუბები დაინტერესდებიან"* - წერს ibtimes.com.

ერთი წლის წინ თავად ჯანომ გვითხრა, რომ ლონდონელები ინვევდნენ, მაგრამ კლუბს მისი გაშვება არ სურდა. ახლა კი "სპარტაკი" ფეხბურთელს არ ათამაშებს და ულოგიკო იქნება, თუ დაინტერესებულ კლუბს არ დაუთმობს.

არადა, კარგი იქნებოდა, ჯანო სხვა თეთრ-წითელ ფორმაში გვეხილა, ინგლისის პრემიერლიგაში, თანაც, არსენ ვენგერის ხელში ვარჯიში ხომ სულ სხვა პერსპექტივაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ძველი ამბავია... რუსეთს რუსები ესტოტავება, სხვები კი ე[illegible]

# მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ რუსებს საფიქრალი გაუჩნდათ

## ცოტაც და, ემბარგო? კი მაგრამ, სად არიან ჩვენები? მარტო ძაგოევი რას გვეყოფა?

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ლეგიონერებზე დასაწესებელი ახალი, ანონსირებული ლიმიტი დაამტკიცა. ეს ჩვენი მოთამაშეებისთვის ერთობ მნიშვნელოვანი ცვლილებაა.

განმარტებისთვის ვიტყვით, რომ რუსეთის პრემიერლიგაში მრავლად იყვნენ ორმაგი მოქალაქეობის მქონე მოთამაშეები, რომლებსაც ამ ქვეყანასთან, ვიდრე იქ ჩავიდოდნენ, არაფერი აკავშირებდათ, მაგრამ ლეგიონერებზე არსებული ლიმიტის გამო იძულებული იყვნენ, რუსული პასპორტი აეღოთ.

ახალი წესი სწორედ ორმაგი მოქალაქეობის წინააღმდეგ არის მიმართული. რადგან ქართველი მოთამაშეების საკმაო ნაწილიც ამით სარგებლობდა, ისინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ახლა კონკრეტულად საქმეზე: რუსეთის საფეხბურთო კავშირმა "ლეგიონერის" ცნება დააზუსტა. ამ სტატუსს ორმაგი მოქალაქეობის მქონე ის მოთამაშეებიც მიიღებენ, რომლებსაც სხვა ქვეყნის ნაკრებში თუნდაც ერთი შეხვედრა ჩაუტარებიათ.

*"წესი 2012-13 წლების სეზონში არ იმოქმედებს და არ შეეხება იმ ფეხბურთელებს, რომლებიც 2011 წლის 5 დეკემბრამდე ლეგიონერებად არ ითვლებოდნენ. ახალი დებულების უმალ ამოქმედება ლეგიონერებით სავსე კლუბებს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა. ამიტომ მათ ადაპტაციისთვის დრო მივეცით. განაცხადში ადგილობრივი მოთამაშეების შეყვანასაც არ მოვითხოვთ. მაგრამ 2013 წლის შემოდგომიდან კანონი მთელი სიმკაცრით ამოქმედდება,"* – განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **სერგეი ფურსენკომ**.

ამჟამად რუსეთის პრემიერლიგაში ორმაგი მოქალაქეობის მქონე 35 მოთამაშეა. უმთავრესად, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრებთა წევრები. გასაგებია, რაზეც წუხან რუსები — ნატურალიზებული უცხოელების მოძალებამ რუს ახალგაზრდებს გზა გადაუკეტაო.

## გამოსავალი: უცხოელებზე ლიმიტის გამკაცრება. რამდენი არიან ეს... ქართველებს, ალბათ, თითებზე გადაითვლიან

*"ბოლო ხუთ წელიწადში რუსეთის ეროვნული ნაკრებისთვის მხოლოდ ალან ძაგოევი გავზარდეთ. ჩვენი მიზანი კი 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რუსი ახალგაზრდების კარგად მომზადებაა, რათა ძლიერი ეროვნული ნაკრები ჩამოვაყალიბოთ. პრემიერლიგაში უცხოელთა სიმრავლე კი ეროვნულ გუნდზე ნეგატიურად აისახებოდა"* – ამტკიცებენ პროექტის ავტორები და [illegible] არიან.

სხვათა შორის, სანაკრებოდ მომზადებული ალან ძაგოევიც გურჯაანშია დაბადებული, მისი ოჯახი რუსეთში სამაჩაბლოში კონფლიქტის შემდეგ დასახლდა.

ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ: კანონი რთულ ვითარებაში ჩააგდებს ქართველ ფეხბურთელებს, თუ იმ დროისთვის რუსეთში იქნებიან. მაგალითად, გროზნოს "ტერეკის" ნახევარმცველი **ლევან გვაზავა** რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ საქართველოს ნაკრებში რამდენჯერმე უთამაშია. ასევე არიან **ჯანო ანანიძე** (მოსკოვის "სპარტაკი"), **ნუკრი რევიშვილი** ("კრასნოდარი"), **გია გრიგალავა, გოჩა ხოჯავა** (ორივე - ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა") — "ჯვაროსნების" ფორმა მათაც მოურგიათ.

ლეგიონერების ლიმიტი ისედაც ეხებოდათ **დავით სირაძეს** (ნალჩიკის 'სპარტაკი"), **მათე ვაწაძეს, ლაშა სალუქვაძეს, გოგიტა გოგუას** (სამივე - "ვოლგა"), **ოთარ მარცვალაძეს, ალეკო ამისულაშვილს** (ორივე - "კრასნოდარი"). **სოლომონ კვერკველიას, გიორგი ჩელებაძეს** (ორივე - ყაზანის "რუბინი").

ეს ყოველივე არ შეეხება **ზურაბ არზიანს** ("ვოლგა"), რადგან საქართველოს ნაკრებში არ უთამაშია. **ზურაბ ცისკარიძე** (პერმის "ამკარი") კი ამერიკისა და საქართველოს მოქალაქეა და მასზე ლიმიტი აქამდეც ვრცელდებოდა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო - ალბათ, ახალი კანონი ზოგიერთს აიძულებს, საქართველოს ნაკრებში თამაშზე ახლა მაინც დაფიქრდეს. მაგალითად, გვაზავას, რომელიც სანაკრებო შეკრებებზე მოქალაქეობის პრობლემის გამო ვერ მოდიოდა.

ლიმიტი 2013-14 წლების სეზონიდან, ანუ 2013 წლის ბოლოს ამოქმედდება, მანამდე კი, რუსებმაც არ იციან, რა მოხდება რუსეთში.

**მერაბ მამულაშვილი**

U16

# პირველი საშინაო განახლებული გუნდით

9.12. თბილისი. „მიხეილ მესხი"

| საქართველო-ირანი | 2:0 |
| --- | --- |

1:0 კერძევაძე (8), 2:0 ჯობავა (77)

საქართველო: ქურდაძე, ბალდავაძე, ა. არველაძე, მალანია, გაბედავა (78. გელაშვილი), ჯაფიაშვილი, ჯობავა, გოროზია (66. ბუნტური), კერძევაძე (79. მესხი), ლაშხია, კობახიძე (68. შულარია)

მწვრთნელი: გ. შეყილაძე

ირანი: სედგეიანი, ჰოსინი, ჰაგზადე, ნასრი (41. ჰაშემი), ობეიდიორი (41. მოგთადეი), ჯაფერი, ვეჯდანი, ბაიოჯი (65. იასინი), რიგი, მოჰარამი (52. შოჯაქი), ბაიზაჯი

მწვრთნელი: ა. დოსტი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ ვაკეში ირანელ თანატოლებს ამხანაგურად უმასპინძლა და ორბურთიანი სხვაობით აჯობა.



ფოტო:www.gff.ge

შეხვედრის პირველი ნახევარი **გელა შეყილაძის** გუნდის უპირატესობით წარიმართა, მეორეში კი სტუმრები გააქტიურდნენ, მაგრამ ჩვენების დაცვამ და მეკარე **ბექა ქურდაძემ** საიმედოდ ითამაშეს. ქართველებმა მეტოქის კარი ორივე ტაიმში დალაშქრეს. **ილია კერძევაძემ** თავისიანები თავურით დააწინაურა, **გიორგი ჯობავამ** კი საჯარიმოს სიახლოვიდან დარტყმით გაიტანა.

სიცივის მიუხედავად, სტადიონზე ქომაგები მაინც იყვნენ - ქართველ მოზარდებს „ჯვაროსნების" გულშემატკივართა კლუბის წევრები ამხნევებდნენ, ირანელებს — თბილისში დროებით მცხოვრები მათი თანამემამულეები.

როგორც გელა შეყილაძემ გვითხრა, ნაკრების სამწვრთნელო შტაბი სასელექციო პროცესს აქტიურად განაგრძობს და ამ მიზნით გუშინ შვიდი ახალი ფეხბურთელი გამოიცადა, რომელთაგან სამი საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების წევრია. ახალწვეულთა უმრავლესობით შეყილაძე კმაყოფილი დარჩა.

შეგახსენებთ, ეს გუნდი გაისად, შემოდგომაზე ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს. ჯგუფს თბილისი უმასპინძლებს და შეყილაძეს აუცილებლად მიაჩნია, რომ საკონტროლო მატჩების უმეტესობა ნაკრებმა აქ ჩაატაროს. გუშინდელი კი ამ ნაკრებისთვის საქართველოში ჩატარებული პირველი საერთაშორისო სპარინგი იყო.

მატჩის შეყილაძისეული შეფასება კი ასეთია: *"მოხარული ვარ, რომ ორი მნიშვნელოვანი ამხანაგური შეხვედრის ჩატარების საშუალება მოგვეცა. ირანის ნაკრები საკმაოდ ძლიერი სპარინგპარტნიორი აღმოჩნდა – სწრაფ და აგრესიულ ფეხბურთს თამაშობს და პრობლემებიც შეგვიქმნა. ამ შეხვედრაში შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ გამარჯვება მაინც სასიამოვნოა. დიდი სამუშაო გველის. იმედი მაქვს, ნაკლოვანებებს გამოვასწორებთ და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით".*

ქართველი და ირანელი 16-წლამდელების მეორე სპარინგი კვლავ "მიხეილ მესხზე" გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მამუკა ლონლაძის 2012: ახალი წელი, ახალი კლუბი

„დაუგავას" 26 წლის თავდამსხმელ **მამუკა ლონლაძის** ამბავზე ახლახან ვწერდით. მას კარიერა უკრაინაში უნდა გაეგრძელებინა, ლატვიის ვირსლიგის ბომბარდირთა დავაში 21 გოლით მეორეს თვალი უკრაინის პრემიერლიგის რამდენიმე კლუბმა დაადგა - კრივოი როგის „კრივბასმა", ლუგანსკის „ზარიამ" და ლვოვის „კარპატიმ". მამუკას სამივე უსინჯებოდ, პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობდა.

მერე „კანუს" მოულოდნელი და უცნაური პრობლემები შეექმნა — რომ ეგონა, „დაუგავას" ერთწლიან კონტრაქტზე მოუწერა ხელი, ქაღალდებში ორი წელი „აღმოჩნდა", მოკლედ, ხელ-



მამუკა ლონლაძე

შეკრულების გაფორმების დროს უყურადღებობა კინაღამ ძვირად დაუჯდა.

ამან ლონლაძის ტრანსფერზე უკრაინულ კლუბებთან მოლაპარაკება, ცხადია, შეაფერხა, თუმცა არ ჩაშალა და საბოლოოდ საკითხი შეთანხმებით დაგვირგვინდა.

*"დღეს გადაწყდა, რომ მამუკა ლუგანსკის 'ზარიაში" ითამაშებს. ყველა სადავო და პრობლემური საკითხი მოგვარდა, წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია, მამუკამ "ზარიასთან" კონტრაქტს 9 იანვარს უნდა მოაწეროს ხელი. ხელშეკრულება ორწლიანი იქნება.*

*ამ კონტრაქტისთვის საკმაოდ სერიოზული წინაღობების დაძლევა დაგვჭირდა, გუშინ ლუგანსკელთა ხელმძღვანელებს შევხვდი და ყველა საკითხი მოვაგვარეთ - "ზარიამ" დაუგავპილსელებისგან კონტრაქტი გამოისყიდა,"* - გვითხრა დალიბორ ლაცინას სამენეჯერო კომპანიის წარმომადგენელმა **სერგო ქუთათელაძემ**.

მენეჯერი დარწმუნებულია, რომ ეს ტრანსფერი ლონლაძეს შემდგომ წინსვლაში დაეხმარება: *"სამწუხაროდ, ევროპასა და რუსეთ-უკრაინაში ქართველი ფეხბურთელების მიმართ ინტერესი შემცირდა, მათ საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვთ. მიზეზი მრავალია და არ დავკონკრეტდები, თუმცა ბოლო დროს დაინტერესება ოდნავ გაიზარდა. მართალია, ეროვნულ ნაკრებს წარმატებისთვის არ მიუღწევია, რაც განაპირობებს კიდეც ამა თუ იმ ქვეყნის მოთამაშეებით დაინტერესებას, მაგრამ თემურ ქეცბაიას ნაკრების მწვრთნელობისას ქართველების მიმართ პატივისცემა გაიზარდა. ჩვენი საქმე ისეთია, ასეთ მომენტებს უმალ ვგრძნობთ.*

*უკრაინის ჩემპიონატში თამაში იმ ქართველისთვის, რომელსაც ნაკრებში არ უთამაშია, პატარა საქმე არ არის და ახლა ყველაფერი მამუკაზეა დამოკიდებული. ნიჭი აქვს, გასაქანს მისცემენ და თავს თუ გამოიჩენს, სხვა კლუბში გადავა. მერწმუნეთ, მას პირველივე შეხვედრიდან გაცილებით ძლიერი კლუბები დააკვირდებიან, რადგან ლატვიის ჩემპიონატიდან უკრაინაში გადასული ბომბარდირი თავისთავად საინტერესო ფიგურაა".*

ქუთათელაძის თქმით, ფეხბურთელი "ზარიას" მუდმივ ნომერზეც შეუთანხმდა – მამუკას 33 სურდა, რადგან "დაუგავაშიც" ამ ნომრით თამაშობდა, მაგრამ ეს ნომერი „დაკავებული" აღმოჩნდა და 23 ირჩია.

"ზარია" მამუკა ლონლაძის კარიერაში მესამე უცხოური კლუბი იქნება: 2009 წელს უზბეკურ "მაშალიში" გამოდიოდა, დაუგავპილსის "დაუგავაში" კი 2010-11 წლებში ჩატარებულ 36 მატჩში 26 გოლი გაიტანა. ჩვენში უთამაშია წყალტუბოს "სამგურალში", ქუთაისის "ტორპედოში" (2005-07), ახალციხის "მესხეთში" (2007-08), ცხინვალის "სპარტაკში".

19 ტურის შემდეგ ლუგანსკის "ზარიამ" უკრაინის პრემიერლიგაში 12 ქულა დააგროვა, 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-15 ადგილზეა და კიევის "ობოლონს" მხოლოდ ქულით უსწრებს, "ოლექსანდრიას" კი ორით ჩამორჩება და ლიგიდან გავარდნის რეალური კანდიდატია. მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გაძლიერებას და დარჩენისთვის სერიოზულ ბრძოლას აპირებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ცისკარიძეს რუსეთი არ გამოუვიდა

**ზურაბ ცისკარიძე** პერმის "ამკარმა" საშემოდგომო ეტაპის შემდეგ ტრანსფერზე დააყენა.

მონრეალის „იმპაქტისა" და ამერიკის 20-წლამდელთა ნაკრების მცველი „ამკარმა" ზაფხულში აიყვანა, მაგრამ რუსულ კლუბში ზურაბმა კარიერა ვერ აიწყო, სულ სამჯერ ითამაშა. გუშინ კი პერმელთა პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ წარმოშობით ქართველი, სხვა ხუთ ფეხბურთელთან ერთად, კლუბმა ტრანსფერზე დააყენა.

ასე რომ, რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველების რიცხვი, სულ ცოტა, ერთით შემცირდა — მალე რუსეთს, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე ჩვენებური დატოვებს, უპირველესად კი, "ვოლგას" ქართველები.

**მერაბ მამულაშვილი**



ზურაბ ცისკარიძე

ინტერვიუ

# ახლა ჩვენი დროა

## მარცვალაძის აქსიომა. თითქმის დამარცვლით სათქმელი: გარემარბი მარბიელი უნდა იყოს



საქართველო-ხორვატია 1:0. ოთარ მარცვალაძის ამ მანევრს საგოლე პასი მოჰყვა

**ხშირად გაიგონებთ, საქართველოს ნაკრები ერთ მაგარ თამაშს ყოველთვის იგებსო. ასე იყო წინა შესარჩევშიც, როცა საქართველომ შინ ხორვატია დაამარცხა. მაშინ ჩვენი გუნდი თავს კარგად იცავდა, მატჩის მიწურულს კი ხეირიანი კონტრშეტევა განახორციელა და ლევან კობიაშვილის გოლით დიდი სიხარულიც მოგვიტანა. გახსოვთ, ვინ შექმნა ის შეტევა, ვინ გაამწვავა თამაში და ვისი იყო საგოლე პასი?**

**ეს ყველაფერი ოთარ მარცვალაძემ გააკეთა და ეს არ იყო პატარა საქმე – ხორვატიასთან მოგება დიდად მნიშვნელოვანი გამოდგა საქართველოსთვის, ჩვენი ნაკრებისა და გუნდის მწვრთნელისთვის ...**

**მარცვალაძე თავის დროზე საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირიც იყო და საუკეთესო მოთამაშეც ჟურნალისტთა გამოკითხვით. ის თავბრუს ახვევდა მცველებს და სოლორეიდებს გოლით აგვირგვინებდა. მაშინ რატომღაც ჩვენი ნაკრებები არ იყენებდნენ გარემარბებს, თითქოს მივიწყებულიც კი იყო გარემარბობა, მაგრამ დრო და ვითარება იცვლება, ფლანგზე მოთამაშე შემტევი ახლა ისევე აქტუალურია, როგორც ძველად, ჭეშმარიტად ვარსკვლავური ფეხბურთის ეპოქაში...**

**ოთარი საქართველოს ჩემპიონატიდან კიევის "დინამოში" მოხვდა, თუმცა მერე ყველაფერი ისე ვერ აეწყო, როგორც სურდა...**

**დღეს კი 27 წლის მარცვალაძე რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშე "კრასნოდარის" ფეხბურთელია და მასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...**

**- "კრასნოდარში" რამდენიმე თვის წინ გადახვედი "ვოლგადან" – რა იყო ამ ტრანსფერის მოტივაცია?**

- "კრასნოდარი" ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა ჩემით, როცა რუსეთის პირველ ლიგაში მოთამაშე "ანჟიში" ვიყავი. ახლა კი "კრასნოდარი" უკვე პრემიერლიგაშია, ამ კლუბში ყველაფერი მაღალ დონეზე კეთდება, სტაბილური სისტემა და დიდი პერსპექტივა აქვს. ყოველივე ამის გამო მივიღე ეს გადაწყვეტილება.

**- მოდი, რამდენიმე წლის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ. საქართველოს ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი წვრთნიდა და ამხანაგური შეხვედრაც გაგვიხერხა გერმანიის ნაკრებთან. მატჩი 0:2 წავაგეთ, თუმცა იყო სასიამოვნო ეპიზოდებიც – შენ ორი კარგი რეიდი გამოგივიდა. როცა გერმანიის ნაკრებთან თავს გამოიჩენ, წესით, ეს შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეთ ევროპული გუნდების სკაუტებს...**

- ტოპმიოლერმა მაშინ ჩემს პოზიციაზე დამაყენა – შეტევის მარჯვენა ფლანგზე და მეც ეს შანსი შეძლებისდაგვარად გამოვიყენე. რომ გითხრათ, იმ თამაშის მერე კონკრეტული შემოთავაზებები მქონდა-მეთქი, ასე რ ყოფილა. მაშინ კიევის "დინამოს" ფეხბურთელი ვიყავი და სხვაგან ადვილად ვერ გადავიდოდი. გერმანიასთან თამაშიდან მალევე კოჭის მყესები გამიწყდა და საოპერაციო გავხდი, რის გამოც ერთი წელი გამიცდა. მოკლედ, ყველაფერს იღბალი უნდა...

**- შენს მონაცემებში ეჭვი არავის და არასდროს ეპარებოდა, თუმცა კულუარებში სპეციალისტები იმასაც ამბობდნენ, ცენტრფორვარდად თამაში უჭირს, რაღაც აკლიაო. როგორ ფიქრობ, რა არის ეს "რაღაც"?**

- ფიზიკური მონაცემები არ მაძლევს იმის საშუალებას, ისე ვითამაშო, როგორც, მაგალითად, შოთა არველაძე. ანუ ჩემთვის რთულია, ათლეტურ ცენტრალურ მცველებში ჩავდგე, ბურთი კარისკენ ზურგით მდგომმა მივიღო და ასეთნაირად გამოვადგე გუნდს. სამაგიეროდ, დრიბლინგისა და სისწრაფის ხარჯზე შემიძლია თამაშის გამწვავება.

**- "ვიტ ჯორჯია", კიევის "დინამო", "ანჟი", "ვოლგა", "კრასნოდარი"... რომელ გუნდში შექმნა ოთარ მარცვალაძემ საკუთარი თავი?...**

- ვფიქრობ, საქმეს თავი ყველგან გავართვი, კიევის "დინამოს" გარდა, სადაც ხან ტრავმებმა შემიშალა ხელი, ხან კი – უთამაშებლობამ. პრობლემა "ანჟიშიც" შემექმნა – დაახლოებით ნახევარი წელი სავიზო პრობლემის გამო გამიცდა. ეს ყველაფერი უკვე ჩავლილი ამბებია, ახლა "კრასნოდარში" ვარ და ყველაფერი წინ მაქვს.

**- "კრასნოდარმა" "ვოლგადან" გამოგისყიდა. რუსეთში როგორ ხდება, სატრანსფერო თანხას რეალურად აფიქსირებენ?**

- რუსული კლუბები არ ასაიდუმლოებენ სატრანსფერო თანხებს. "კრასნოდარის" საიტზე დაიწერა, რომ კლუბმა ჩემს ტრანსფერში 1 300 000 ევრო გადაიხადა. რუსეთში ისეთი ფეხბურთელებიც თამაშობენ, რომლებშიც კლუბები 10-20 მილიონს იხდიან.

**- რუსეთი მართლაც სოლიდური საფეხბურთო ბაზარია. ამბობენ, რომ იქ ყველა სატრანსფერო არხს თავისი განმკარგულებელი ჰყავს – აფრიკელი ლეგიონერების საკითხი ერთის ხელშია, ევროპელების — მეორისა და ასე შემდეგ. იმასაც გაიგონებს კაცი, ქართველი ფეხბურთელი რუსეთში ისე ვერ გადავა, თუ ამ საქმეს უმეტეს შემთვევაში ერთმა კაცმა არ მოჰკიდა ხელიო...**

- ასეთი პრობლემები არ იქმნება, ეს რომ ასე იყოს, კარგა ხნის მოგვარებული იქნებოდა.

**- შენი მენეჯერი მამუკა ჯულელია?**

- არა, ჯულელი ჩემთვის ოჯახის წევრივითაა, მეხმარება და სასარგებლო რჩევებს მაძლევს.

**- ლევან კობიაშვილი, გოგა გახოკიძე, მიხეილ ყაველაშვილი – მათ მოახერხეს და რუსეთის ჩემპიონატის შემდეგ ევროპაშიც ითამაშეს. ახლა კი ასეთი ტენდენცია, ფაქტობრივად, აღარ არის – რატომ? ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ რუსეთის ჩემპიონატში ახლა გაცილებით მეტი ფული ტრიალებს?**

- მაშინ სულ სხვა დრო, სხვა ვითარება იყო. დღეს ბელგიის თუ ავსტრიის საშუალო დონის კლუბში გადასვლას ყველანაირად სჯობს რუსეთის პრემიერლიგაში თამაში, თუნდაც "კრასნოდარში". რაც შეეხება ევროპის უმაღლესი დონის კლუბებს, იქ რომ გადახვიდე, აქამდე უნდა მიხვიდე, ამისთვის მზად უნდა იყო...

**- როგორ ფიქრობ, რა როლს თამაშობს ასეთ დროს მენეჯერის ფაქტორი?**

- რა თქმა უნდა, მენეჯერის ფაქტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაფერი მაინც ფეხბურთელის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

**- ივიცა ოლიჩის მაგალითი გავიხსენოთ: ის თავის დროზე მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელი იყო, მერე ბუნდესლიგაში წავიდა და "ჰამბურგის" შემდეგ მიუნხენის "ბაიერნში" ამოყო თავი. ნუთუ, რუსეთში მოთამაშე ქართველები ოლიჩზე ბევრად ნაკლები ფეხბურთელები არიან? ნუთუ, "ჰამბურგის" თუ "ლევერკუზენის" დონის კლუბში მოხვედრა რუსეთში მოთამაშე ქართველებისთვის შეუძლებელია?**

- ასეთი დონის გუნდებში თუ მოხვდი, იმის შანსიც გექნება, რომ თავი ნორმალურად წარმოაჩინო, მაგრამ კონკრეტული დაინტერესება ხომ უნდა იყოს?! ისიცაა, რომ რუსეთში განსაკუთრებულად ძნელია თამაში, რადგან უფრო ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე ბუნდესლიგაში თუ სხვა ევროპულ ლიგებში. თანაც, ახლა რუსეთის ჩემპიონატი ისეთი დაძაბულია, როგორც არასდროს. ევროპაში კი სხვა ტენდენციებია, იქ მაყურებლის ფაქტორს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და ცდილობენ, გახსნილი, სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშონ.

**- "კრასნოდარის" საშინაო თამაშებზე საშუალოდ რამდენი გულშემატკივარი მოდის?**

- ჯერჯერობით ძალიან ცოტა, 3-4 ათასი, მაგრამ გუნდი ახალი გადმოსულია პრემიერლიგაში და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ქომაგთა რიცხვი გაიზარდოს. ისე კი, კრასნოდარში ფეხბურთი უყვართ, "ყუბანის" მატჩებზე სტადიონი ივსება ხოლმე, რადგან "ყუბანი" ძველი, ტრადიციული კლუბია.

**- ნაკრების ხორვატიასთან მოგებულ მატჩზეც ვთქვათ – შეცვლაზე კარგად შეხვედი და შენმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა მატჩის შედეგი...**

- თემურ ქეცბაია მეუბნებოდა, ეცადე, მცველების ზურგს უკან აღმოჩნდე და დაუსხლტე მათო. ასეთ დროს მცველებს მართლაც უჭირთ ჩემ წინააღმდეგ თამაში. მეც ამას ვეცადე ხორვატიასთან და საქმეც ხუთიანზე გამომივიდა. ბურთი რომ მივიღე, ერთი მცველი ჩამოვიშორე, მეორე რომ გადმოვიდა ჩემკენ, მის მოტყუებას თუ კარში დარტყმას ჩინებულ პოზიციაზე მყოფი კობიაშვილისთვის ბურთის მიწოდება გადავწყვიტე და ყველაფერი გოლით დასრულდა. ამ ეპიზოდში აღსანიშნავია ჯაბა კანკავას ჩინებული პასიც ჩემი მისამართით.

**- სისწრაფის გარდა, კიდევ რა არის უკიდურესად აუცილებელი გარემარბისთვის?**

- როცა მცველთან პირისპირ რჩები, მის მოტყუებაზე უნდა წახვიდე, შესაძლოა, ეს ყოველთვის არ გააკეთო, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში საამისოდ უნდა იყო მომართული. ვისაც, ასე ვთქვათ, კაცზე წასვლის ეშინია, გარემარბობის შანსი, ფაქტობრივად, არ აქვს.

**- ნაკრებზე ერთხელაც გკითხავ. თემურ ქეცბაიამ არაერთხელ ილაპარაკა ფეხბურთელების დეფიციტზე...**

- ყველას საკუთარი აზრი აქვს. ქეცბაიას ნაწილობრივ ვეთანხმები, თუმცა ამ მხრივ მთლად ცუდად არ უნდა იყოს საქმე – თუ ნაკრების ბოლოდროინდელ თამაშებს გადავხედავთ, დავინახავთ იმის მაგალითებს, რომ შეტევაში თამაში შეგვიძლია.

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

XVII ტურის წინათქმა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო | 15 | 10 | 2 | 3 | 31 | 14 | 32 | 8 | 6 | 1 | 1 | 17 | 6 | 19 | 7 | 4 | 1 | 2 | 14 | 8 | 13 |
| 2 | ზესტაფონი | 14 | 10 | 2 | 2 | 29 | 14 | 32 | 7 | 4 | 1 | 2 | 12 | 8 | 13 | 7 | 6 | 1 | 0 | 17 | 6 | 19 |
| 3 | ტორპედო | 15 | 10 | 1 | 4 | 20 | 11 | 31 | 7 | 5 | 1 | 1 | 13 | 5 | 16 | 8 | 5 | 0 | 3 | 7 | 6 | 15 |
| 4 | მერანი | 14 | 8 | 2 | 4 | 19 | 13 | 26 | 7 | 6 | 1 | 0 | 13 | 2 | 19 | 7 | 2 | 1 | 4 | 6 | 11 | 7 |
| 5 | მეტალურგი | 15 | 7 | 5 | 3 | 20 | 15 | 26 | 8 | 4 | 4 | 0 | 10 | 3 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 10 | 12 | 10 |
| 6 | ბაია | 16 | 7 | 2 | 7 | 18 | 15 | 23 | 8 | 4 | 0 | 4 | 13 | 9 | 12 | 8 | 3 | 2 | 3 | 5 | 6 | 11 |
| 7 | გაგრა | 16 | 5 | 3 | 8 | 16 | 21 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 8 | 5 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 8 | 16 | 7 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 15 | 4 | 5 | 6 | 13 | 20 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 9 | 9 | 11 | 8 | 1 | 3 | 4 | 4 | 11 | 6 |
| 9 | სპარტაკი | 15 | 4 | 4 | 7 | 14 | 22 | 16 | 7 | 1 | 2 | 4 | 7 | 13 | 5 | 8 | 3 | 2 | 3 | 7 | 9 | 11 |
| 10 | კოლხეთი | 15 | 3 | 4 | 8 | 13 | 23 | 13 | 8 | 2 | 1 | 5 | 7 | 12 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 6 | 11 | 6 |
| 11 | დილა | 15 | 3 | 2 | 10 | 17 | 25 | 11 | 7 | 1 | 1 | 5 | 4 | 10 | 4 | 8 | 2 | 1 | 5 | 13 | 15 | 7 |
| 12 | სიონი | 15 | 1 | 4 | 10 | 10 | 27 | 7 | 8 | 1 | 2 | 5 | 9 | 16 | 5 | 7 | 0 | 2 | 5 | 1 | 11 | 2 |

### ვირტუალური სატურნირო მდგომარეობა 10 დეკემბრისთვის

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტალურგი | 10 | 6 | 2 | 2 | 14 | 9 | 20 |
| 2 | ზესტაფონი | 8 | 6 | 1 | 1 | 17 | 7 | 19 |
| 3 | დინამო | 9 | 4 | 2 | 3 | 17 | 12 | 14 |
| 4 | მერანი | 9 | 4 | 1 | 4 | 9 | 10 | 13 |
| 5 | ტორპედო | 9 | 4 | 1 | 4 | 6 | 8 | 13 |
| 6 | ბაია | 9 | 3 | 1 | 5 | 8 | 9 | 10 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 10 | 2 | 3 | 5 | 4 | 12 | 9 |
| 8 | გაგრა | 10 | 2 | 1 | 7 | 7 | 15 | 7 |

# ორმა ცხრილმა არ დაგაბნიოთ

ზედიზედ ორჯერ არასრული ტური ჩატარდა და იმედი დავიტოვოთ, რომ უამინდობა ხვალ მაინც არ შეგვიშლის ხელს. ყოველ შემთხვევაში, პარასკევსაღამოს მონაცემებით, არც ერთ ხვალინდელ თამაშს გადადება არ ემუქრება; არადა, ტურია ისეთი, ერთი „ბომბა-მატჩი" ხომ გველოდება, ამას გარდა არანაკლები მნიშვნელობა აქვს თითქმის ყველა შეხვედრასაც. ეგ კი არა, იმის დიდი ალბათობაც არის, რომ პირველად ამ სეზონის დაწყებიდან... ვირტუალურ ცხრილში, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ შეიცვალოს! თუმცა, არა მხოლოდ ვირტუალურში — „ტრადიციულ ცხრილშიც" (განსაკუთრებით, ქვედა ნაწილში) სერიოზული გადაადგილებებია მოსალოდნელი. მოკლედ, საინტერესო ტურის მოლოდინში ვართ და ერთადერთი, რაც გვაფიქრებს, ჩვენი ფეხბურთელების ფუნქციონალური მდგომარეობაა: მართლაც არანორმალურად გადატვირთული კალენდრიდან გამომდინარე (გუნდების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას დეკემბერში ყოველ მესამე-მეოთხე დღეს უწევს თამაში), ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია ეს ურთულესი ეტაპი ყველამ რომ სტაბილურად გაიაროს. მით უფრო, რომ უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან, ალბათ, ორი-სამი კლუბის მწვრთნელს თუ ექნება იმის ფუფუნება, თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ფეხბურთელების უმტკივნეულო როტაცია მოახდინოს...

**ტორპედო-მეტალურგი**
bwin: 1.60 3.40 5.25
11.12. ქუთაისი. ტორპედო 15:00

ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში ჩატარდება და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ჩემპიონატის ორი გამორჩეული გუნდის პაექრობას „ნეიტრალური" გულშემატკივარი თვალს ვერ მიადევნებს. ალბათ, ზედმეტია იმის ახსნა, თუ რამხელა სატურნირო მნიშვნელობა აქვს სეზონის ფავორიტთა ამ დაპირისპირებას, თანაც, აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი განსაკუთრებული ნიუანსიც: „ტრადიციულ" ცხრილში ქუთათურები თუ მეტ-ნაკლებად სოლიდური სხვაობით (5 ქულით) უსწრებენ რუსთაველებს, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ვირტუალურ ცხრილზე. აი, იქ კი „მეტალურგი" მართლაც კომფორტულ მდგომარეობაშია და **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდიც ყველანაირად შეეცდება ზამთრის პაუზამდე დარჩენილ სამივე ურთულეს შეხვედრაში რაც შეიძლება მეტი ქულა აიღოს. არადა „მეტალურგმა" ჩემპიონატში ბოლო ორი მატჩი ფრედ დაასრულა, სამაგიეროდ, შუა კვირაში უპრობლემოდ გადალახა თასის მეოთხედფინალური ბარიერი. აი, მასპინძელთა ბანაკში კი საპირისპირო განწყობაა: ოთხშაბათს „ტორპედომ" უმძიმესი სათასო მატჩი ჩაატარა ზესტაფონში, სადაც მართლაც დრამატულ ბრძოლაში დამარცხდა. თუმცა, **გია გეგუჩაძის** გუნდზე აუგს ვერავინ იტყვის — ამ სეზონის, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მატჩში „ტორპედოს" ფეხბურთელებმა წარმატების მისაღწევად სული და გული ჩადეს, მაგრამ 7 დეკემბერს საფეხბურთო ფორტუნამ ქუთაისელებს ზურგი შეაქცია. არა უშავს: ამიერიდან „ტორპედო" მთლიანად ჩემპიონატზე იქნება კონცენტრირებული; თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ სამივე კონკურენტისაგან („დინამო", „ზესტაფონი", „მეტალურგი") განსხვავებით, პირველი ეტაპის ბოლომდე ბევრად უფრო ხელსაყრელი კალენდარი სწორედ „ტორპედოს" აქვს.

**ზესტაფონი-სიონი**
bwin: 1.08 7.50 19.50
11.12. ზესტაფონი დ. აბაშიძე 14:00

ქუთაისური დაპირისპირებისა არ იყოს, ალბათ, ზესტაფონშიც გადაჩვეული იქნებიან მატჩების... დღის სინათლეზე ცქერას; ჰო, ასეა: სეზონის დაწყებიდან, ცოტა არ იყოს, ძნელად გვახსენდება ისეთი შემთხვევა, ქუთაისში ან ზესტაფონში შეხვედრა საღამოთი, პროჟექტორების „თანხლებით" რომ არ ჩატარებულიყო. თუმცა, ვეჭვობთ, რომ ამ წყვილში მატჩის დაწყების დროს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს: ბოლნისური კლუბის მიმართ დიდი სიმპათიის მიუხედავად, წყვილის უპირობო ფავორიტად ხომ მასპინძლები მიიჩნევიან. და ეს, იმის მიუხედავად, რომ სულ ახლახან „ტორპედოსთან" ჩატარებულმა მართლაც უმძიმესმა სათასო დაპირისპირებამ „ზესტაფონის" ფეხბურთელთა უდიდესი ფიზიკური (გნებავთ, ემოციური) ენერგია წაიღო — უმაღლეს ლიგაში თუ რომელიმე გუნდში ხდება წამყვან ფეხბურთელთა უმტკივნეულო და სრულფასოვანი შეცვლა, სწორედ **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდზე ითქმის. სხვანაირად ვერც იქნება: ახალგაზრდა სპეციალისტის დამოძღვრილ გუნდს ახალ წლამდე ხომ სხვებთან შედარებით ბევრად მეტი მატჩი აქვს ჩასატარებელი (ორი გამოტოვებული შეხვედრა, პლუს სუპერთასის მატჩი). აღარაფერს ვამბობთ მეტოქეებზეც: „ზესტაფონს" სათამაშო აქვს თბილისის „დინამოსთანაც", რუსთავის „მეტალურგთანაც" და სტუმრად „მერანთანაც". ისე, „ზესტაფონი" ორივე ცხრილში მეორე ადგილზეა, მაგრამ სინამდვილეში ორივეგან პოტენციური ლიდერია — კონკურენტებთან შედარებით ნაკლები მატჩ(ებ)ი აქვს ჩატარებული.

**დილა-მერანი**
bwin: 2.60 3.10 2.50
11.12. გორი. ქართლი 14:00

**დინამო-კოლხეთი**
bwin: 1.14 5.75 17.00
Live რეპორტაჟი პირველ არხზე
11.12. თბილისი. დინამო არენა 18:00

პირდაპირი ტელერეპორტაჟის და „საღამოს მატჩის" გარეშე არც ამ ტურში დავრჩებით: „საზოგადოებრივი მაუწყებელი" ძველისძველი მეტოქეების დაპირისპირებას შემოგვთავაზებს. „ზესტაფონი" — „სიონისა" არ იყოს, ამ წყვილსაც უპირობო ფავორიტი ჰყავს: ფორმააკრეფილი „დინამო" ბოლო მატჩებში მეტოქეებს უპრობლემოდ ამარცხებს, თანაც ისე, რომ საკუთარ კარს „მშრალად" ინახავს". საერთოდაც, გუნდს 22 ოქტომბრის მერე აღარ წაუგია („ბაიასთან" მარცხის შემდეგ) და **ალექს გარსიას** გუნდიც დაახლოებით იმ ფეხბურთს უჩვენებს, ამ ზაფხულს ევროპის ლიგის მატჩებში რომ გვანებივრებდა. ეგაც რომ არ იყოს, „დინამოს" მეპატრონე იქნება, კლუბის ხელმძღვანელობა, სამწვრთნელო შტაბი თუ თითოეული ფეხბურთელი, ალბათ, ყველას სურვილია, ეს წელიწადი გუნდმა ლიდერის რანგში (თუნდაც, „ტრადიციულ" ცხრილში) დაასრულოს. ისე, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ამ ხვალინდელ მატჩში „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა თავისი გუნდის რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს დასვენების საშუალება მისცეს — ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიან კლუბს სამიოდ დღეში ხომ ზესტაფონში სტუმრობა უწევს. აი „კოლხეთმა" კი ბოლო სამ მატჩში მოპოვებული ერთადერთი ქულით საგრძნობლად გაირთულა საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსი. თუმცა, ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ: **დავით მახარაძის** გუნდს პირველი ეტაპის ბოლომდე, ერთის გარდა, ყველა დარჩენილი მატჩი უშუალო კონკურენტთან აქვს...



**სპარტაკი-გაგრა**
bwin: 2.40 3.10 3.20
11.12. თბილისი. ტექნიკური ცენტრი ბასა 14:00

ტურის მატჩი ქუთაისში გაიმართება, მაგრამ არანაკლებ პრინციპული შეხვედრა უნდა ჩატარდეს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზეც"; აი, ის შემთხვევა, როცა იტყვიან ხოლმე — ექვსქულიანი მატჩიაო! თუმცა, „სპარტაკისა" და „გაგრას" დაპირისპირებას შესაძლოა ბევრად უფრო მეტი „ფასიც" დაედოს: ცხინვალელთა გუნდის გამარჯვების შემთხვევაში ხომ ზემოთ არაერთხელ ნახსენები ვირტუალური ცხრილი გვარიანზე მეტად შეიცვლება! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოვლენების მსგავსი განვითარების შემთხვევაში, „სპარტაკი" თავის ხვალინდელ მეტოქეს ცხრილში ადგილსაც გაუცვლის და, რაც მთავარია, ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან ურთიერთდაპირისპირებაში უპირატესობაც ექნება. „სპარტაკის" ბოლოდროინდელი წარმატებული ასპარეზობა მთავარი მწვრთნელის, **ვლადიმერ ხაჩიძის** დამსახურებაცაა, უმაღლეს ლიგას წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ სწორედ... „გაგრასთან" მატჩში (პირველი წრის შეხვედრას ვგულისხმობთ) რომ დაუბრუნდა. ბოლო დროს ვერც „გაგრაზე" იტყვის ვინმე, ამ ახალგაზრდულ გუნდს კრიზისი აქვსო — ასევე ახალგაზრდა სპეციალისტის **ზვიად ჯელაძის** შეგირდები ჩემპიონატშიც ინარჩუნებენ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსს და თასზეც წარმატებულად ასპარეზობენ. ყოველ შემთხვევაში, ზედიზედ მეორედ თასის ნახევარფინალში გასვლა პატარა ამბავი, ალბათ, არ უნდა იყოს...

**გია ტუხაშვილი**

**ვიტ ჯორჯია-ბაია**
bwin: 2.35 3.10 2.80
11.12. მცხეთა. მცხეთა პარკი 14:00

---

მსაჯთა საფიხვნო

## [illegible] მეხუთეს მოლოდინში

"ლელოს" რუბრიკის ტრადიციულ სტუმარს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა განყოფილების ხელმძღვანელ **ლევან ფანიაშვილს** ჩვენი ჩემპიონატის გასული ტურისა და თასის განმეორებითი მატჩების შეფასება ვთხოვეთ – ბუნებრივია, მსაჯთა მუშაობის კუთხით.

მისი თქმით, სათასო შეხვედრებში ქართველმა მსაჯებმა მაღალ დონეზე იმუშავეს. *"წვრილ-წვრილი შეცდომები ყველა მსაჯს მოსდის, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ არ მიუღიათ ისეთი გადაწყვეტილება, რამაც მატჩის შედეგზე რაიმე გავლენა მოახდინა"*, - გვითხრა ფანიაშვილმა.

თასის მეოთხედფინალში ყველაზე რთული სამსაჯო, ბუნებრივია, "ზესტაფონი"-"ტორპედო" იყო — **ლევან კვარაცხელიას** ბრიგადის მუშაობა დადებითად შეფასდა.

რაც შეეხება უმაღლესი ლიგის გასულ ტურს, "მეტალურგი"-"ვიტ ჯორჯიასთან" ერთად ყველაზე მძიმე



ლევან ფანიაშვილი

სამსაჯო "კოლხეთი"-"გაგრა" აღმოჩნდა. ფოთში მსაჯებმა საკუთარ მოვალეობებს თავი მაღალ დონეზე გაართვეს. მსაჯთა განყოფილებას პრეტენზიები არც რუსთაველი მატჩის მომსახურე ბრიგადასთან აქვს, მაგრამ ამ შეხვედრაში მაინც იყო ეპიზოდი, რამაც მღელვარება გამოიწვია – ვიტჯორჯიელმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, მაგრამ, რადგან მომენტი ძნელი დასანახი იყო, მსაჯთა განყოფილებას ამ მატჩის არბიტრები უარყოფითად არ შეუფასებია.

"ვიტ ჯორჯიას" კარში დანიშნული პენალტის თაობაზე (რომელიც **ლუკა რაზმაძემ** შეასრულა და ვიტელთა მეკარე **გიორგი ძაძამიამ** მოიგერია) კი მსაჯის გადაწყვეტილება მართებული იყო.

რაც შეეხება სხვა ამბებს, ფანიაშვილი უეფამ მორიგ მატჩზე მიავლინა მსაჯთა დამკვირვებლად. ჩვენი სამსაჯო განყოფილების უფროსი ამჯერად სლოვენიაში იმყოფებოდა, სადაც ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ადგილობრივმა "მარიბორმა" ჩვენთვის კარგად ნაცნობ "ბრიუგეს" უმასპინძლა. ბელგიელებმა მორიგი საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს (ამჯერად გერმანელ **კრისტოფ დაუმის** ხელმძღვანელობით), სამბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, მატჩის ბოლო 16 წუთში ოთხი გოლი გაიტანეს და 4:3 გაიმარჯვეს.

ამას წინათ გაცნობეთ, რომ ჩვენი ფეხბურთი ფიფას მეხუთე არბიტრის მოლოდინშია. ამ საპატიო სტატუსის მიღების რეალური კანდიდატია **თორნიკე გვანცელაძე**. მის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფადან პასუხს კათოლიკურ შობამდე ელის. როგორც ფანიაშვილმა გვითხრა, დადებითი პასუხის მიღება სავსებით რეალურია.

თუ გახსოვთ, ამას წინათ გაცნობეთ, რომ ნორმატივების ჩაბარებისას ოთხმა ქართველმა მსაჯმა უარყოფითი შედეგი აჩვენა. მათ დამატებით შანსი მიეცათ, რომელიც ოთხივემ გამოიყენა და, შესაბამისად, უმაღლესი ლიგის მატჩების განსჯის უფლებაც დაიბრუნეს.

ზამთარში შეკრებაზე მხოლოდ გუნდები კი არა, მსაჯებიც წავლენ. შეკრება თებერვლის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი და გამორიცხული არ არის, ის უცხოეთში გაიმართოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### პირველი ლიგა. ა ზონა

**გამოტოვებული მატჩი**

ჩხერიმელა (ხარაგაული)
მეშახტე (ტყიბული) 0:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავზე თითქოს ცამ პირი შეკრაო — ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, „ბაზელთან“ შეხვედრის დროს, 30 წლის ცენტრალური მცველი, ნემანია ვიდიჩი ისე დაშავდა, რომ სრულიად შესაძლებელია მთელი დარჩენილი სეზონი ველარ ითამაშოს. მოგეხსენებათ, იმავე მატჩში მანჩესტერელებს დიდი ფიასკო შეემთხვათ: ევროპის ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებაში ჯგუფური ეტაპიდან ვერ გავიდნენ. ზუსტად რამდენ ხანს გამოტოვებს ვიდიჩი, რასაკვირველია, ძნელი სათქმელია. ბევრი რამ გამოჯანმრთელების ტემპზე იქნება დამოკიდებული, რაც ინდივიდუალურია, თუმცა ექიმების ვარაუდით, სერბი, უკეთეს შემთხვევაში, აპრილში დაუბრუნდება მოედანს...**

### დღეს

**არსენალი–ევერტონი 19:00**

**ტრავმა:** მაიაჩი, დიაბი, ჯენკინსონი, გიბზი, სანია, უილშირი – საა, დრენტე ენიჩიბე

**ბოლტონი–ასტონ ვილა 19:00**

**ტრავმა:** რაილი, რიკეტსი, გარდნერი, ჰო[illegible]ენი, ლი, მირსი, შ. დევისი – გივენი, ჯენასი, ლიჩაი

**დისკვალიფიკაცია:** უიტერი (ბოლტონი)

**ლივერპული–ქუინზ პარკი 19:00**

**ტრავმა:** ლუკასი, ჯერარდი – მერფი, კენი, დ. ჯ. კემპბელი, კონორი, დაიერი, ჰალსი

**დისკვალიფიკაცია:** სპირინგი (ლივერპული)

**მანჩესტერ იუნ.–ვულვზი 19:00**

**ტრავმა:** ერნანდესი, ბერბატოვი, ფაბიო, რაფაელი, ანდერსონი, ოუენი, კლევერლი (ყველა მანჩესტერ იუნაიტედი)

**ნორვიჩი–ნიუკასლი 19:00**

**ტრავმა:** აიალა, დე ლაეტი, ვუგანი, უორდი – კოლოჩინი, ს. ტეილორი, ტიოტე, მარვო

**სუონსი–ფულჰემი 19:00**

**ტრავმა:** რანგელი, გრემი, ტატე – მერფი, ს. დევისი, სიდუელი, დაფი, გრიგერა, სა

**დისკვალიფიკაცია:** ალენი (სუონსი)

**ვესტ ბრომვიჩი–უიგანი 19:00**

**ტრავმა:** გერა - კირკლენდი

### ხვალ

**სანდერლ.–ბლექბერნი 17:30**

**ტრავმა:** გორდონი, უიკჰემი, მინოლე, კემპბელი – ნზონზი, ოლსონი, გრელა, რ. ნილსენი

**დისკვალიფიკაცია:** კეტერმოლი (სანდერლენდი)

**სტოკი–ტოტენჰემი 20:00**

**ტრავმა:** სიორენსენი, სიდიბე – როუზი, დოს სანტოსი, კრანჩარი, ჰადლსტოუნი, დოუსონი

### ზეგ

**ჩელსი–მანჩესტერ სიტი 00:00**

**ტრავმა:** მაკეჩრანი, ესიენი - კოლაროვი

**დისკვალიფიკაცია:** ლუიზი (ჩელსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 14 | 12 | 2 | 0 | 48-13 | 38 |
| 2. იუნაიტედი | 14 | 10 | 3 | 1 | 31-13 | 33 |
| 3. ტოტენჰემი | 13 | 10 | 1 | 2 | 29-16 | 31 |
| 4. ჩელსი | 14 | 9 | 1 | 4 | 31-17 | 28 |
| 5. არსენალი | 14 | 8 | 2 | 4 | 30-23 | 26 |
| 6. ნიუკასლი | 14 | 7 | 5 | 2 | 19-15 | 26 |
| 7. ლივერპული | 14 | 6 | 5 | 3 | 17-13 | 23 |
| 8. სტოკ სიტი | 14 | 5 | 3 | 6 | 14-23 | 18 |
| 9. ასტონ ვილა | 14 | 3 | 7 | 4 | 16-18 | 16 |
| 10. ევერტონი | 13 | 5 | 1 | 7 | 15-17 | 16 |
| 11. ნორვიჩი | 14 | 4 | 4 | 6 | 20-26 | 16 |
| 12. ქუინზ პარკი | 14 | 4 | 4 | 6 | 15-25 | 16 |
| 13. ფულჰემი | 14 | 3 | 6 | 5 | 16-16 | 15 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 14 | 4 | 3 | 7 | 13-21 | 15 |
| 15. სუონსი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-20 | 14 |
| 16. ვულვზი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-24 | 14 |
| 17. სანდერლენდი | 14 | 2 | 5 | 7 | 16-17 | 11 |
| 18. ბლექბერნი | 14 | 2 | 4 | 8 | 21-32 | 10 |
| 19. ბოლტონი | 14 | 3 | 0 | 11 | 19-34 | 9 |
| 20. უიგანი | 14 | 2 | 3 | 9 | 12-28 | 9 |

ბომბარდირები: 14 — ვან პერსი (არსენალი); 11 - აგუერო (სიტი); 10 - ჯეკო (სიტი); 9 - ბა (ნიუკასლი), რუნი (იუნაიტედი), იაკუბუ (ბლექბერნი); 7 - ადებაიორი (ტოტენჰემი), ბალოტელი (სიტი), სტარიჯი (ჩელსი).

● *ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტურის წინ*

# ორშაბათი მძიმე დღეა



...ინგლისის ჩემპიონისთვის ვიდიჩი რომ დიდი ძალა იყო, კარგად ჩანს სტატისტიკიდან: ცოტა ხნის წინ მას მუხლი ჰქონდა დაზიანებული და არ თამაშობდა, გამოჯანმრთელების შემდეგ კი 8 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მათგან ექვსში „იუნაიტედმა“ გოლი არ გაუშვა.

ევროპული ჩავარდნის შემდეგ „იუნაიტედს“ კალენდარი გონს მოგების საშუალებას „ვულვერჰემპტონთან“ თამაშით აძლევს. „მგლები“ კი მართლაც ცუდ დღეში აღმოჩნდნენ — თუ მანჩესტერელებს ძველი ინსტინქტები არ დაკარგვიათ, „გაცოფებულები“ უნდა იყვნენ და სუსტი მეტოქის გაბრდღვნა უნდა სწყუროდეთ. მეორე მხრივ კი, „იუნაიტედის“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა იმას ნიშნავს, რომ სერ **ალექს ფერგიუსონისთვის** ამიერიდან ერთადერთი მთავარი მიზანი არსებობს (უეფასა და მის ევროპა ლიგასთან დიდი ბოდიში) და ეს პრემიერლიგის მოგებაა.

*„ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა, რასაკვირველია, დიდი იმედგაცრუება იყო, მაგრამ იმედგაცრუებასთან გამკლავება უნდა შეგეძლოს — თქვა ფერგიუსონმა — ჩვენს კლუბს დიდი წარუმატებლობა ბევრჯერ გადაუქცევია დიდ მოტივაციად“.*

მოგეხსენებათ, დაშავებულია მექსიკელი თავდამსხმელი **ხავიერ ერნანდესიც**. არც **მაიკლ ოუენი** და **დიმიტარ ბერბატოვი** არიან ჯანმრთელად, ასე რომ „ვულვზის“ დაცვასთან ბრძოლა **უეინ რუნის** მარტოს მოუწევს.

რაც შეეხება „მგლებს“, ისინი ძალიან არიან დამოკიდებულნი თავიანთ გამთამაშებელ **ჯეიმი ო’ჰარაზე**, რომელმაც მიმდინარე სეზონში, მართალია, ჯერჯერობით, მხოლოდ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ სტატისტიკა მეტყველებს, რომ კარში 46-ჯერ დაარტყა, რაც მეტოქის საჯარიმოში 46 დაძაბულობასა და არეულობას ნიშნავს.

„არსენალი“ მასპინძლობს „ევერტონს“. ეს გახლავთ შეხვედრა გუნდებისა, რომლებსაც გამარჯვებათა გზაზე დაბრუნება სურთ. **არსენ ვენგერის** შეგირდები ცხრილში მეხუთე ადგილზე არიან და ლიდერ „მანჩესტერ სიტის“ 12 ქულით ჩამორჩებიან. ბოლოხანს პრემიერლიგაში „მეთოფეები“ შესანიშნავად თამაშობენ, მაგრამ სეზონის კოშმარული სტარტის კვალი აჩნიათ. გეხსომებათ, 2 ოქტომბერს „არსენალმა“ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ 2:1, რომ წააგო. მას მერე ვენგერის ბიჭებმა 21 შესაძლებლიდან 19 ქულა მოიპოვეს. ერთადერთი ფეხის დაცდენა „ფულჰემთან“ 1:1 იყო, მაგრამ ამ კვირაში, ჩემპიონთა ლიგაში წააგეს „ოლიმპიაკოსთან“ 3:1 და ახლა ამ წაგების მწარე გემოა მოსაშორებელი. მეორე მხრივ, კაცმა რომ თქვას, გუნდი პლეი-ოფში უკვე გასული იყო და... ვენგერს არც **რობინ ვან პერსი** ჰყავდა წაყვანილი, არც **თეო უოლკოტი** და არც **ალექს სონგი**.

**დევიდ მოიესის** „ევერტონის“ საქმე სხვანაირად არის. ბოლო ტურში გუნდმა მეშვიდე მარცხი იწვნია, თან შინ, „სტოკთან“, გუნდთან, რომელსაც „გუდისონ პარკზე“ 1981 წლის მერე არ მოეგო.

„სტოკი“ ახსენე და „დეზი“ ხელში დაიჭირეო — სტოკელებს ვაჟკაცობას **ჰარი რედნაპის** „ტოტენჰემ ჰოთსპური“ შეუმოწმებს. რედნაპის ბიჭები 30 ნოემბერს, „პაოკთან“ დამარცხების შემდეგ შესაძლოა ევროლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე დგანან, მაგრამ ამ შეჯიბრებაზე ლაპარაკისას ზემოთ უეფას ერთხელ უკვე ხომ მოვუხადეთ ბოდიში... თქვენ, „სფურზის“ შედეგები პრემიერლიგაში იკითხეთ: ბოლო 11 შეხვედრაში ჩრდილოლონდონელები ვერავინ დაამარცხა. აქედან 10 გუნდმა მოიგო. „დეზთა“ შორის გადამწყვეტ როლს 22 წლის უელსელი **გარეთ ბეილი** თამაშობს. მას გოლებიც გააქვს და საგოლე გადაცემების რაოდენობას ხომ ნუღარ იკითხავთ. რედნაპმა თქვა:

*„გარეთს ყველაფერი აქვს — სისწრაფე, ღონე, ბურთს ორივე ფეხით იმორჩილებს, მუდმივად სწავლობს, მისი მეურვეობა საშინელებაა, შეუძლია უმცირესი ფართობი გამოძებნოს და იქ გაძვრეს. ის არ განეკუთვნება იმ ჰაფბეკებსა და გარემარბებს, რომლებიც აუტის ხაზთან დგანან და პასს ელოდებიან, რათა თავიანთი შეზღუდული საქმე შეასრულონ. ის თამაშზე ისეთ გავლენას ახდენს, გეგონება შუიდან თამაშობდეს. გარეთი მასშტაბური ფიგურაა“.*

ჩახედეთ ცხრილს. „ტოტენჰემ ჰოთსპური“ მესამე ადგილზეა და მორიგი სამი ქულის შემატების შანსი აქვს მაშინ, როცა ლიდერი, „მანჩესტერ სიტი“ „ჩელსის“ სტუმრობს.

„ქეროუ როუდზე“ „ნორვიჩი“ „ნიუკასლს“ მასპინძლობს. ესეც იმ გუნდების შეხვედრაა, რომელთაც წაგებების შემდეგ მოგება სწყურიათ. **ალან პერდიუს** „კაჭკაჭებმა“ გასული შემოდგომის სენსაცია შექმნეს — 14 ტურის შემდეგ 26 ქულით მეექვსე პოზიციაზე არიან. გუნდს მხოლოდ ორი შეხვედრა აქვს წაგებული, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ორი მარცხი ნიუკასლელებმა ბოლო სამ შეხვედრაში იწვნიეს.

მიმომხილველები ამტკიცებენ, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ წარმატებული სტარტი ცენტრალური მცველების, **სტივენ ტეილორისა** და **ფაბრისიო კოლოჩინის** კარგი თამაშით იყო განპირობებული. პერდიუს სამწუხაროდ, წყვილი დაიშალა: ტეილორი აქილევსის მყესის სერიოზული ტრავმის გამო შესაძლოა სეზონის ბოლომდე ველარც კი დაბრუნდეს მოედანზე, კოლოჩინის კი თეძო აწუხებს. ერთი სიტყვით, როგორ გააგრძელებენ „კაჭკაჭები“ თამაშს, გამოჩნდება.

**პოლ ლამბერტის** „ნორვიჩი“ ნამდვილად არ გახლავთ ხელწამოსაკრავი გუნდი. ის მეათე ადგილზეა და, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგაში ახალია, ბევრ გუნდს აჯობა. მათ შორის არიან „სანდერლენდი“, „ბოლტონი“ და მასავით ახალაღზევებულები „ქუინზ პარკი“ და „სუონსი“. თუმცა, „ნორვიჩის“ ყველაზე თვალშისაცემი შედეგი, ალბათ, მაინც „ენფილდზე“ „ლივერპულთან“ 1:1 იყო.

ახლა „ლივერპულისა“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ თამაშზეც ვთქვათ. მერსისაიდელები მიმდინარე სეზონში პრემიერლიგაში ახალაღზევებულ გუნდებთან სუსტად თამაშობენ. ახლა ვამბობდით, „ენფილდზე“ „ნორვიჩთან“ ფრედ ითამაშესო, მაგრამ არც „სუონსისთან“ გაულაღებიათ: იქნებ დასავლეთლონდონელებთან“ მოახერხეონ უკეთესად თამაში. ისე კი, მართლა საინტერესოა, გუნდი, რომელმაც ორჯერ მოუგო „ჩელსის“ (პრემიერლგასა და „ქარლინგის თასზე“) და ფრედ ითამაშა მანჩესტერის ორივე გუნდთან, შარშანდელ ჩემპიონშიფელებთან რატომ უნდა კარგავდეს ქულებს? „წითლების“ თავს კიდევ ერთი ცუდი ამბავი დატრიალდა, **ლუკას ლეივა** ისე დაშავდა, რომ ამ სეზონში ველარ ითამაშებს. ამან გზა გაუხსნა **ჯონჯო შილვის**, რომელიც მერსისაიდელებს „ბლექპულში“ ჰყავდათ გაქირავებული, სადაც თავი გამოიჩინა და ახლა „ენფილდზე“ დაბრუნდება.

ინგლისის ერთ-ერთ უდიდეს გუნდთან თამაშის წინ „რეინჯერსის“ თავკაცი **ნილ უორნოკი** ამბობს: *„პრემიერლიგაში ყოფნა იმიტომ გვანიჭებს უდიდეს სიამოვნებას, რომ ასეთი შეხვედრები გვინევს. „ენფილდზე“ გასვლა და „ლივერპულთან“ შეჯიბრება ერთ რამედ ღირს“.*

სხვათა შორის, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „რეინჯერსმა“ ამ სეზონში „ჩელსის“ მოუგო, 1:0, თუმცა, მას შემდეგ გუნდმა ხუთი შეხვედრიდან მხოლოდ ერთში გაიმარჯვა.

„ჩელსის“ კი ამ ტურში დასავლეთლონდონურ დერბიზე გაცილებით სერიოზული თამაში ელის — ორშაბათს, საქართველოში შუაღამე რომ დადგება, „მანჩესტერ სიტის“ უნდა უმასპინძლოს. „ლურჯებისთვის“ ეს გახლავთ დიდებული შანსი, დაამტკიცონ, რომ ხმები მათი „გარდაცვალების“ შესახებ გადაჭარბებულია. თან, ხომ არ დაგავიწყდათ, ლონდონელებმა სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი მაჟორულ ნოტზე დაასრულეს — 3:0 დაამარცხეს ისეთი მეტოქე, როგორიც ესპანური „ვალენსიაა“. ამ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა და ზოგადადაც დიდებულად ითამაშა **დიდიე დროგბამ**.

*„ჩვენი ახალი მწვრთნელი, ანდრე ვილაშ-ბოაში, წინამორბედების მსგავსად განსაკუთრებული სიძლიერის გუნდის შექმნას ცდილობს — თქვა 33 წლის კოტ დ’ივუარელმა — მან რამდენიმე ახალი მოთამაშე მოიყვანა და ჩვენ, „ბებრები“ მათ გამოჩენას უნდა შევეგუოთ. რასაკვირველია, სრულყოფილებამდე კიდევ შორია. დიდ შეჯიბრებაში, მაგალითად, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას დიდი კლასი და იღბალი სჭირდება. ჩვენ საკუთარი იღბალი თავად უნდა გამოვჭედოთ. თუ მომავალშიც ისე განვაგრძობთ, როგორც „ვალენსიასთან“ ვითამაშეთ, ყველაფერი შესაძლებელია“.*

ისტლენდელებთან შეხვედრაში ვერ ითამაშებს ბრაზილიელი მცველი **დავიდ ლუიზი**, რომელმაც წინა ტურში, „ნიუკასლ იუნაიტედთან“, სეზონის მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო. „სიტის“ შემადგენლობაში, როგორც ჩანს, **მიკა რიჩარდსი** ვერ ითამაშებს.

საინტერესოა, შეძლებს თუ არა „სიტის“ აფრო-იტალიელი თავდამსხმელი, **მარიო ბალოტელი** ამ სეზონში თავისთვის მეათე შეხვედრაში მეათე გოლის გატანას... თუ ითამაშებს, რასაკვირველია.

ცოტა რამ ისტორიიდან: შინ, „მანჩესტერ სიტისთან“ „ჩელსის“ თამაშების ნახევარი მოგებული აქვს. ეს საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგია. სხვა სიტყვებით, ამ ორ გუნდს შორის ლონდონში გამართულ 68 შეხვედრაში „ლურჯებმა“ 34 მოიგეს. „სიტიმ“ „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩატარებული შეხვედრების 20 პროცენტში გაიმარჯვა. გოლების მხრივ საქმე ასეა: „ჩელსის“ ლონდონში, „სიტისთვის“, საშუალოდ, თამაშში 1,7 გოლი აქვს გატანილი, „სიტის“ კი „ჩელსისთვის“ 1,1.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ლიგა 1. XVI ტურის წინ

# ექსჩემპიონთა ჭიდილი



დეშამის გუნდი კრიზისს თავს ნელ-ნელა აღწევს

"მარსელისა" და "ბორდოს" დაპირისპირება, კლუბების უდიდეს ტრადიციებს თავი რომ დავანებოთ, საინტერესო იმითიცაა, რომ ერთმანეთს საფრანგეთის 2009 და 2010 წლის ჩემპიონები ხვდებიან. გუნდები, რომლებსაც დალხენილი დღევანდელი დღე ნამდვილად არ უდგათ ან... არ ედგათ. გააჩნია, ვინ რა ფორმულირებას დაეთანხმება. ბოლო პერიოდში ხომ ფრანგული ფეხბურთის ფლაგმანი გუნდები ცოტ-ცოტას ფერზე მოდიან და სუნთქვაც ძველებურად აღარ უჭირთ. ხორცი შეესხა და ფერზე მოვიდაო, უფრო დღევანდელ მასპინძელზე ითქმის, რომელმაც ბოლო შეხვედრაში "დორტმუნდს" გერმანიაში "გერმანელებისთვის დაწერილი სცენარით" აუგო ანდერძი. აგებდა რა 2:0-ს, მატჩის ბოლო წუთებზე მესამე გოლი გაუტანა და პლეი ოფის საგზური ხელიდან გამოლლიტა. მშვენივრად მისდით საქმეები დეშამის ბიჭებს ლიგა 1-შიც, სადაც 30 შესაძლებლიდან მათ 21 აქვთ მოპოვებული. განსხვავება პირველადგილოსან "მონპელიესთან" მაინც ძალიან ბევრია – 12 ქულა. 7-ით ჩამორჩება "მარსელი" ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მესამე ადგილს. 7, გნებავთ 12 ქულა არ არის ის სხვაობა, რომ გუნდმა ჩემპიონატის დასრულებამდე 22 ტურით ადრე იმედები გადაიწუროს, მაგრამ არც ის არის, რისი იმედიც დეშამს სეზონის დაწყებამდე ჰქონდა. *"ჩემპიონატში მეტოქეებთან ჩამორჩენის აღმოფხვრა რომ გვიწევს, ეს მხოლოდ ჩვენს თავს შეიძლება დავაბრალოთ. რისი პოტენციალიც გვაქვს, ჩვენ ეს "დორტმუნდთან" დავამტკიცეთ. ისე ვითამაშეთ, რომ ჩვენი სახელები კლუბის ისტორიაში ჩავწერეთ. მომეწონა ის ენერგია, რაც გერმანელებთან შეხვედრაში ჩავაქსოვეთ. ალტაცებული დავრჩი თამაშის ხარისხით. მიხარია, რომ ზედიზედ მეორედ მოვახერხეთ ლიგის პლეი ოფში გასვლა. ეს დიდებული მიღწევაა, მით უფრო, რომ ძალიან ახლოს ვიყავით მწარე მარცხთან,"* – განუცხადა დეშამმა "ფრანს ფუტბოლს". პროვანსელებს სტატისტიკაც აგულიანებთ: ჟირონდელებმა "ველოდრომზე" 48 სტუმრობიდან სულ 5-ჯერ შეძლეს მოგება.

**დღეს:**

| | |
|---|---|
| ნანსი-აიაჩო | 22:00 |
| რენი-ბრესტი | 22:00 |
| სტ. ეტიენი-კანი | 22:00 |
| სოშო-პარი სენ-ჟერმენი | 22:00 |
| ტულუზი-ევიანი | 22:00 |
| ვალანსიენი-მონპელიე | 22:00 |
| მარსელი-ბორდო | 00:00 |

**ხვალ:**

| | |
|---|---|
| ოსერი-ნიცა | 20:00 |
| ლილი-დიჟონი | 20:00 |
| ლორიანი-ლიონი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 16 | 11 | 3 | 2 | 36-17 | 36 |
| 2. პსჟ | 16 | 10 | 3 | 3 | 29-17 | 33 |
| 3. ლილი | 16 | 8 | 7 | 1 | 27-15 | 31 |
| 4. ლიონი | 16 | 9 | 2 | 5 | 28-19 | 29 |
| 5. რენი | 16 | 8 | 4 | 4 | 27-21 | 28 |
| 6. ტულუზი | 16 | 7 | 5 | 4 | 17-15 | 26 |
| 7. მარსელი | 16 | 6 | 6 | 4 | 22-16 | 24 |
| 8. სტ. ეტიენი | 16 | 6 | 6 | 4 | 19-19 | 24 |
| 9. ლორიანი | 16 | 6 | 5 | 5 | 17-18 | 23 |
| 10. კანი | 16 | 5 | 4 | 7 | 23-25 | 19 |
| 11. ევიანი | 16 | 4 | 7 | 5 | 21-23 | 19 |
| 12. ბორდო | 16 | 4 | 7 | 5 | 19-21 | 19 |
| 13. სოშო | 16 | 4 | 6 | 6 | 21-30 | 18 |
| 14. დიჟონი | 16 | 5 | 3 | 8 | 17-29 | 18 |
| 15. ბრესტი | 16 | 2 | 10 | 4 | 17-18 | 16 |
| 16. ოსერი | 16 | 3 | 6 | 7 | 22-26 | 15 |
| 17. ვალანსიენი | 16 | 3 | 5 | 8 | 16-19 | 14 |
| 18. ნიცა | 16 | 3 | 5 | 8 | 14-17 | 14 |
| 19. ნანსი | 16 | 3 | 5 | 8 | 12-20 | 14 |
| 20. აიაჩო | 16 | 1 | 5 | 10 | 15-34 | 8 |

**ლევან ბიბილაშვილი**

პარი სენ-ჟერმენი

# ამბიციათა უსასრულობა



პსჟ-ის მორიგი სამიზნე - ნიკოლას გაიტანი

"პარი სენ-ჟერმენის" ამბიციებს დასასრული არ უჩანს. კლუბი ძალიან ბევრ ფეხბურთელს ეპოტინება. ამჯერად "ლურჯ-წითლები" "მილანსა" და "მანჩესტერ სიტის" შორის ჩადგნენ და ლამის გაჩარხული საქმის ხორცშესხმა საეჭვოდ აქციეს. ის იყო, "როსონერიმ" და ტევესმა პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს, რომ სად იყო და სად არა, გამოხტა პსჟ და "სიტის" "მილანის" მიერ შეპირებულ 20 მილიონზე 5 მილიონი წაუმატა და ფეხბურთელის მისთვის მიყიდვა სთხოვა. ფრანგულ ვებგვერდებზე დაიწერა, თუ გაჭირდა, პარიზელები დამატებით კიდევ 5 მილიონს გაიმეტებენ და "სიტის" საქმეს საფიქრალად გაუხდიანო. ერთია, რას ფიქრობს კლუბი, მაგრამ მეორეა თავად ტევესის პოზიცია, რომელსაც "მილანში" თამაში სწყურია. რამდენს იზარალებს ტრანსფერში არგენტინელისთვის აგრერიგად საძულველი "სიტი", მისთვის სულ ერთია.

ტევესის გარდა "პარკ დე პრენსის" მკვიდრთ კიდევ ერთი არგენტინელის გადაბირება სურთ – "ბენფიკა" 23 წლის მარცხენა ნახევარმცველ **ნიკოლას გაიტანს** 10,5-11,5 მილიონად აფასებს. "ფუტბოლპრესის" ცნობით, **ლეონარდო** რამდენიმე დღეში ლისაბონს გაეშურება, რათა "არწივებთან" მოლაპარაკება წამოიწყოს.

პარიზულ კლუბში მთლად "ჯანმრთელი" სიტუაცია რომ არ არის, გულშემატკივარს ალბათ მოეხსენება. მთავარი მწვრთნელის **ანტუან კომბუარეს** ირგვლივ ისეთი ვნებები დუღს და გადმოდუღს, კაცი მტერს რომ არ უსურვებს. დირექტორატის გარდა მოწინააღმდეგეები მან გუნდშიც გაიჩინა. მაგალითად **ხავიერ პასტორე**. ის, რომ ფორმაში არ იყო, არგენტინელმა ხან რას დააბრალა, ხან რას, ჯერ თქვა, სათამაშო გრაფიკმა გადამღალაო, მერე - გუნდის მთავარი მწვრთნელი მოედანზე თავისუფლებას მიზღუდავსო და ბოლოს ისიც კი თქვა, თავისუფალ პოზიციაში მყოფს თანაგუნდელები არ მამჩნევენო. *"ხავიერისთვის ამ წუთას საკმაოდ რთული დროა. ის ერთდროულად ცდილობს ახალ საფეხბურთო კულტურასთან და ახალ ლიგასთან შეგუებას. ჩვენ, მისი თანაგუნდელები, ვალდებულნი ვართ მას ყველანაირად გვერდში დავუდგეთ, რათა ძველებურად ეფექტურად შეძლოს ბურთაობა, ზუსტად ისე, როგორც სეზონის დასაწყისში აკეთებდა. სანერვიულო არაფერია, რადგან ვიცით, რომ შეუძლია ძველ ფორმას დაუბრუნდეს,"* – განაცხადა "პარი სენ-ჟერმენის" ნახევარმცველმა **ჟერემი მენეზმა**.

**ლევან ბიბილაშვილი**

აღიარება



მარიო გიოტცე

# ოქროს ბიჭი გერმანიას ჰყავს

იტალიურმა ყოველდღიურმა გაზეთმა „ტუტოსპორტმა" დაასახელა „ოქროს ბიჭი 2011" ნომინაციის გამარჯვებული ფეხბურთელი - ევროპის წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე (21-წლამდე) გერმანელი **მარიო გიოტცე** (დორტმუნდის „ბორუსია") გახდა. მე-2 ადგილზე „ბარსელონას" ნახევარმცველი **ტიაგო ალკანტარა** გავიდა, მესამეზე - ბელგიელი **ედენ აზარი** („ლილი"). 19 წლის გიოტცემ „ბორუსიასთან" ერთად ბუნდესლიგის ტიტული მოიპოვა და გერმანიის ნაკრებში მოხვდა.

შარშან „ოქროს ბიჭი" **მარიო ბალოტელი** იყო, შარშანწინ კი - **პატო**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მარსელი

# ამაური არ იქნება

"მარსელის" მთავარმა მწვრთნელმა **დიდიე დეშამმა** გუნდის სატრანსფერო გეგმებზე მოკლედ ილაპარაკა და აღნიშნა, რომ იანვარში კლუბი აუცილებლად შეიძენს ერთ ცენტრალურ თავდამსხმელს. ვისზე აკეთებს აქცენტს პროვანსული კლუბი, მას არ დაუკონკრეტებია, მაგრამ დაასახელა ის, ვისაც მისი კლუბი აღარც კი დაურეკავს. ეს არის "იუვენტუსის" ბრაზილიელი თავდამსხმელი **კარვალიო ამაური**. *"ის ჩვენთან არ ითამაშებს. ვცადეთ მასთან მოლაპარაკება, მაგრამ მალევე შევწყვიტეთ. მის კანდიდატურას აღარ განვიხილავთ,"* – თქვა დეშამმა. როგორც ჩანს, სამხრეთამერიკელმა დიდი ანაზღაურება მოითხოვა. ფეხბურთელს "ქალბატონთან" კონტრაქტი 2012 წლის ივლისში ეწურება და რაკი მსურველებს მისი ტრანსფერი ძვირი აღარ უჯდებათ, ფეხბურთელი ამისგან სარგებლის ნახვას ცდილობს, მაგრამ ჯერ არ გამოსდის.

სამაგიეროდ, "მარსელს" იტალიაში მოთამაშე მეორე ფეხბურთელი აინტერესებს. ლაპარაკია "ლაციოს" ალბანელ საყრდენ ნახევარმცველ **ლორიკ კანაზე**. ის 7 წლის განმავლობაში თამაშობდა საფრანგეთში, ჯერ პსჟ-ში, შემდეგ "მარსელში", საიდანაც ჯერ "გალათასარაიში" გადავიდა, ბოლოს კი "ბიანკოჩელესტიში" აღმოჩნდა. თუმცა ის რომაული კლუბის ძირითადში ვერ ხვდება. ალბანელის ანგარიშზე სერია A-ში სულ 5 მატჩია. 28 წლის კანას "ლაციო" 7,5 მილიონად აფასებს.

"მარსელის" პრეზიდენტის **ვენსან ლაბრუინის** განცხადებით, კლუბი არ აპირებს **მატიე ვალბუენას** გაყიდვას. ფეხბურთელს ესპანეთიდან და იტალიიდან სარფიანი წინადადებები აქვს. ის არც თავადაა წინააღმდეგი "ველოდრომის" დატოვების. *"გუშინ მთელი საათი ველაპარაკე მის აგენტს და გასაგებად ავუხსენი, რომ ჩვენ მისი შენარჩუნება გვწადია. დიახ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ იყო მომენტი, როცა კლუბს ფინანსური პრობლემები ჰქონდა და მის გაყიდვას დავთანხმდებოდით, მაგრამ ამწუთას მატიეს გასხვისების ვარიანტს არცკი განვიხილავთ. კლუბისთვის ამ ეტაპზე პრიორიტეტი სპორტული წარმატებებია. ვალბუენა ემოციური ადამიანია. მესმის მისი იმედგაცრუებების, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ამ დღეებში ყველა გაუგებრობას წერტილს დავუსვამთ,"* – თქვა ლაბრუინმა.

დაბოლოს, "მარსელის" "სუსტ წერტილზეც" მოგახსენებთ. 26 წლის თავდამსხმელ **პიერ-ანდრე ჟინიაკში** კლუბმა 2010 წელს "ტულუზს" 16 მილიონი ევრო გადაუხადა, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო. ჩვენი ფრანგი კოლეგები წერენ, რაც დროს გადის, მით უფრო აშკარაა, რომ "ოლიმპიკმა" ამხელა ფული ქარს გაატანაო. ჟინიაკმა შარშან ტრავმა რამდენჯერმე მიიღო, თუმცა ჯანმრთელი როცა იყო, ვერც მაშინ თამაშობდა ისე, როგორც მისგან ელოდნენ. თავდამსხმელი ახლაც ტრავმირებულია. პიერ-ანდრეს ამ დღეებში მარცხენა ბარძაყის კუნთზე ოპერაცია გაუკეთეს. თავდაპირველად დაიწერა, ფორმაში შესასვლელად 4-დან 6 კვირამდე დასჭირდებაო, მაგრამ ქირურგები ოპერაციის შემდგომ რეაბილიტაციის ხანგრძლივობაზე უკვე ველარაფერს ამბობენ. დაზიანება იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ.



მარსელს მატიე ვალბუენა არ ეთმობა

უეფა



# სკანდალი და გამოძიება

რემი გარდის გუნდმა თავი დიდი შარში გაყო

როგორც ჩანს, სკანდალი, რომელიც ზაგრების "დინამოსა" და "ლიონის" მატჩის ირგვლივ აგორდა, ასე იოლად ვერ მინელდება. ყოველ შემთხვევაში დაზარალებული "აიაქსი" დადუმებას არ აპირებს. უეფა კი, ჩვეული მანერით, პოლიტკორექტულობას ინარჩუნებს და ჯერ არც მწვადს წვავს, არც შამფურს. *"ჩემპიონთა ლიგის მატჩებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. იმისთვის, რომ ჩაწყობილ მატჩებს ვებრძოლოთ, დავნერგეთ სისტემა, რომელიც საბუკმეკერო კანტორებში ასეთ შემთხვევებს ავლენს. ტოტალიზატორები რეგულარულად გვაწვდიან ინფორმაციას, ფიქსირდება თუ არა ამა თუ იმ თამაშზე უჩვეულო აქტივობა. ამისთვის დაახლოებით 400 წყარო გვყავს. ლაპარაკია წელიწადში დაახლოებით 29 ათასი მატჩის შედეგის კონტროლზე. ამ სისტემას "დინამო"-"ლიონის" მატჩზე ასეთი აქტიურობა არ დაუფიქსირებია. ჩვენ ველოდებით მატჩის მთავარი არბიტრისა და დელეგატის დაწვრილებით მოხსენებით ბარათებს. მათ გულწრფელად უნდა თქვან, დააფიქსირეს თუ არა რაიმე საეჭვო. თუკი მსგავსი ტექსტი იქნება, აუცილებლად მივმართავთ სადისციპლინო კომიტეტს, რათა გამოძიება დაიწყოს. ჯერჯერობით ძიების დასაწყებად საფუძველი არ გვაქვს,"* – ნათქვამია უეფას განცხადებაში.

აქვე გეტყვით, რომ საფრანგეთში მოქმედმა ორგანო "არიელმა", რომელიც ფსონების დადებას აკონტროლებს, თავის მხრივ გამოძიების დაწყების შესახებ განცხადება უკვე გააკეთა. ატეხილ ხმაურზე ბუნებრივია, რეაქცია ჰქონდა "დინამოს" ხელმძღვანელობასაც, რომელმაც თამაშის გაყიდვის ვერსია კატეგორიულად უარყო. *"მასმედიის მთელმა რიგმა საშუალებებმა დაწერეს, რომ "ლიონთან" ჩვენს შეხვედრას არასპორტული ხასიათი ჰქონდა, რაც ჩვენს აღშფოთებას იწვევს. გამოდის, რომ ჩვენი მეტოქის წარმატება არათუ დაუფასებელი, არამედ ეჭვქვეშაც კი დგება. ეჭვს კი თურმე ის იწვევს, რომ "ლიონმა" ზუსტად იმდენი გოლი გაიტანა, რამდენიც სჭირდებოდა – 7 და შემდეგ რაუნდში გავიდა. "დინამო" არასოდეს დათანხმდება 1:7-ს არც ჩემპიონთა ლიგაში და არც რომელიმე სხვა ტურნირში. ეს უბრალოდ იყო სამარცხვინო მარცხი, საიდანაც ჩვენ სათანადო გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ. ვგმობთ პრესის რეაქციას ამ შეხვედრაზე, რადგან "დინამომ" მატჩი რიცხობრივ უმცირესობაში ჩაატარა ძალით მასზე აღმატებულ და საოცრად მოტივირებულ გუნდთან. მასმედიას ვთხოვთ, შეწყვიტოს უსაგნო სპეკულაციები,"* – ვკითხულობთ "დინამოს" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

**ლევან ბიბილაშვილი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტურის წინ

**ბუნდესლიგა 2011/2012 ეკვატორს უახლოვდება – ორი ტურიც და გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდება, შემოდგომის ჩემპიონობისთვის ბრძოლა კი დრამატულად მიმდინარეობს. პირველი წრის მოგების ერთ-ერთმა კანდიდატმა „შალკემ" გუშინ ბერლინში ითამაშა, დღეს კი ლიდერებიდან მიონხენგლადბახის „ბორუსიაა" ყურადღების ცენტრში – ლუსიენ ფავრის გუნდი აუტსაიდერ „აუგსბურგს" სტუმრობს და თუ მოიგო, მინიმუმ ერთი დღით გალიდერდება. დღევანდელი შეხვედრებიდან საკმაოდ საინტერესოა „ვერდერისა" და „ვოლფსბურგის" ჩრდილოური დუელი, ასევე სალამოს გასამართი შეხვედრა „ჰანოვერსა" და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტ „ლევერკუზენს" შორის. ტურის მთავარი მოვლენები კი ხვალ განვითარდება: დორტმუნდის „ბორუსია" „კაიზერსლაუტერნს" მიიღებს, „ბაიერნი" კი ცენტრალურ შეხვედრაში „შტუტგარტს" სტუმრობს.**

# დღეს ჟურნალი, ხვალ კინო



კიოლნისა და ფრაიბურგის ბოლო დუელში თხების მეკარე მიხაელ რენზინგმა პაპის დემბა სისეს გოლი არ გაატანინა („თხებმა" 1:0 მოიგეს)

## განაგრძობს გლადბახი წარმატებულ სვლას?

შარშან ამ დროს „აუგსბურგისა" და „გლადბახის" დუელში ფავორიტს ვერ გამოვარჩევდით, ახლა კი „ბორუსია" აშკარა ფავორიტია, რადგან ფავრის შეგირდები სენსაციურად ასპარეზობენ, ხოლო „აუგსბურგი" კი, მართალია, ელიტაში გადმოვიდა, მაგრამ ბოლო ადგილზე „ბუქსაობს". მიონხენგლადბახელებმა ბოლო ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და არ არსებობს ლოგიკური მიზეზი, რის გამოც აუგსბურგში უნდა წაიფორხილონ, თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ფეხბურთში ალოგიკურიც ბევრი ხდება.

„ვერდერისა" და „ვოლფსბურგის" დაპირისპირება ორი გულმოკლული გუნდის ჯახია. ბრემენელები წინა ტურში მეცხრე ციდან მიწაზე დაეშვნენ: „ბაიერნთან" 1:4 წააგეს, რის შემდეგაც „მუსიკოსების" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** ერთმნიშვნელოვნად თქვა, გერმანიის ჩემპიონობის კანდიდატები არ ვართ და ყველას ვთხოვ, ეს სტატუსი ჩვენთან მიმართებაში აღარ ახსენოთო. თუმცა ფეხბურთელებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ „ვერდერს" იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე ახერხებს. ბრაზილიელი მცველი **ნალდო** ამბობს, ჩემპიონობა რომ არ შეგვეძლოს, 15 ტურის შემდეგ მე-5 ადგილზე არ ვიქნებოდითო, რაშიც ნალდადაა სიმართლის მარცვალი. ოღონდ მხოლოდ მარცვალი და მეტი არაფერი... **თომას შააფს** ძირითადი მეკარე **ტიმ ვიზე** უბრუნდება, სამაგიეროდ, **აარონ ჰანტის** (დისკვალიფიკაცია), **მეჰმეთ ექიჩისა** (ტრავმა) და **მარკო მარინის** (ასევე ტრავმა) სახით სამი წამყვანი ნახევარმცველი არ ეყოლება. „ვოლფსბურგში" კი უკვე სრული ქაოსია, რადგან **ფელიქს მაგათის** გუნდი ცუდად გამოიყურება – „მგლებს" ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ ხუთი ქულა აქვთ აღებული. „მაინცთან" 2:2-ის შემდეგ, მაგათმა შეგირდები დაცოფა – უკანასკნელი მშიშრებივით თამაშობდნენო. გამოილო თუ არა ფელიქსის ლანძღვამ შედეგი, ამას დღეს გავიგებთ.

## ვინ ამოქვრება ქვესკნელიდან?

„მაინცი" ფორმაში შესულ და აზრზე მოსულ „ჰამბურგს" მასპინძლობს. თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ ბოლო დროს **თომას ტუხელის** შეგირდებიც გამოსწორდნენ - „მაინცი" ერთი კვირის წინ „ვოლფსბურგთან" 0:2-ს აგებდა და ქულა გადაარჩინა. „ჰამბურგმა" წინა ტურში „ნიურნბერგი" დაამარცხა (2:0), მაგრამ შეხვედრაში მარტო ანგარიში დაფიქსირდა ჩრდილოელთათვის მოსაწონი, თამაშით კი, HSV-მ დიდი ვერაფერი ფეხბურთი შემოგვთავაზა. სამაგიეროდ, კარგი იყო ის, რომ ტორსტენ ფინკის გუნდმა გასავარდნ ზონას თავი დააღწია. სადღეისოდ, „მაინცსა" (16 ქულა) და „ჰამბურგს" (17) ერთმანეთისგან მხოლოდ ერთი ქულა აშორებთ – ასე რომ, ამ დუელში გამარჯვებული მშვიდად გამოიზამთრებს.

ასეთ გარანტიამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია „ფრაიბურგს" (13 ქულა), რომელიც ამ ტურში კიოლნში (17) ჩადის. მართალია, „ფრაიმ" ბოლო დროს ქულების დაგროვება დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ფრეებით და შესაბამისად, ცხრილში მდგომარეობა ვერ გამოისწორა. იანვრის მოახლოვებასთან ერთად, ორივე გუნდის ქომაგები ნერვიულობენ, რადგან მთავარი გოლეადორების დაკარგვის საფრთხე ემუქრებათ - „ფრაიბურგს" **პაპის დემბა სისესი**, „კიოლნს" კი **ლუკას პოდოლსკისა**. ამ უკანასკნელმა წინა ტურში უმნიშვნელოვანესი დუბლი შეასრულა, რითაც „თხებს" შტუტგარტში ქულა გადაურჩინა (2:2).

„ნიურნბერგი" (15 ქულა) „ჰოფენჰაიმს" (18) მასპინძლობს. წინა ტურში განცდილი მარცხი ნიურნბერგელთათვის ამ სეზონის სავიზიტო ბარათივით იყო, რადგან **დიტერ ჰეკინგის** შეგირდებმა ისევ ბევრი მომენტი შექმნეს, მაგრამ გოლები კვლავ ვერ გაიტანეს. ეს მოვლენა ნამდვილად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ აქვს „ნიურნბერგს" ასე ცოტა ქულა, მაგრამ ამით გუნდის მდგომარეობა არ სწორდება. ფრანკებს „ჰოფენჰაიმთან" უკეთესის იმედი აქვთ – მით უმეტეს, რომ „სოფლელები" აჭრილები არიან. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ჰოფე" „ნიურნბერგთან" არასდროს დამარცხებულა (2 მოგება, 2 ფრე).

## წარმატებული ევროტურნირელები

„ჰანოვერისა" და „ლევერკუზენის" სახით დღეს ორი ისეთი გუნდი ხვდება ერთმანეთს, რომლებმაც ევროტურნირების მისიები შეასრულეს – „წითლებმა" ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი გადალახეს, „ფარმაცევტები" კი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ „ჰანოვერმა" არსებობის ისტორიაში ასეთ წარმატებას პირველად მიაღწია. ამრიგად, ამიერიდან ორივე გუნდი მხოლოდ ბუნდესლიგაზეა კონცენტრირებული და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „ლევერკუზენი" გერმანიის ჩემპიონატში ბოლო დროს კარგად გამოიყურება (3 მოგება, 2 ფრე), „ჰანოვერი" კი – არა (0 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება).

## ჩემპიონი გიოტცეს გარეშე?

დორტმუნდის „ბორუსიამ" ჩემპიონთა ლიგაში ბუნდესლიგა შეარცხვინა – ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. „კაიზერსლაუტერნთან" საშინაო შეხვედრაში კი, რომელსაც BVB ხვალ გამართავს, **იურგენ კლოპი** ვერც **სვენ ბენდერს** გამოიყენებს, ვერც **მორიტც ლაიტნერს** და ვერც **სებასტიან კელს**. სამივე საყრდენი ნახევარმცველია, რაც იმას ნიშნავს, რომ დორტმუნდს შუა ხაზში პრობლემები აქვს. შესაბამისად, კლოპს სხვა გზა აღარ რჩება: საყრდენებად **ილქაი გიუნდოგანისა** და ვეტერანი **ანტონიო და სილვას** წყვილი უნდა ათამაშოს. კითხვის ნიშნის ქვეშაა **მარიო გიოტცეს** ასპარეზობაც.

მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, დორტმუნდელები „ლაუტერნთან" სამი ქულის მოპოვებას გეგმავენ და წესით, მოგება მართლა არ უნდა გაუჭირდეთ - რაც არ უნდა იყოს, „კაიზერსლაუტერნი" არის გუნდი, რომელსაც ყველაზე ცოტა, სულ რაღაც 11 გოლი აქვს გატანილი. ამიტომაცაა, „ეშმაკების" მცველმა **დიკმა**, კაიზერსლაუტერნელთა მიზანი ასე რომ გამოხატა: *„იმედია, „ბორუსიას" ცუდი დღე გაუთენდება, ჩვენ კი კარგი."*

## სამხრეთის დერბი შტუტგარტში

კითხვაზე, თუ რომელი გუნდი იქნება ბუნდესლიგის ცხრილის ლიდერი 16 ტურის შემდეგ, „ბაიერნის" ნახევარმცველმა **ტონი კროოსმა** დაუფიქრებლად უპასუხა – რა თქმა უნდა, რეკორდმაისტერიო. მიუნხენურ გრანდს ამისათვის შტუტგარტიდან სამი ქულის წაღება სჭირდება. „შტუტგარტი" ნორმალურ ფორმაშია და ასე ვთქვათ, არც იქითაა და არც აქეთ, გუნდის თავკაც **ბრუნო ლაბადიას** კი კარგად ეხსომება წინა სეზონის ჯახი „ბაიერნთან", რომელიც ბავარიელებმა 5:3 მოიგეს – ის შეხვედრა ლაბადიას დებიუტი იყო შვაბენლანდური კლუბის მთავარი მწვრთნელის რანგში. მას მერე „შტუტგარტი" გაცილებით სტაბილურია, მაგრამ იქნება კი ეს საკმარისი იმისათვის, რომ „ბაიერნთან" არ დამარცხდეს?

### გუშინ

**ჰერთა–შალკე 1:2**

**ჰერთა (4-2-3-1):** კრაფტი - ლელი, ჰუბნიკი, მიატოვიჩი, **კობიაშვილი** - ოტლი, ნიემაიერი (80. რონი) - ებერტი (70. თორუნი), რაფაელი, რამოსი - ლასოგა.

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი - ჯონსი, ჰოლთბი (67. მორიტცი) - ხურადო (87. ჰოგერი), რაული, პუკი (73. დრაქსლერი) - ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 ჰუნტელაარი (20), 1:1 რამოსი (25), 1:2 პუკი (44)

**გაფრთხილება:** ჯონსი

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 7-8 (2-4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 52 000

### დღეს

**ვერდერი–ვოლფსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰანტი – ჰასები, ჰელმესი

**ტრავმა:** ბიონიში, სილვესტრი, ბოროვსკი, ექიჩი, მარინი, სტევანოვიჩი, ავდიჩი - ჰლები

**მაინცი–ჰამბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პოლანსკი (მაინცი)

**ტრავმა:** ნოვესკი, რისსე, სალაი – მიკელი, არსლანი, კასტელენი, სალა, ბერგი

**ნიურნბერგი–ჰოფენჰაიმი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ნილსონი, პინოლა, ფრანტცი – იბერტსბერგერი, იაისლე, ობასი

**კიოლნი–ფრაიბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ანდრეზინიო, პეტიტი, ჩიჰი, ნოვაკოვიჩი – ბართი, მუიჯა, ბიკელი

**აუგსბურგი–ბორუსია (მ) 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** იენტცში, ბელინგჰაუზენი, ს. ლანგკამპი, მიორლე, მ. ნდიენგი, რაფაელი – ნორდტვეიტი, როისი, კინგი

**ჰანოვერი–ლევერკუზენი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ანდრეასენი, კარლიტოსი, ჰაუგერი – ადლერი, ტოპრაკი, ბარნეტა, რენატო

### ხვალ

**ბორუსია (დ)–კაიზერსლ. 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კოხი, სუბოტიჩი, ს. ბენდერი, კელი, ლაიტნერი – შიმუნეკი, ამრი, ბილეკი, ვერმუთი, მიჩანსკი

**შტუტგარტი–ბაიერნი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ციგლერი, ბულარუზი, ჩელოცი, დელპიერი, აუდელი – ბრენო, შვაინშტაიგერი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 15 | 10 | 1 | 4 | 38-9 | 31 |
| 2. შალკე | 16 | 10 | 1 | 5 | 33-22 | 31 |
| 3. ბორუსია (დ) | 15 | 9 | 3 | 3 | 30-10 | 30 |
| 4. ბორუსია (მ) | 15 | 9 | 3 | 3 | 24-10 | 30 |
| 5. ვერდერი | 15 | 8 | 2 | 5 | 26-25 | 26 |
| 6. ლევერკუზენი | 15 | 7 | 4 | 4 | 22-19 | 25 |
| 7. შტუტგარტი | 15 | 6 | 4 | 5 | 22-27 | 22 |
| 8. ჰანოვერი | 15 | 5 | 6 | 4 | 19-23 | 21 |
| 9. ჰერთა | 16 | 4 | 7 | 5 | 21-25 | 19 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 15 | 5 | 3 | 7 | 16-18 | 18 |
| 11. ჰამბურგი | 15 | 4 | 5 | 6 | 20-26 | 17 |
| 12. კიოლნი | 14 | 5 | 2 | 7 | 22-31 | 17 |
| 13. ვოლფსბურგი | 15 | 5 | 2 | 8 | 21-30 | 17 |
| 14. მაინცი | 14 | 4 | 4 | 6 | 21-27 | 16 |
| 15. ნიურნბერგი | 15 | 4 | 3 | 8 | 14-26 | 15 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 15 | 3 | 5 | 7 | 11-19 | 14 |
| 17. ფრაიბურგი | 15 | 3 | 4 | 8 | 20-31 | 13 |
| 18. აუგსბურგი | 15 | 2 | 5 | 8 | 13-27 | 11 |

**ბომბარდირები:** 14 – ჰუნტელაარი (შალკე); 13 – გომესი (ბაიერნი); 11 – პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 10 – ლევანდოვსკი (ბორუსია დ), როისი (ბორუსია მ); 9 – სისე (ფრაიბურგი); 8 – აბდელაუე (ჰანოვერი), მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი), რიბერი (ბაიერნი).

● მოსალოდნელი ტრანსფერი



შალკეს ბოსმა კლემენს ტიონიესმა დაადასტურა, რომ ლუკას პოდოლსკის ყიდვა უნდა

# შალკემ თქვა: პოდოლსკი!

## კიოლნი პრინცს 25 მილიონად აფასებს, ლუკასი თავის ბედს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადაწყვეტს

**ლუკას პოდოლსკი** რომ „კიოლნიდან" წასასვლელად ემზადება, ამაზე ბოლო დროს რამდენჯერმე დავწერეთ. გერმანიის ნაკრების 26 წლის თავდამსხმელს არაერთი მთხოვნელი გამოუჩნდა, რადგან ძალიან კარგ ფორმაშია – ყველაზე მეტად ლონდონის „არსენალი" აქტიურობდა. სერიოზულადაა დაინტერესებული რომის „ლაციოც", სადაც ლუკასის მეგობარი **მიროსლავ კლოზე** თამაშობს. ახლა კი, პოლდისთვის ბრძოლაში „შალკეც" ჩაება – როგორც ჩანს, გელზენკირხენელებს პოდოლსკი რაულის შემცვლელად სურთ (34 წლის ესპანელს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და წასვლა უნდა).

გუშინ „შალკეს" შეფებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ პოდოლსკის უმიზნებენ. ჯერ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** თქვა, ლუკასი ბრწყინვალე ფეხბურთელია და შესაბამისად, მასზე ჩვენც ვფიქრობთო, მერე კი გელზენკირხენული კლუბის მთავარმა ბოსმა **კლემენს ტიონიესმაც** განაცხადა, ლუკასი ჩვენთვისაც თემააო.

„შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში პოდოლსკიზე „შალკეს" თავკაცმა **ჰუუბ სტევენსმაც** ისაუბრა – ჰოლანდიელმა სპეციალისტმა, რომელიც ლუკასს „კიოლნში" ჯერ კიდევ 2005 წელს ავარჯიშებდა, თქვა: *„პოდოლსკი სწრაფია, აქვს უძლიერესი დარტყმა და შესანიშნავი საგოლე ალღო. თანაც, ჯერ მხოლოდ 26 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კარიერის საუკეთესო წლები წინ აქვს."*

ცხადია, კომენტარი თავად ფეხბურთელმაც გააკეთა: *„ვიცი, რომ „შალკე" დაინტერესებულია. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პირველ რიგში „კიოლნს" ველაპარაკები."*

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „კიოლნი" პოდოლსკის 25 მილიონ ევროდ აფასებს. მას „თხებთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და სპორტულ დირექტორ **ფოლკერ ფინკეს** ახალი ხელშეკრულების გაფორმება ძალიან უნდა, მაგრამ დიდი შანსია, რომ არაფერი გამოუვიდეს, რადგან თავდამსხმელს აშკარად წასვლა სურს. 25 მილიონი გაბერილი თანხაა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ინგლისური პრესის ცნობით, „არსენალი" მზადაა, 23 მილიონი გადაიხადოს. ამას წინათ, „კიოლნს" მოსკოვის ლოკომოტივის ბოსები დაუკავშირდნენ და 13 მილიონი შესთავაზეს, რაზეც მტკიცე უარი მიიღეს.

მიმომხილველთა აზრით, პოდოლსკი საბოლოო გადაწყვეტილებას ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მიიღებს. ესეც გასაგებია, რადგან იმედი აქვს, რომ ევრო 2012-ზე კარგად ითამაშებს და უფრო დიდ გუნდებსაც დააინტერესებს. სწორედ ასე მოხდა **მესუთ იოზილისა** და **სამი ხედირას** შემთხვევაში, რომლებიც 2010 წლის მუნდიალის შემდეგ მადრიდის „რეალში" გადავიდნენ. ასე რომ, ზაფხულამდე პოდოლსკის ნამდვილად არსად ეჩქარება...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ესპანეთი. ლა ლიგა. XV ტურის წინ

# ფარით თუ ფარზე

## თამაში, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს

**ესპანეთის ჩემპიონატის მე-15 ტურის 10 წყვილიდან დღეს მხოლოდ ერთზე დავწერთ. დაე, სხვა გუნდების გულშემატკივრებმა ამ ერთხელ გვაპატიონ, დღეს ხომ დიდი მატჩია, რიგით 216-ე „ელ კლასიკო“!**

### დღეს

**ლევანტე-სევილია 21:00**

**ტრავმა:** არანდა, დელ ორნო, ნანო (?) (ლევ)

**ბეტისი-ვალენსია 23:00**

**ტრავმა:** ვადილიო, მონტერო (?), სევილია (?) - კანალესი, მადურო, ბანეგა (?)

**რეალი-ბარსელონა 01:00**

**ტრავმა:** რიკარდო კარვალიო (?) - აფელაი, ადრიანო (?)

### ხვალ

**რაიო ვალეკ.-სპორტინგი 15:00**

**ტრავმა:** ლორა (სპორ)

**დისკვალიფიკაცია:** ხორდი, ფუეგო - ეგურენი

**ხეტაფე-გრანადა 19:00**

**ტრავმა:** უსტარი, პედრო ლეონი, გუისა - მარტინში, ლუსენა, მ. რიკო, მაინსი

**ვილიარეალი-სოსიედადი 19:00**

**ტრავმა:** როსი, კატალა - კადამურო, ილარამენდი, ბერგარა (?), ჩაბი პრიეტო (?), დე ლა ბელა (?)

**მალაგა-ოსასუნა 21:00**

**ტრავმა:** ბაპტიშტა, მარესკა (?) - ეჩაიდე, მასუდი, ბერტრანი (?), გარსია (?), რუბენი (?)

**დისკვალიფიკაცია:** ნეკუნამი, დამია

**სარაგოსა-მალიორკა 21:00**

**ტრავმა:** სილვა, ბრაულიო, მეირა (?) - ლაკრუსი, კასტრო

**ბილბაო-რასინგი 22:45**

**ტრავმა:** კასტილიო, გურპეგი, მარტინესი, ოსიო, ანდერი (?) - სამპერიო, კენედი, ფრანსისი

**ესპანიოლი-ატლეტიკო 00:30**

**ტრავმა:** მატიონი, მარკესი, ალბინი, პანდიანი (?), ს. გარსია (?), ლოპესი (?) - კოშტა, სილვიო (?)

**დისკვალიფიკაცია:** ვეისი (ესპანიოლი)

*? ნიშნით - ფეხბურთელის თამაში საეჭვოა.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 14 | 12 | 1 | 1 | 49-10 | 37 |
| 2. ბარსელონა | 15 | 10 | 4 | 1 | 47-7 | 34 |
| 3. ვალენსია | 14 | 9 | 3 | 2 | 23-14 | 30 |
| 4. ლევანტე | 14 | 8 | 2 | 4 | 23-17 | 26 |
| 5. სევილია | 14 | 6 | 6 | 2 | 16-10 | 24 |
| 6. მალაგა | 14 | 7 | 2 | 5 | 19-19 | 23 |
| 7. ოსასუნა | 14 | 5 | 6 | 3 | 18-26 | 21 |
| 8. ატლეტიკო | 14 | 5 | 4 | 5 | 21-21 | 19 |
| 9. ბილბაო | 14 | 4 | 6 | 4 | 20-17 | 18 |
| 10. ესპანიოლი | 14 | 5 | 2 | 7 | 11-17 | 17 |
| 11. ვალეკანო | 15 | 4 | 4 | 7 | 16-22 | 16 |
| 12. გრანადა | 14 | 4 | 4 | 6 | 8-14 | 16 |
| 13. სოსიედადი | 14 | 4 | 3 | 7 | 15-22 | 15 |
| 14. მალიორკა | 14 | 3 | 6 | 5 | 13-20 | 15 |
| 15. ვილიარეალი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-20 | 14 |
| 16. ხეტაფე | 14 | 3 | 4 | 7 | 14-22 | 13 |
| 17. ბეტისი | 14 | 4 | 1 | 9 | 13-21 | 13 |
| 18. რასინგი | 14 | 2 | 6 | 6 | 10-20 | 12 |
| 19. სპორტინგი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-24 | 12 |
| 20. სარაგოსა | 14 | 2 | 4 | 8 | 12-28 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - გონსალო იგუაინი (რეალი); 9 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 8 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 7 - ქარიმ ბენზემა (რეალი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა).

**ასისტენტები:** 11 - ანხელ დი მარია (რეალი); 7 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - დანიელ ალვეში (ბარსელონა), ჩავი (ბარსელონა), მესუთ იოზილი (რეალი), არდა თურანი (ატლეტიკო), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), რაულ გარსია (ოსასუნა).

### ვინ, რა თქვა

**ვისენტე დელ ბოსკე** (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი): „როცა „რეალში“ ვმუშაობდი, მახსოვს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბარსას“ წინააღმდეგ გუნდი სამი მცველით ვათამაშე და მაშინ „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო. „ბარსას“ მადრიდელთა წინააღმდეგ წარმატებული თამაშის რამდენიმე ვარიანტი აქვს, რომელთაგანაც პეპ გვარდიოლამ ყველაზე ნაღდი უნდა აირჩიოს. ვფიქრობ, რომ „რეალის“ წინააღმდეგ სამი მცველით თამაში გაამართლებს. მიხარია, რომ ორივე გუნდმა ესპანური ფეხბურთის იმიჯი მსოფლიო ფეხბურთში ერთი-ორად მაღალ დონეზე აიყვანა. რაც ყველაზე მთავარია, ორივეს სხვადასხვა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილი აქვს. „რეალი“ და „ბარსა“ მსოფლიოს ორი საუკეთესო გუნდია. ჩემი პრობლემა „რეალის“ ხელმძღვანელობასთან მხოლოდ პირადი ხასიათისაა და გუნდს ამის გამო ვერაფერში დავადანაშაულებ, თუმცა ტრიბუნაზე ფლორენტინო პერესი თუ შემხვდება, რა თქმა უნდა, მივესალმები“.

**ხოსე მარი ბაკერო** („ბარსას“ ყოფილი ვარსკვლავი, ახლა პოზნანის „ლეხის“ მწვრთნელი): „ეს კლასიკო „ბარსელონასთვის“ უფრო მნიშვნელოვანია. თუკი ისინი ვერ შეძლებენ მოგებას, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ კარგად ითამაშებენ, მათთვის დიდი დარტყმა იქნება და შეიძლება სეზონის ბოლომდეც ვერ მოვიდნენ გონს და ტიტული „რეალს“ დარჩეს. მადრიდელებმა უნდა შეუტიონ. ის თამაში, რაც მათ შარშანდელი სეზონის კლასიკოებში აჩვენეს, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებაა“.

**ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა): „რამდენი ხანია აქ ვარ და ასეთი ძლიერი „ბარსელონა“ არ მინახავს. გუნდი ყოველ წელს უკეთ თამაშობს. ჩვენი მიზანიც ეს არის - წინსვლა. გუნდი ამ კურსს არ გადაუხვევს, ტექნიკურად, ფიზიკურად და ტაქტიკურად ჩვენ ძალიან წინ წავედით. „ბარსას“ მოტივაცია არსად გამქრალა, იმიტომ, რომ მოგებებით ვერ დაიღლები. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ამჯერად მეტოქეც დიდებულად მოემზადა. ძალიან დიდი ბრძოლა გველის და ეს მე ბრძოლის ჟინით მავსებს“.

**იოჰან კრუიფი**: „ვინ არის ფავორიტი? ერთის თქმა შემიძლია, რომ „ბარსელონა“ „რეალის“ წინააღმდეგ მხოლოდ მოსაგებად გადის. მოდი, ვნახოთ, ვინ იმარჯვებს შაბათს. კლასიკო ვერ გადაწყვეტს ტიტულის ბედს, რადგან ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი ტური დარჩა. როგორც უნდა დასრულდეს შაბათის მატჩი, მისი შედეგი არ იქნება გადამწყვეტი. ეს მხოლოდ ერთი თამაშია და მეტი არაფერი“.

**ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა): „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამარჯვება ერთ რამედ ღირს. ახლა კი მოგებას განსაკუთრებული ფასი აქვს, ჩვენი სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით. კლასიკო მაინც სხვა მატჩია. ხშირად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ როგორ ფორმაშია, ვინ რომელ ადგილზეა, ეს არის თამაში, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს“.

**არსენ ვენგერი** („არსენალის“ მწვრთნელი): „შაბათს მსოფლიოს ორი საუკეთესო გუნდის დაპირისპირებას ვნახავთ. ეს ისეთი შეხვედრაა, რომლის ყურებაც ალბათ მთელ მსოფლიოს სურს. „რეალს“ შესანიშნავი შანსი მიეცა დაამტკიცოს, რომ „ბარსელონასთან“ ჩამორჩენა შეამცირა. არა მგონია, კატალონიელების წინააღმდეგ დაცვითმა თამაშმა გაამართლოს, „რეალმა“ უნდა შეუტიოს, დარწმუნებული ვარ, მადრიდელები ამას გააკეთებენ კიდევაც. მაგრამ ესეც სარისკოა, ერთი მოდუნებაც და მესი და მთელი „ბარსა“ აქეთ შემოგიტევს“.

**კაკა** (რეალი): „რეალი“ შესანიშნავ ფორმაშია, თუმცა მჯერა, რომ მომატება კიდევ შეგვიძლია, არის საამისო რესურსი. რაც მთავარია, ჩვენ სწორი მიმართულებით ვმუშაობთ. კლასიკოზე ბევრს ვფიქრობთ და ცოტას ვლაპარაკობთ. ეს იქნება სპეციალური მატჩი“.


მოუ VS პეპი

### რას იზამს მოურინიო?

**ჟოზე მოურინიომ** ალბათ უკვე გადაწყვიტა სტრატეგიულად როგორ მიუდგეს თამაშს: პრაგმატულად, თუ მასზე დიდ ფსონს ჩამოვიდეს, „ბარსას“ წელში გატეხვის იმედით. ისევ „ოპერაცია ფარს“ დავუბრუნდეთ, რომელიც ესპანურ წყაროებს რეალურ ვარიანტად მიაჩნიათ: თითქოს, მოურინიო ერთდროულად სამი დაცვითი ტიპის ნახევარმცველს ათამაშებს (სავარაუდოდ, **ჩაბი ალონსოს, სამი ხედირას** და **ლასანა დიარას**). ამ შემთხვევაში „რეალის“ ტაქტიკა იქნება 4-3-3, ოღონდ დაცვითი ტიპის (მას შეიძლება 4-3-2-1 ვუწოდოთ). „ფარის“ გარეშე, მოუს სხვა გზა არა აქვს - ისევ ჩვეული 4-2-3-1 უნდა ათამაშოს გუნდი. თამაშის მიხედვით განსხვავება დიდი იქნება, პირველი ვარიანტი „ბარსას“ შემტევების მოედნის ცენტრთან ახლოს „მოხრჩობას“ ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში ერთი შემტევი ნახევარმცველი უნდა ამოვარდეს (ლასანა დიარა რომ მოხვდეს სასტარტოში) და ის შეიძლება **მესუთ იოზილი** იყოს. თუკი, ჟოზე ძველებურ ტაქტიკას არჩევს, მაშინ მხოლოდ ერთი დეტალი იქნება გადასაწყვეტი - ვინ იქნება ცენტრფორვარდი? **გონსალო იგუაინი** თუ **ქარიმ ბენზემა.** „განსაკუთრებულმა“ უკვე დააკონკრეტა, რომ ორივეს ერთდროულ თამაშს გამორიცხავს. „ფარის“ შემთხვევაში, ცხადია, პორტუგალიელი არგენტინელ ფორვარდს არჩევს, მიზეზი ორია: ჯერ ერთი, იგუაინი ოდნავ უკეთ და შედეგიანად თამაშობს, ვიდრე ფრანგი, მეორეც ბენზემას ყველაზე უკეთ პარტნიორთაგან იოზილი უგებს, რომელიც „ფარის“ შემთხვევაში სათადარიგო იქნება.

**რეალი. სავარაუდო I**

ფარით (4-3-3): *იკერ კასილიასი - ალვარო არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ლასანა დიარა, ჩაბი ალონსო, სამი ხედირა - ანხელ დი მარია, გონსალო იგუაინი, კრიშტიანო რონალდო.*

**რეალი. სავარაუდო II**

უფაროდ (4-2-3-1): *იკერ კასილიასი - ალვარო არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - სამი ხედირა, ჩაბი ალონსო - ანხელ დი მარია, მესუთ იოზილი, კრიშტიანო რონალდო - ქარიმ ბენზემა.*

### რას იზამს გვარდიოლა?

გვარდიოლას სულ სხვა საფიქრალი აქვს - მან წარმატებით შეძლო გუნდის 3-4-3 სქემაზე გადაყვანა. „ბარსელონა“ სამი მცველითაც ჩვეულად ათამაშდა, მაგრამ გარისკავს კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პეპი? ერთი მხრივ, მართალია კრუიფი - „ბარსა“ მუდამ მოსაგებად გადის „რეალთან“ დაპირისპირებაში, მაგრამ განა 4-3-3 შემტევი ტაქტიკა არ არის? რა საჭიროა, შემტევი სუპერშემტევად აქციო და კონტრშეტევებზე მსოფლიოში საუკეთესოდ მოთამაშე გუნდს ამით შანსი მისცე?

**ბარსელონა. სავარაუდო I**

4-3-3: *ვიქტორ ვალდესი - დანი ალვეში, ჟერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, ერიკ აბიდალი - ჩავი, სერხიო ბუსკეტსი, ანდრეს ინიესტა - ალექსის სანჩესი, ლიონელ მესი, დავიდ ვილია.*

**ბარსელონა. სავარაუდო II**

3-4-3: *ვიქტორ ვალდესი - ჟერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, ერიკ აბიდალი - დანი ალვეში, სერხიო ბუსკეტსი, ჩავი, სესკ ფაბრეგასი - ალექსის სანჩესი, ლიონელ მესი, ანდრეს ინიესტა.*

### პრესკონფერენცია

ჟოზე მოურინიომ არ დააფასა კლასიკო და პრესკონფერენციაზე ასისტენტი **აიტორ კარანკა** გაგზავნა, რომელმაც ფაქტობრივად დაადასტურა „ფარი“.

**აიტორ კარანკა** („რეალის“ მწვრთნელის ასისტენტი): *„ვფიქრობ, 4-3-3 სისტემით ვითამაშებთ - წინ იქნებიან, დი მარია, კრიშტიანო და პიპა ან ქარიმი. უკანა სამეულს ამათგან შევადგენთ: იოზილი, კაკა, ჩაბი, ლასი და ხედირა. ჩვენ არ გვინდა ფრე, ვთამაშობთ მოგებაზე. ამის დასტური ბოლო თამაშია „აიაქსთან“, რომელსაც სატურნირო დანიშნულება არ ჰქონდა. გუნდი უკეთესია, ვიდრე შარშან, რადგან ერთად მუშაობისთვის დიდი დრო გვქონდა. არბელოას თამაში საეჭვოა, თუმცა ის განაცხადში მოხვდა და შესაძლოა მოედანზე მაინც ვიხილოთ. ერთადერთი, რიკარდო კარვალიო ნამდვილად დაგვაკლდება“.*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A. XV ტურის წინ

# მარადიული ქალაქი ლიდერის მოლოდინში

## მილანში კი ორი გაჭირვებულის ჯახია

**დღეს**

**ლეჩე-ლაციო 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** შტრასერი (ლეჩე).
**ტრავმა:** ოფერე, კაროციერი - ბროკი, დელ ნერო, მაური, გარიდო, დიასი, მაკინვა, მათუზალემი.

**სიენა-ჯენოა 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** კალაძე (ჯენოა).
**ტრავმა:** ვერგასოლა, ბელმონტე - ბირსა, ბოვო, კუჩკა, ანტონელი.

**ინტერი-ფიორენტინა 23.45**

**დისკვალიფიცია:** ძანეტი (ინტერი).
**ტრავმა:** კივუ, მუნტარი, ფორლანი, ვივიანო, მაიკონი, სნეიდერი, ლუსიო - კასანი, კროლდრუპი.

**პალერმო-ჩეზენა 23.45**

**დისკვალიფიცია:** მილიაჩო - ანტონიოლი.
**ტრავმა:** ბუდანი, ზაპავი, მანტოვანი, ერნანდესი - კომოტო, მარტინესი, კოლუჩი.

**ხვალ**

**ატალანტა-კატანია 18.00**

**დისკვალიფიცია:** ლუკინი (ატალანტა).
**ტრავმა:** პელუზო, კაპელი - სუაზო, ისკო, ბიაჯანტი.

**ბოლონია-მილანი 18.00**

**დისკვალიფიცია:** პულცეტი (ბოლონია).
**ტრავმა:** ანტონსონი, პულცეტი - გატუზო, ფლამინი, კასანო, ნესტა, აბიატი, ნოჩერინო.

**კალიარი-პარმა 18.00**

**ტრავმა:** ელ ქაბირი, ნენე, ასტორი, ერიკსენი - ვალდესი, ბრანდაო, ბლაზი.

**უდინეზე-კიევო 18.00**

**დისკვალიფიცია:** ფერონეტი, პინცი (უდინეზე).
**ტრავმა:** ბარეტო. აბდი, დომიცი, კოდარიგონი.

**ნოვარა-ნაპოლი 23.45**

**დისკვალიფიცია:** მეჯორინი (ნოვარა).
**ტრავმა:** ლისუძო - დონადელი.

**ზეგ:**

**რომა-იუვენტუსი 23.45**

**დისკვალიფიცია:** ჟუანი, გაგო, ბოიანი (რომა).
**ტრავმა:** ბორინი, ბურდისო, კიაერი - ვუჩინიჩი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 13 | 8 | 5 | 0 | 24-10 | 29 |
| 2. მილანი | 13 | 8 | 3 | 2 | 29-14 | 27 |
| 3. უდინეზე | 13 | 8 | 3 | 2 | 16-6 | 27 |
| 4. ლაციო | 13 | 7 | 4 | 2 | 19-9 | 25 |
| 5. ნაპოლი | 13 | 5 | 5 | 3 | 21-13 | 20 |
| 6. პალერმო | 13 | 6 | 2 | 5 | 16-15 | 20 |
| 7. კალიარი | 13 | 4 | 5 | 4 | 12-13 | 17 |
| 8. რომა | 13 | 5 | 2 | 6 | 15-17 | 17 |
| 9. კატანია | 13 | 4 | 5 | 4 | 14-19 | 17 |
| 10. ფიორენტინა | 13 | 4 | 4 | 5 | 13-11 | 16 |
| 11. პარმა | 13 | 5 | 1 | 7 | 15-20 | 16 |
| 12. კიევო | 13 | 4 | 4 | 5 | 10-16 | 16 |
| 13. ატალანტა | 13 | 5 | 6 | 2 | 16-15 | 15 |
| 14. ჯენოა | 12 | 4 | 3 | 5 | 14-16 | 15 |
| 15. სიენა | 13 | 3 | 5 | 5 | 14-12 | 14 |
| 16. ინტერი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-18 | 14 |
| 17. ბოლონია | 13 | 4 | 2 | 7 | 11-18 | 14 |
| 18. ნოვარა | 13 | 2 | 4 | 7 | 14-24 | 10 |
| 19. ჩეზენა | 13 | 2 | 3 | 8 | 6-15 | 9 |
| 20. ლეჩე | 13 | 2 | 2 | 9 | 11-23 | 8 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 10 - დენისი (ატალანტა); 9 - დი ნატალე (უდინეზე); 8 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 7 - ჯოვინკო (პარმა), კავანი (ნაპოლი); 6 - კლოზე (ლაციო), იოვეტიჩი (ფიორენტინა), მატრი (იუვენტუსი), მარკიზიო (იუვენტუსი).

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების XV ტური სამ დღეზეა გაწერილი: ოთხი შეხვედრა დღეს გაიმართება, ხუთი ხვალ, ერთი კი ზეგ. ორშაბათის პაექრობას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ცენტრალური და მიუხედავად იმისა, რომ სულ ბოლოს გაიმართება, სწორედ აღნიშნული დაპირისპირებით დავიწყოთ... „რომამ“ წინა ტურში „ფიორენტინასთან“ სამარცხვინო მარცხი იგემა და სარეაბილიტაციოდ აქვს საქმე. ჯერ „რომას“ ბანაკში შევიხედოთ, შემდეგ კი „იუვენტუსისთვისაც“ მოვიცლით.**


დღეს „ინტერი“ „ფიორენტინას“ დაუხვდება

**რომა**

**სავარაუდო შემადგენლობა (4-3-1-2):** *სტეკელენბურგი - როზი, კასეტი, ჰაინცე, ტადეი - გრეკო, დე როსი, პიანიჩი - ტოტი - ლამელა, ოსვალდო.*

**ლუის ენრიკეს** რომ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წინა ტურში „ჯალოროსიმ“ თამაში რვა ფეხბურთელით ჩაამთავრა. შესაბამისად, **ჟუანი, ფერნანდო გაგო** და **ბოიან კრკიჩი** შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებენ. მათ გარდა, „იუვეს“ წინააღმდეგ ვერც **ბორინი, კიაერი** და **ბურდისო** გაირჯებიან.

ამ ვითარებაში ძირითადი შემადგენლობისკენ ეხსნება გზა **ფრანჩესკო ტოტის**, რომელიც ბოლო პერიოდში მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ზის. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ტოტი გამთამაშებლის ფუნქციებს შეასრულებს, შეტევის წინა ხაზზე კი **ერიკ ლამელა** და **პაბლო ოსვალდო** გაირჯებიან. წინა ტურში განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ, აქტიურად მუსირებდა აზრი ლუის ენრიკეს პოსტიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ, თუმცა ესპანელი ჯერ კიდევ „რომას“ მთავარი მწვრთნელია და არსად წასვლას არ აპირებს - ბოლოს სწორედ მას მოვუსმინოთ:

*„არაერთი წამყვანი ფეხბურთელი გვყავს დისკვალიფიცირებული თუ ტრავმირებული, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს - შეგვწევს იმის ძალა, რომ თუნდაც განახევრებული შემადგენლობით „იუვენტუსს“ ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ. რა შეიძლება ითქვას მეტოქეზე? - ტურინელები ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მომზადებულნი, რაც „ნაპოლისთან“ მათ პაექრობაში ნათლად გამოჩნდა. ეს უმნიშვნელოვანესი კომპონენტია თანამედროვე ფეხბურთში და პირველ რიგში, ამადაც გავუსვი ხაზი. რაც შეეხება ტექნიკურ არსენალსა და ტაქტიკურ განსწავლულობას, „იუვე“ ამ მხრივაც ერთ-ერთი გამორჩეულია. მოკლედ, ძლიერ გუნდთან გვიწევს დაპირისპირება, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი - სწორედ ასეთ თამაშებში უნდა დავამტკიცოთ, რომ სწორ გზას ვადგავართ“.*

**იუვენტუსი**

**სავარაუდო შემადგენლობა (4-3-3):** *ბუფონი - ლიხტშტაინერი, ბონუჩი, ბარცალი, კიელინი - ვიდალი, პირლო, მარკიზიო - პეპე, დელ პიერო, მატრი.*

ლუის ენრიკესგან განსხვავებით, **ანტონიო კონტეს** მხოლოდ ერთი ფეხბურთელი აკლია, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი - ლაპარაკია **მირკო ვუჩინიჩზე**, რომელიც სწორედ „რომადან“ გადაბარგდა ტურინში და წესით, ორშაბათს ექს-გუნდის წინააღმდეგ უნდა ეასპარეზა. სწორედ ვუჩინიჩის ტრავმით გახლავთ განპირობებული ის, რომ ძირითად შემადგენლობაში **ალესანდრო დელ პიეროს** გამოჩენას ველოდებით. „იუვეს“ ლეგენდარული კაპიტანი **სიმონე პეპესა** და **ალესანდრო მატრისთან** ერთად შეუტევს, ვნახოთ, რა გამოუვა იტალიელ შემტევთა ტრიოს.

ანტონიო კონტემ პრესასთან მოკლე კომენტარი „ბოლონიასთან“ სათასო მატჩის შემდეგ გააკეთა: *„აქამდე „ჯალოროსისთან“ დაპირისპირებაზე არ ვფიქრობდი და განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით. „რომა“ ძლიერი გუნდია და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ამ დროისთვის რომელი ადგილი უკავია სატურნირო ცხრილში - ერთი დანამდვილებით ვიცი, თავდადების გარეშე სასურველ რეზულტატს ვერ მივაღწევთ“.*

### მილანური გრანდები

მიუხედავად იმისა, რომ „ფიორენტინას“ სატურნირო ცხრილში მეათე ადგილი უკავია, „ინტერს“ კი სულაც მეთექვსმეტე, მილანში დაგეგმილი მატჩი მაინც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. დიახ, „ინტერი“ „ფიორენტინას“ უმასპინძლებს და შეეცდება, რომ კიდევ ერთხელ დაიწყოს ახალი, წარმატებული ერა - სწორედ ასე ამბობდა **კლაუდიო რანიერი**, როდესაც მისმა გუნდმა მიჯრით მოიგო ორი შეხვედრა, მაგრამ „უდინეზესთან“ მარცხმა „ინტერისტები“ მიწაზე დააბრუნა. საინტერესოა, რა მოხდება დღევანდელ პაექრობაში, რომელსაც მილანური გრანდი სავარაუდოდ 4-1-4-1 ტაქტიკით გამართავს. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი ტრადიციულად **ჯამპაოლო პაცინი** იქნება, მის უკან კი **მაურო სარატე, ტიაგო მოტა, დეიან სტანკოვიჩი** და **რიკი ალვარესი** გაირჯებიან.

„რომას“ განადგურებით გაგულისებული ფლორენციელები მილანშიც იმედიანად ჩადიან, რაზეც **დელიო როსის** სიტყვები მოწმობს: *„მართალია, „რომასთან“ თამაშის ბედი ეპიზოდებმა უფრო განაპირობა, ვიდრე თამაშის მთლიანმა სურათმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ფიორენტინას“ პროგრესი არ დავინახოთ. ნელ-ნელა ვპოულობთ საკუთარ თავს და იმედია, „ინტერთან“ დაპირისპირებისას ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით. დაცვაში ჩაჯდომას არ ვაპირებთ, აუცილებლად შევუტევთ და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან“.*

მძიმე კვირა გამოუვიდა „ბოლონიას“, რომელმაც ხუთშაბათს „იუვენტუსთან“ სათასო პაექრობა გამართა და მხოლოდ დამატებით დროში დაუთმო მრისხანე მეტოქეს მეოთხედფინალური ეტაპის საგზური. კვირას „როსობლუს“ იტალიური ფეხბურთის კიდევ ერთ გრანდთან, „მილანთან“ უწევს დაპირისპირება. მასპინძლებს სრულ მზადყოფნაში ჰყავთ **მარკო დი ვაიო** და შეტევაში დიდწილად სწორედ მის იმედზე იქნებიან. რაც შეეხება „მილანს“, **მასიმილიანო ალეგრი** ტრადიციულ 4-3-1-2-ს გამოიყენებს და ამჯერად, შეტევის წინა ხაზზე **ალეშანდრე პატოსა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტანდემს გაამწესებს. მათ უკან **კევინ პრინს ბოატენგი** გაირჯება, რომელსაც უკვე სრულად მოუშუშებია მიკროტრავმა და მზადაა მოედანზე პირველივე წუთებიან გავიდეს. ვნახოთ, დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**





ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და კვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის:კეკელიძის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. კანოს ტურნირი

# სამურაების უპირატესობით


ძიგორო კანო

ძიგორო კანოს სახელობის „დიდი მუზარადი“ ტოკიოში გუშინ მასპინძელთა ჰეგემონიით დაიწყო - ქალებშიც და ვაჟებშიც ოთხივე წონაში მათ გაიმარჯვეს. ამაში მოულოდნელი არაფერია - იაპონელები ნებისმიერ შეჯიბრებაზე ფავორიტებში არიან, ხოლო ამ ტურნირზე მუდამ ძლიერად ჭიდაობენ, მაგრამ ვაჟთა 60 კილოგრამში მომხდარს ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა - ნახევარფინალში მხოლოდ იაპონელები გავიდნენ და, შესაბამისად, ოთხივე საპრიზო ადგილიც მათ დაიკავეს. მეტიც - ოთხიდან ორჯერ წმინდა იაპონური ფინალი გაიმართა - ვაჟთა 60-ში და ქალთა - 48-ში.

სპორტიდან სამგზის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონ **ტადაჰირო ნომურას** წასვლის შემდეგ 60 კილოგრამში იაპონელებს ბოლო წლებში გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავთ. **ჰიროაკი ჰიროაკამ** ორჯერ მსოფლიოს ფინალი კი იჭიდავა, მაგრამ 2009 წელს უკრაინელ **გიორგი ზანთარაიასთან** დამარცხდა, წლეულს - უზბეკ **რიშოდ სობიროვთან** და პირველობას ვერც ერთხელ ვერ შეწვდა. ამ ფონზე ცოტა გასაკვირია ესოდენ ძლიერი შეჯიბრების ნახევარფინალში ოთხი იაპონელის გასვლა, მით უფრო, რომ ამ წონიდან 66-ში გადაინაცვლა კიდევ ერთმა გამოცდილმა ფალავანმა **მასააკი ფუკუოკამ**. ახლანდელი კვარტეტიდან უფრო ძნელი ბადე მომავალმა ვერცხლის მედალოსანმა **რიო კავაბატამ** და მომავალმა ბრინჯაოს პრიზიორმა **ნაოჰისა ტაკატომ** გაიარეს. კავაბატამ პირველ წრეში რუსი ევროპის ჩემპიონი **არსენ გალსტიანი** დააიპონა, მერე ჰოლანდიელ **ხეროენ მოორენსაც** მოუგო და კორეელ **ვონ ჯინ კიმსაც** ასევე წმინდად, ნახევარფინალში კი რამდენიმე წამში ჰიროაკა დააიპონა. ფინალში ის **ჰიროფუმი იამამატოსთან** დამარცხდა. ტაკატომ კიდევ უფრო ძნელი ბადე გადალახა - მეორე ორთაბრძოლაში ავსტრიელი მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი **ლუდვიგ პაიშერი** დააიპონა, მეორეში კი ზანთარაიას მოუგო ვაზარ-იპონით. მონღოლ **ტუმურკულეგ დავაადორჯსაც** ასეთივე ანგარიშით აჯობა, ნახევარფინალში კი ისიც იამამოტოსთან დამარცხდა.

66-კილოგრამში **ტომოფუმი ტაკაჯომ** გაიმარჯვა, არადა, ამ წონაში მის გარდა იაპონელთა სამივე ფალავანი მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო - **მასაში ებინუმა** მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონია, **ჯუნპეი მორიშიტა** - შარშანდელი, ფუკუოკამ კი რამდენიმე დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, რომელთაგანაც ბოლო ოქტომბერში დუბაიში გამართული „დიდი პრიზი“ იყო. ტაკაჯოს პირველ ორ წრეში სუსტი მეტოქეები შეხვდნენ, მერე კი რუსი ევროპის სამგზის მედალოსანი **ალიმ გადანოვი**, ქვედა წონიდან ამონაცვლებული კორეელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მინ-ჰო ჩოი**, ნახევარფინალში მონღოლი მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ჩაგანბაატარ ხაშბაატარი** და ფინალში რუსი მსოფლიოს მედალოსანი **მუსა მოგუშკოვი** დაამარცხა. ამათგან გადანოვს იუკოთი აჯობა, დანარჩენებს -

წმინდად, ოღონდ მოგუშკოვს ვაზარი ამოუქაჩა. ებინუმა ნახევარფინალში სწორედ მოგუშკოვთან დამარცხდა, მორიშიტამ კი მეოთხედფინალში ყაზახ **სერგეი ლიმთან** წააგო.

ქალებში უმჩატეს წონაში - 48-ში ისევ გრძელდება იაპონელთა ჰეგემონობა, ოღონდ ლიდერობა არა ერთმა, არამედ ორმა იქაურმა ჩაიგდო ხელთ - მსოფლიოს ბოლო ორი ფინალი **ჰარუნა ასამიმ** და **ტომოკო ფუკუმიმ** იჭიდავეს და ორივეჯერ ასამიმ იმარჯვა, ფუკუმი კი 2009 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მანამდე ამ წონაში ძიუდოს სამყაროში უტიტულოვანესი **რიოკო ტომურა-ტანი** ბატონობდა - მან 7-ჯერ მოიგო მსოფლიოს პირველობა და 2-ჯერ - ოლიმპიური, რასაც ოლიმპიადებზე 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო დაუმატა, მსოფლიოზე კი - 1 ბრინჯაო. მან კონკურენტებს შანსი მხოლოდ ერთხელ მისცა, როცა გათხოვდა და ბავშვის გაჩენის გამო ორწლიანი პაუზა აიღო - 2005 წელს მოსფლიოზე არ უჭიდავია, თუმცა და 2007-ში დაბრუნდა და რიო დე ჟანეიროში მეშვიდედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ის სპორტიდან წავიდა, თუმცა სხვა ქვეყნების არანაკლებ ძლიერ მოჭიდავეებს გახარება მაინც არ ეღირსათ, რადგან ჯერ ფუკუმიმ დაამსხვრია მათი იმედები, ახლა კი მას ასამიც დაემატა. როგორც გითხარით, წლეულს და შარშან მსოფლიოზე იაპონური ფინალები გაიმართა და ასე მოხდა კანოს ტურნირზეც. მსოფლიოს პირველობების დარად, ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და ასამიმ ისევ იპონით იმარჯვა.

ასამი და ფუკუმი თავის წონაში ნაკრებში ლიდერები არიან, იმავეს ვერ ვიტყვით 52-ში გამარჯვებულ **ტაკუმი მიიაკავაზე** - აქ მსოფლიოს ბოლო პირველობაზე იაპონური ფინალი გაიმართა **მისატო ნაკამურასა** და **იუკა ნიშიდას** შორის, მიიაკავა კი ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად იბრძვის. ნახევარფინალში მან მსოფლიოს ჩემპიონ ნაკამურას მძლეველი კუბელი მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **იანეტ ბერმოუ აკოსტა** დაამარცხა, ფინალში კი ფრანგ **პრისცილა გნეტოს** მოუგო.

შეგახსენებთ, რომ ტოკიოში ჩვენგან მხოლოდ მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100) გამოდის, რომელიც კვირას იჭიდავებს და პირველ შეხვედრას არგენტინელ **კრისტიან შმიდტთან** გამართავს, გუშინდელმა შეჯიბრებამ კი სალიცენზიო რეიტინგებში ჩვენი პოზიციები ვერ შეარყია. იამამოტოც და ჰიროაკაც ისედაც უსწრებდნენ მეხუთეზე მყოფ **ამირან პაპინაშვილს**, კავაბატა და ტაკატო კი მას ჯერჯერობით ვერ დაეწევიან. 66-ში ტაკაჯომ 300 ქულა კი მიიღო და სალიცენზიო 22-კაციან სიაშიც შეაბიჯა, მაგრამ ის გამოხშირვის მეთოდით მაინც უკონკურსოდ რჩება, რადგან ებინუმა და მორიშიტა ბევრად უსწრებენ, ხუთეულში შედიან. სამაგიეროდ, ტაკაჯომ ჩვენ გაგვიკეთა ერთი კარგი საქმე - პირველივე წრეში სწორედ ებრაელი გოლან პოლაცკი დაამარცხა, ვინც შალვა ქარდავას კონკურენტია ევროპულ 2-კაციან კვოტაში. ამით ებრაელს ქარდავასთან დაწინაურების შანსი წაართვა, ჩვენებურის მეორე კონკურენტი, ლატვიელი **დენის კოზლოვსი** კი ამჯერად არ ჭიდაობდა.

**ირაკლი თავაძე**

| კვარცხლბეკი. ვაჟები. |
| --- |
| **60 კგ.** 1. ჰიროფუმი იამამოტო, 2. რიო კავაბატა, 3. ჰიროაკი ჰიროაკა, ნაოჰისა ტაკატო (ოთხივე - იაპონია). |
| **66 კგ.** 1. ტომოფუმი ტაკაჯო (იაპონია), 2. მუსა მოგუშკოვი (რუსეთი), 3. მასაში ებინუმა (იაპონია), ჩაგანბაატარ ხაშბაატარი (მონღოლეთი). |

| ქალები. |
| --- |
| **48 კგ.** 1. ჰარუნა ასამი, 2. ტომოკო ფუკუმი (ორივე - იაპონია), 3. კარლინე ვან სნიცკი (ბელგია), ბო კიეონგ იეონგი (კორეა). |
| **52 კგ.** 1. ტაკუმი მიიაკავა (იაპონია), 2. პრისცილა გნეტო (საფრანგეთი), 3. იანეტ ბერმოუ აკოსტა (კუბა), იუკი ჰაშიმოტო (იაპონია). |

ჭადრაკი


ლადო ვარძელაშვილი, ნინო გურიელი

# იუბილარი სპორტის რაინდი

ქართული საჭადრაკო სკოლის განვითარებაში საერთაშორისო დიდოსტატ **ნინო გურიელს** დიდი წვლილი მიუძღვის: საქართველოს ორგზის ჩემპიონი საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორია, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე სამი ოქრო და ერთი ვერცხლი დაიმსახურა, მსოფლიოს ჩემპიონატების ციკლში სამჯერ მონაწილეობდა. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ 2002-2004 წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას ედგა სათავეში, 2001 წლიდან ქალთა ეროვნული ნაკრების კაპიტანია. სწორედ, მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა მანდილოსნებმა 2008 წელს დრეზდენში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგეს, 2010 წელს ხანტი-მანსიისკში კი მსგავს შეჯიბრებაზე მესამე ადგილი დაიკავეს, 2005, 2009 წლების ევროპის ჩემპიონატებზე ვერცხლის, 2011 წელს კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ამ დღეებში სახელოვან დიდოსტატს 50 წელი შეუსრულდა. იუბილესთან დაკავშირებით ჭადრაკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ნინო გურიელს სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით „სპორტის რაინდის“ წოდება მიენიჭა.

# შვიდიდან შვიდი

მილანში კრესპის საერთაშორისო მემორიალში ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** ზედიზედ მეშვიდე პარტია (!) მოიგო. ამჯერად თეთრებით სერბი სინიცა დრაჟიჩი შეიწირა. მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ალესიო ვალსეჩი (იტალია) — ვლადიმირ მალანიუკი (უკრაინა) 0:1, ანდრეა სტელა (იტალია) — იური სოლოდოვნიჩენკო (უკრაინა) 0:1, დაზავდნენ: ალბერტო დავიდი (ლუქსემბურგი) — დრაგან კოსიჩი (ჩერნოგორია), როლი მარტინესი (ფილიპინები) — ნიკოლა სედლაკი (სერბეთი), დარკო დორიჩი (ხორვატია) — მჰამალ ანურაგი (ინდოეთი), როლანდ სალვადორი (ფილიპინები) — ვადიმ შიშკინი (უკრაინა).

შვიდი ტურის შემდეგ: ჯობავა — 7, მალანიუკი — 5,5, სოლოდოვნიჩენკო, გოლოვიჩი, დავიდი, კოსიჩი — 5-5 ქულა.

მე-8 ტურში ითამაშებენ: მალანიუკი — ჯობავა, სოლოდოვნიჩენკო — დავიდი, კოლოვიჩი — კოსიჩი.


ბაადურ ჯობავა

# საგზურების ბედი დღეს გადაწყდება

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის პაექრობებმა იმ ხუთი მოჭადრაკის ვინაობა უნდა დაასახელოს, რომლებიც უმაღლეს ეშელონში ითამაშებენ. გუშინდელმა ორთაბრძოლებმა, ფაქტობრივად, ორი საგზურის მფლობელი გამოავლინა. ესენი არიან **სოფიკო გურამიშვილი** და **ნინო ბაციაშვილი**, რომლებმაც 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს და უახლოეს მდევრებს თითო ქულასთან ერთად კოეფიციენტითაც საკმაოდ უსწრებენ. მე-8 ტურში ბაციაშვილი მაკა ფურცელაძეს დაუზავდა, გურამიშვილი — მირანდა მიქაძეს. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ სოფიო გვეტაძე და ინგა ქარხალაშვილი. დანარჩენი პარტიები: ლიკა კობეშავიძე — სალომე ხაჟომია 1:0, ალექსანდრა ვახანია — ანა კუჭავა 0:1, სოფიკო ხუხაშვილი — თეკლა მაჭარაშვილი 1:0, თამარ ხმიადაშვილი — ინგა ხურცილავა 0:1, მადონა ბოკუჩავა — ანა გავაშელი 0:1, ნინო ხომერიკი — სოფიკო ტერელაძე 0:1.

საბოლოოდ საგზურების ბედს დღეს შემდეგი 6 პაექრობა გადაწყვეტს: ბაციაშვილი (6,5) — ქარხალაშვილი (5,5), კუჭავა (5,5) — გურამიშვილი (6,5), ფურცელაძე (5,5) — გვეტაძე (5,5), მიქაძე (5,5) — კობეშავიძე (5,5), გავაშელი (5) — ხუხაშვილი (5), ხურცილავა (5) — ხაჟომია (5).

# თებერვალში თბილისი სუპერტურნირს უმასპინძლებს

ბოლო წლებში საქართველომ მოჭადრაკეთა მრავალ მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა უმაღლეს დონეზე, მათ შორის — ახალგაზრდების მსოფლიოს და ევროპის პირველობებს, წლეულს მაისში კონტინენტის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატს სარეკორდო საპრიზო ფონდით, რასაც საჭადრაკო სამყაროში დიდი რეზონანსი ჰქონდა. და აი, ახალი შემოთავაზება: პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ინიციატივით 2012 წლის 17 თებერვლიდან თბილისი პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა სუპერტურნირს უმასპინძლებს სწრაფ ჭადრაკში. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 40 000 ამერიკული დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 10 000 დოლარს მიიღებს. ამ ასპარეზობის შესახებ გუშინ სპორტის სამინისტროში მასმედიის წარმომადგენლებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** აუწყა. საპრიზო ადგილებისთვის უმაღლესი რეიტინგის მქონე 12 დიდოსტატი იბრძოლებს, მათ შორის — ორი ქართველი მოჭადრაკე, სავარაუდოდ, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** და 2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე**. პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციასთან ერთად ტურნირის ორგანიზატორია საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, გენერალური სპონსორი — „სოკარ ენერჯი ჯორჯია“, მხარდამჭერები — სპორტის სამინისტრო და თბილისის მერია.

# ინტელექტუალები პეკინში შეიკრიბნენ

ჩინეთის დედაქალაქი მსოფლიო ინტელექტულურ თამაშებს მასპინძლობს, რომლის პროგრამაშიც მოჭადრაკეთა პაექრობებიც შედის. სამ ნომინაციაში — **სწრაფ ჭადრაკში** (შვეიცარიული სისტემით 7 ტურად, პარტიისთვის 20 წუთი ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით), **ბლიცსა** (წრიული სისტემით, 15 ტურად, 3-3 წუთს+2 წამი) და **დაფაზე დაუხედავად** (შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად, ყოველი პარტიისთვის 20 წუთი, თითოეულ სვლაზე 20 წამის დამატებით) 16-16 ქალ-ვაჟი იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის. ესენი არიან: **ქალები.** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2578), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2543), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2562), ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლახნო (უკრაინა, 2549), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2531), 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2516), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2513), ანა ზატონსკიხი (აშშ, 2506), 2011 წლის ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2503), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2497), ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი, 2495), მონიკა სოჩკო (პოლონეთი, 2479), ელენა დემბო (საბერძნეთი, 2468), ევროპის ჩემპიონი ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი, 2468), ელისაბედ პეტცი (გერმანია, 2457), მსოფლიოს, ევროპისა და საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2439). **ვაჟები.** ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2775), მსოფლიოს ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი (უკრაინა, 2723), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2763), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2752), ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი, 2757), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2733), ვან ჰაო (ჩინეთი, 2736), ვან იუე (ჩინეთი, 2697), გატა კამსკი (აშშ, 2732), ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი, 2705), ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი, 2714), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2714), პერეს დომინგესი (კუბა, 2712), ზოლტან ალმაში (უნგრეთი, 2707), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2710), პეტერ ჰეილსენი (დანია, 2693).

გუშინ სწრაფ ჭადრაკში ორი ტურის პარტიები გათამაშდა. ნანა ძაგნიძემ სტარტზე შავი ფიგურებით ელმირა სკრიპჩენკოს სძლია, თუმცა მეორე ტურში თავადაც დამარცხდა თეთრებით ალექსანდრა კოსტენიუკთან.

ორი ტურის შემდეგ კოსტენიუკი უდანაკარგოდ ლიდერობს. მას ნახევარნახევარი ქულით პეტცი, ჰოუ იფანი, ვენძიუენი და კრამლინგი ჩამორჩებიან. 8 მოჭადრაკეს, მათ შორის — ძაგნიძეს, თითო ქულა აქვს. ქართველი დიდოსტატი მე-3 ტურში შავებით დანიელიანს დაუპირისპირდება.

ვაჟებში 2-2 ქულით ვან ჰაო და მამედიაროვი მეწინავეობენ, გრიშჩუკს, ივანჩუკსა და ვაშიე-ლაგრავს 1,5-1,5 ქულა აქვთ.

**რუბრიკა მოამზადა ვაჟა დანელიამ**

## ქართული სპორტი

### შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** ბევრი მსმენია უფროსებისგან ჩემი მოგვარის, წარსულში ცნობილი მოჭიდავის **კონსტანტინე კობერიძის** შესახებ. დიდი სურვილი მაქვს, სრულად ვიცოდე მისი სპორტული მოღვაწეობის ამბები. ყველა ამაყობს, რომ იყო ლეგენდარული ფალავანი, მისი ცხოვრებისეული და სპორტული ბიოგრაფია კი ნაკლებადაა ცნობილი. თუ შეგიძლიათ, იქნებ გვიამბოთ დაწვრილებით მის შესახებ. მერწმუნეთ, ჩემ გარდა ბევრის ინტერესს დააკმაყოფილებთ.

*მალხაზ კობერიძე*
*თბილისი*



კონსტანტინე კობერიძე (1917-1964)

სილნალში დაიბადნენ ძმები **გაბრიელ, დავით** და **კონსტანტინე** კობერიძეები. ისინი წარმოშობით სახალხო ფალავნის კოსტა მაისურაძის თანასოფლელები — ონის რაიონის სოფელ ცხმორიდან არიან.

კონსტანტინე ჯერ ქართული ჭიდაობის მადლს ეზიარა კახეთში. 1935 წელს კი თბილისში პეტრე დენისოვთან დაიწყო ვარჯიში კლასიკურ (ბერძნულ-რომაულ) ჭიდაობაში (თბილისში ცნობილი იყვნენ მოჭიდავე ძმები პეტრე და ვასილ დენისოვები). ორი წლის შემდეგ ის მოსკოვში გადავიდა. 1939 წელს სსრკ პირველ აბსოლუტურ პირველობაზე გამოვიდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც მოსკოვის ცირკ „შაპიტოში" (გორკის პარკი) გაიმართა. მოყვარულებთან ერთად ასპარეზობდნენ ე.წ. „ცირკის პროფესიონალი მოჭიდავეები": გონჟა, კაზანსკი, ბოროვსკი, სენატოროვი, დურიჩი, იარკოვი, იან ციგანი, კონსტანტინე კობერიძე და სხვები.

გოლიათებთან ჭიდილში პირველი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა 87 კილოგრამიანი ქართველი ფალავანი კონსტანტინე კობერიძე.

სამბოში სსრკ პირველი ჩემპიონატიც 1939 წელს გაიმართა. ქართულ ჭიდაობას კარგად დაუფლებული კონსტანტინე აქაც გამოვიდა (სამბოს მაშინ ჭიდაობის თავისუფალი სტილი ერქვა). თანამედროვე თავისუფალი ჭიდაობის სახელწოდებისგან რომ განესხვავებინათ, 1948 წელს უწოდეს სამბო („თავდაცვა უიარაღოდ"). იმ პირველ ჩემპიონატში რვა წონითი კატეგორიიდან ერთ-ერთში — ქვემძიმეში (87 კგ) ყველას კონსტანტინე კობერიძემ აჯობა და აქაც პირველი ჩემპიონის სახელი დაიმკვიდრა.

კონსტანტინე კობერიძე ჭიდაობის მატიანეში პირველის სახელით რამდენჯერმეა შეტანილი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ჭიდაობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციაში (FILA) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1947 წელს შევიდა და იმავე წელს პრაღაში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატში მოსინჯა ძალები.

ასპარეზობა პრაღის ცენტრში „ლიუცერნის" დარბაზში ჩატარდა. კოსტიამ, როგორც მას შინაურულად ეძახდნენ, ხუთივე ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და რუს ნიკოლოზ ბელოვთან და ესტონელ იოჰანეს კოტკასთან ერთად ევროპის პირველი ჩემპიონი გახდა საბჭოეთიდან (87 კგ).

დინამოელი სპორტის დამსახურებული ოსტატი კონსტანტინე კობერიძე სსრკ ოთხგზის ჩემპიონი და ორგზის პრიზიორი შემდეგში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯიც გახდა.

1951-1952 წლებში მოსკოვში ორჯერ გამოიცა კონსტანტინე კობერიძის წიგნი „მოლოდიმ ბორცამ„.

სიცოცხლის ბოლო წლებში ის ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში.

*გაბრიელ ბარჯაძე*

### ძიუდო. ტურნირები

# ქალებისა და ბავშვების ჩემპიონატი

ამ უქმეებზე ქართულ ძიუდოს დატვირთული დღეები აქვს - იაპონიაში „დიდი მუზარადის" ტურნირის გარდა, სადაც მხოლოდ ერთი მონაწილე გვყავს, საქართველოშიც ტარდება ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება - დუშეთში ქალთა ქვეყნის ჩემპიონატი გაიმართება, თბილისში, ძიუდოს აკადემიაში კი 1999-2000 წლებში დაბადებულ ბავშვთა ასევე ქვეყნის პირველობა ჩატარდება. ქალთა ჩემპიონატის ორგანიზებულად გამართვა ფედერაციის ახლებური მიდგომის შედეგია, თუმცა ჯერჯერობით მანდილოსანთა შორის სპორტის ეს სახეობა არც ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს და ვერც მასობრიობით დაიკვეხნის. ამიტომ იქ ჩემპიონატი ყველა ასაკობრივ ჯგუფში ერთად გაიმართება და მხოლოდ ერთ, ხვალინდელ დღეში ჩაეტევა.

ამ ასაკის ბავშვთა ტურნირის გამართვაც ძიუდოს ფედერაციის ნოვაციაა, თუმცა ქართული სპორტის დიდი მიზნიდან გამომდინარე - ეს ის ასაკია, რომელმაც 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იასპარეზოს და ამ ასაკს ფესტივალის პროგრამაში შეტანილ სპორტის ცხრავე სახეობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, რათა ევროპულ ფორუმში ღირსეულად გამოვიდეთ. თუმცა ფედერაცია მხოლოდ ამ ფესტივალით არ იფარგლება და საწვრთნელი პროცესის მოდერნიზების პროცესში ამ ბავშვების ახლებური სისტემით აღზრდას იწყებს, თანამედროვე მეთოდიკის გათვალისწინებით.

ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობის სურვილმა მოზარდთა რაოდენობის ზრდაზეც იმოქმედა.

*ირაკლი თავაძე*

**FM 107.9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

### ოლიმპიური სფილატელია




### თარიღი. 3 - 9 დეკემბერი

**10. 1867 წ.** ეს თარიღი არგენტინის ფეხბურთის დაბადების დღედაა აღიარებული.

**10. 1896 წ.** აშშ-ში ჩატარდა პირველი საკალათბურთო მატჩი საუნივერსიტეტო გუნდებს შორის.

**10. 1963 წ.** დაიბადა **რობინ უაიტი** — ჩოგბურთი (აშშ).

**11. 1886 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „არსენალი".

**11. 1922 წ.** დაიბადა ცნობილი სპორტული კომენტატორი **ნიკოლაი ოზეროვი** (რუსეთი). გარდაიცვალა 1997 წელს.

**12. 1968 წ.** დაიბადა **არტურ ეში** — ჩოგბურთი (ავსტრალია).

**13. 1913 წ.** დაიბადა **არჩი მური** — კრივი (აშშ).

**14. 1901 წ.** დაიბადა **ანრი კოშე** — ჩოგბურთი (საფრანგეთი) გარდაიცვალა 1987 წელს.

**14. 1947 წ.** მადრიდში გაიხსნა სანტიაგო ბერნაბეუს სახელობის სტადიონი.

**14. 1951 წ.** დაიბადა **იან ტიმანი** — ჭადრაკი (ჰოლანდია).

**14. 1979 წ.** დაიბადა **მაიკლ ჯეიმს ოუენი** — ფეხბურთი (ინგლისი)

**15. 1952 წ.** დაიბადა **ალან როდენკამ სიმონსენი** ფეხბურთი (დანია).

**16. 1952 წ.** დაიბადა **ფრანჩესკო გრაციანი** — ფეხბურთი (იტალია).

### კვიმატი ობიექტივი



### სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

# წყალქვეშა სპორტი

წყალქვეშა სპორტი. შეჯიბრება წყალქვეშ ყვინთვასა და ცურვაში საგანგებო აღჭურვილობით ან უიმისოდ. აერთიანებს შემდეგ დისციპლინებს: ყვინთაობას (ფრიდაივინგი), ლასტებით ცურვას, წყალქვეშ ორიენტირებას, წყალქვეშ სპორტულ სროლას, წყალქვეშ ნადირობას, აკვატლონს (წყალქვეშ ორთაბრძოლა), წყალქვეშა რაგბის, წყალქვეშა ჰოკეის, წყალქვეშა ფეხბურთს, ველოსიპედით წყალქვეშ რბოლას, წყალქვეშ ფოტოგრაფირებას.

ამ სახეობის ფესვები უძველეს წარსულშია საძიებელი. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ.წ. V საუკუნე) აღწერს ერთ საინტერესო შემთხვევას: ბერძენ-სპარსელთა ომების დროს სპარსელებმა შეიპყრეს ბერძენი სილისი და ქსერქსე I-ის ხომალდზე აიყვანეს. როდესაც სილისი დარწმუნდა, რომ სპარსელები თავდასხმისთვის ემზადებოდნენ, დანას სტაცა ხელი და წყალში გადაეშვა. სპარსელებმა იგი ველარ იპოვეს და გადაწყვიტეს, დაიხრჩოო. სილისმა ღამით ამოყვინთა და მტრის გემებს ღუზების ბაგირები გადაჭრა, შემდეგ 13 კილომეტრი იცურა და თავისიანებს შეუერთდა. წყალქვეშ სასუნთქად იგი თურმე ლერწმის ღეროს იყენებდა. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ადამიანი იგონებდა სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებას, რაც წყალქვეშ ხანგრძლივად ყოფნის, თავისუფლად მოძრაობისა და მოქმედების საშუალებას მისცემდა, მაგრამ პრობლემა მხოლოდ XX საუკუნეში გადაიჭრა. 1943 წელს ფრანგებმა ჟაკ-ივ კუსტომ და ემილ განიანმა გამოიგონეს სუნთქვის ღია ციკლის პირველი აპარატი. 1959 წელს დაფუძნდა წყალქვეშა აქტივობის მსოფლიო კონფედერაცია (Confederation Mondiale desActivites Subaquaticues — CMAS), რომელიც ზრუნავს წყალქვეშა სპორტის განვითარებაზე. მსოფლიოს ჩემპიონატი ლასტებით ცურვასა და წყალქვეშა ორიენტირებაში ტარდება 1967 წლიდან



### პირველი, ირველმა, პირველად...

**პირველი** სამხრეთამერიკელი, ვინც ნიუ იორკის მარათონი მოიგო, იყო ბრაზილიელი სტაიერი **გომეშ დუშ სანტუში.** ეს მოხდა 2006 წლის 5 ნოემბერს.

**პირველმა** ფეხბურთში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ინგლისის ნაკრებმა 1908 წელს.

**პირველად** კრივში შეჯიბრება გამარჯვებულის გამოსავლენად ინგლისში გაიმართა 1681 წელს. დღემდე შემონახული ჩანაწერებით ერთმანეთს შეხვედრიან ჰერცოგ ალბერმარლეს მოურავი და რომელიღაც ყასაბი.

### ვიქტორინა

**1. სპორტის რომელი სახეობა შეიტანეს 1900 და 1904 წლების ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, მაგრამ გამარჯვებული და პრიზიორები ოლიმპიური მედლებით არ დაჯილდოვდნენ?**

ა — თანამედროვე ხუთჭიდი
ბ — ტყვიის სროლა
გ — ფეხბურთი

**2. დღემდე ვინ ითვლება ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატებში გოლების რეკორდსმენად?**

ა — პუშკაში
ბ — რონალდო
გ — პელე

**3. სად აანთო პირველად ქალმა ოლიმპიური ცეცხლი ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნაზე?**

ა — მელბურნში
ბ — რომში
გ — მეხიკოში

**4. წლის რომელი სარაგბო მატჩია ცნობილი „უცნაურ მატჩად" მხოლოდ იმიტომ, რომ 25 ათასმა ქომაგმა ნისლის გამო სტადიონზე ვერაფერი გაარჩია?**

ა — 1903 წლის შოტლანდია — უელსის
ბ — 1908 წლის ინგლის — უელსის
გ — 1964 წლის ახალი ზელანდია — შოტლანდიის

**5. რომელ წელს გათამაშდა ჭადრაკში პირველი სატელეფონო პარტია?**

ა — 1878 წელს
ბ — 1910 წელს
გ — 1928 წელს

პასუხები: 1—გ, 2—ბ, 3—გ, 4—ბ, 5—ა.

### მე ვარ და ჩემი ნაბადი...

# ლიპტონის თასი



ამ შოტლანდიელმა ჯენტლმენმა, რომლის გვარ-სახელია **სერ თომას ლიპტონი**, ფეხბურთში 1909 წელს ჩაატარა თავისი სახელობის თასის გათამაშება არა ეროვნული ნაკრებების, არამედ ინდივიდუალური კლუბების მონაწილეობით, თუმცა თითოეული კლუბი ერთ კონკრეტულ ქვეყანას წარმოადგენდა — იტალიას, გერმანიას, შვეიცარიას. ინგლისმა უარი განაცხადა თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე. სანაცვლოდ ლიპტონმა დასავლეთ ოკლენდის გუნდი მიიწვია დარემის საგრაფოდან. სხვათა შორის, სწორედ ოკლენდელები გახდნენ თასის პირველი მფლობელები და ეს წარმატება ორი წლის შემდეგაც გაიმეორეს. 1909 წელს გამართული ეს ტურნირი ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები



# კოკოშკოვი 2013 წლამდე დარჩა

**დოსიე**

იგორ კოკოშკოვი
სერბეთი
დაიბადა: 17.12.1971
**საკლუბო კარიერა**
1992-94 - „ბელგრადის" (იუგოსლავია) ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი.
1994-95 - „ბელგრადის" (იუგოსლავია) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.
1995-96 - „ბელგრადის" მთავარი მწვრთნელი.
1996-97 - „პარტიზანის" (იუგოსლავია) ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი.
1999-2000 - მისურის უნივერსიტეტის (აშშ-ის უმაღლესი სტუდენტური დივიზიონი) მეროე მწვრთნელი.
2000-03 - „ლოს ანჯელეს კლიპერსის" (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.
2003-08 - „დეტროიტ პისტონსის" (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.
2008-დან - „ფინიქს სანსის" (NBA) მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.
**სანაკრებო კარიერა**
1997-99 - იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელი.
2004 - სერბეთი-ჩერნოგორიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე.
2005 - სერბეთი-ჩერნოგორიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ევროპის ჩემპიონატზე.
2008 წლის აპრილიდან საქართველოს ნაკრების თავკაცი.

*- იგორ კოკოშკოვმა საქართველოს ნაკრებში 4 წელი იმუშავა. მან ჩვენ მიერ დასახული ყველა მიზანი შეასრულა, გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა, იქ კი ტოპ-12-ში მოხვდა. ამასთან, იგორმა ჩვენი ნაკრები კარგად შეისწავლა და მისდამი უკმაყოფილების საფუძველი არ გვქონდა, ამიტომ შესარჩევი ეტაპის წილისყრის დასრულების შემდეგ კოკოშკოვს დავუკავშირდით და გუნდში კიდევ ორი წლით დარჩენა შევთავაზეთ. თანხმობა მივიღეთ და გადაწყდა, რომ სერბი სპეციალისტი ჩვენს ნაკრებს 2013 წლამდე გაუძღვება,* - გვითხრა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა.**

დავინტერესდით, წინა ხელშეკრულებასთან შედარებით კონტრაქტის პირობები ხომ არ შეცვლილა, თუმცა როგორც ფედერაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, მწვრთნელთან ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა.

*- იგორი ამჟამად ამერიკაშია, სადაც NBA-ს გუნდებმა ლოკაუტის დასრულების შემდეგ მზადება უკვე დაიწყეს. იგი „ფინიქსის" სამწვრთნელო შტაბშია და თუ საქართველოში ჩამოსვლას ვერ მოახერხებს, გამზადებულ კონტრაქტს ამერიკაში გავუგზავნით.*

ფედერაციის ხელმძღვანელმა ისიც დასძინა, რომ მწვრთნელთან მომავალი წლის მოსამზადებელ გეგმაზე კონკრეტული საუბარი არ ყოფილა, რადგან სწორედ ახლა მიმდინარეობს სხვადასხვა ფედერაციებთან მოლაპარაკებები, შეთავაზებების განხილვა, რაც საბოლოოდ მწვრთნელთან უნდა შეთანხმდეს და სწორედ იგორ კოკოშკოვი დაგეგმავს 2012 წლის შესარჩევი ეტაპის მოსამზადებელ გეგმას.

ფედერაციის პრეზიდენტს ისიც ვკითხეთ, მწვრთნელთან ნატურალიზებულ კალათბურთელზე თუ ჰქონდა საუბარი...

*- იგორ კოკოშკოვმა იცის, ვინ სჭირდება საქართველოს ნაკრებს. იგი თავის ვარიანტს შემოგვთავაზებს, თუმცა პარალელურად ჩვენც ვიმუშავებთ. ჩვენს გუნდში სწორედ ის ნატურალიზებული კალათბურთელი ითამაშებს, რომელიც ნაკრებს სათანადოდ გამოადგება.*

ჩვენი მხრივ დავძენთ, სერბმა სპეციალისტმა ევროპის ჩემპიონატის ბოლო მატჩის შემდეგ ნაკრებში საჭირო ახალ სისხლზე ილაპარაკა. უნდა ველოდოთ, რომ 2012 წელს საქართველოს ეროვნულ გუნდში არაერთი ახალი სახე გამოჩნდება.

ქართველი ევროლიგაზე

# ჯოვანი ბოძი: შენგელია შეტევაში...

**თორნიკე შენგელიასა** და **დემონდ მალეტის** დახმარებით როგორ დაამარცხა „შარლერუამ" ბელგრადის „პარტიზანი", უკვე იცით - 84:79.

პირველ ტაიმში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, ბელგიელებს თუნდაც 5-ქულიანი უპირატესობის მოპოვება უჭირდათ. მეორე ტაიმი 32 წამის დაწყებული იყო, როცა მწვრთნელმა მოედანზე ქართველი ფორვარდი დააბრუნა, რის შემდეგაც ინიციატივა „შარლერუას" ხელში გადავიდა - თორნიკემ მესამე ათწუთეულში 10 ქულა ჩააგდო. მატჩის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ეპიზოდიც შენგელიაზე მოდის: ბურთს საკუთარ საჯარიმოში დაეუფლა და რამდენიმე ნაბიჯში მეტოქის ფარქვეშ შეიჭრა, გზად თითქმის ყველა პარტიზანელი მოატყუა და ორქულიანი ეფექტურ ნახტომში ჩააგდო, რასაც ერთი საჯარიმო მიაყოლა.

მესამე პერიოდში მოპოვებული 8-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება „შარლერუას" დარ სტაბილურ გუნდს არ უნდა გასჭირვებოდა. ასეც მოხდა. მეოთხე პერიოდში ბელგიელები უფრო თავისუფლად ათამაშდნენ და გადამწყვეტ მომენტში არც სამქულიანების ტყორცნისას აუკანკალებიათ ხელი. ბოლო პერიოდის დასაწყისში თორნიკემ თანაგუნდელებს ერთი სამქულიანი შეაშველა, საბოლოოდ 17 ქულას გამორჩა, რაც მისი საევროლიგო რეკორდია.

# კიდევ ერთი-ორი მოგება? რატომაც არა!

ნამატჩევს „შარლერუას" მთავარმა მწვრთნელმა **ჯოვანი ბოძიმ** პრესკონფერენციაზე შენგელია იახლა. ჯერ მწვრთნელის კომენტარს გაეცნოთ:

*- კმაყოფილი ვარ კალათბურთელთა გარჯით. განსაკუთრებით ეფექტურად მეორე ტაიმი ჩავატარეთ - ფარქვეშიდანაც შედეგიანად ვუტევდით და პერიმეტრიდანაც. კრისტოფ ბეგინს არ უთამაშია, თუმცა ჩვენმა მაღლებმა ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის: შენგელიამ შეტევაში, გრინმა დაცვაში. ჯერ მხოლოდ ორი მოგება გვაქვს, რატომ არ უნდა დავასრულოთ სეზონი სამი ან ოთხი გამარჯვებით?*

აი, რა თქვა თორნიკემ პრესკონფერენციაზე:

*- ევროლიგაზე გამარჯვებას რამდენიმე კვირა ველოდით და მოხარული ვარ, რომ დღეს ამას მივაღწიეთ. ისიც ვიცი, რომ მეორე მოგება ტოპ-16-ში გასვლისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ გვაქვს შანსი, მომდევნო ორ მატჩში ჩვენი თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ. „პარტიზანთან" პირველ ტაიმს თუ არ ჩავთვლით, შესანიშნავად ვითამაშეთ. ეს სასიხარულოა მით უფრო, რომ ძლიერი მეტოქე გვყავდა.*

„შარლერუას" მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი რომ შეენარჩუნებინა, სერბები 11 და მეტი ქულის სხვაობით უნდა დაემარცხებინა... 2 მოგებით ბელგიელები ჯგუფში მეექვსე ადგილზე არიან და სწორედ 2 გამარჯვებით ჩამორჩებიან მეოთხეადგილოსან „პარტიზანს". ტოპ-16-ში ცხრილის ზედა ოთხეულის წარმომადგენლები გადიან.

# დრაფტი, მეორე წრე

გუშინ, შენგელიაზე სიახლეების ძიებისას ესპანურ საიტ „ტუბასკეტზე" საინტერესო ინფორმაციას წავაწყდით. ავტორი სიამაყით წერს, რომ NBA-ს 2012 წლის დრაფტის კანდიდატად სევილიის „კახასოლის" კალათბურთელი **ტომას სატორანსკია** დასახელებული. მას ამერიკული გამოცემა „დრაფტექსპრესი" 23 ნომრად არჩევას უწინასწარმეტყველებს. სიაში კიდევ რამდენიმე ევროპელია: **ალდემირ ფურკანი** („გალათასარაიდან", **ზაზა ფაჩულიას** ყოფილი თანაგუნდელი), **აუგუსტო სესარ ლიმა** („უნიკახა", ესპანეთი), **ტომისლავ ზუბჩიჩი** („ციბონა", ხორვატია), **ნემანია ნედოვიჩი** („ცრვენა ზვეზდა", სერბეთი), **დევიდ ჟელინეკი** („ხუვენტუდი", ესპანეთი), **ნიჰად დედოვიჩი** („რომა", იტალია), **თორნიკე შენგელია** („შარლერუა", ბელგია).

„დრაფტექსპრესმა" შენგელიაზე წინ მხოლოდ სამი ევროპელი დააყენა - სატორანსკი, ლიმა და ფურკანი. თორნიკეს ამერიკელი სპეციალისტები დრაფტზე მეორე წრეში მეხუთე ნომრად არჩევას უწინასწარმეტყველებენ. თუმცა დადგება თუ არა იგი 2012 წლის დრაფტზე, ჯერ საკითხავია, რადგან ერთი-ორი წელი ევროპაში უმაღლეს დონეზე სჭირდება თამაში, რათა NBA-ში გამოცდილი და ყოველმხრივ მომზადებული წავიდეს.

საქართველოს ჩემპიონატი. IX ტური.

# თსუ-მ გამოასწორა

**9 დეკემბერი**

**რუსთავი**

**რუსთავი-თსუ 81:103**

19:20, 18:27, 20:30, 24:26

**რუსთავი:** არწივიძე (8ქ), ჩაჩანიძე (25ქ), მაჭავარიანი (13ქ), ხმელიძე (16ქ, 8მ), გუგავა (7ქ, 8მ), გ. არაბული, ჯ. არაბული, გ. ბერუაშვილი, თვარაძე, ბააკაშვილი (2ქ), კოპალიანი (10ქ).

**თსუ:** ჩიტაშვილი (14ქ, 12პ), ფანჩულიძე (23ქ), კორკოტაძე (6ქ, 11მ), ზ. მაისურაძე (23ქ), ნინიაშვილი (10ქ, 10მ), შერმადინი (24ქ), დ. ბერიშვილი (3ქ), მჭედლიშვილი, კოხრეიძე, მარკოიშვილი, ხიზანიშვილი, ჩქარეული.

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე, ს. საინერსი.

**კომისარი:** გ. სანაძე.



გასული ჩემპიონატის მეორეადგილოსანმა თსუ-მ პირველი წრე არადამაჯერებლად დაიწყო, თუმცა გამოასწორა როგორც თამაში, ასევე სატურნირო მდგომარეობა. ბოლო სამ ტურში წარმატებული გარჯის წყალობით სტუდენტებმა მეხუთე ადგილზე აინაცვლეს. მათ გუშინ რუსთავში იმარჯვეს - 103:81.

თსუ-მ მასპინძლებს ორ მთავარ კომპონენტში დამაჯერებელი სხვაობით აჯობა: რუსთაველებზე 10-ით მეტი მოხსნა (41:31) მოაგროვა და 10-ით მეტი ორქულიანი ჩააგდო (35:25).

მეცხრე ტური დღეს სპორტის სასახლეში 12 საათიდან გაგრძელდება.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 7 | 7 | 0 | 644/440 | 14 |
| 2. სოხუმი | 8 | 6 | 2 | 700/606 | 14 |
| 3. ქუთაისი | 8 | 6 | 2 | 665/600 | 14 |
| 4. ოლიმპი | 7 | 6 | 1 | 560/515 | 13 |
| 5. თსუ | 8 | 4 | 4 | 632/630 | 12 |
| 6. სამედიცინო | 8 | 3 | 5 | 692/709 | 11 |
| 7. შსს | 7 | 3 | 4 | 596/608 | 10 |
| 8. დინამო | 7 | 3 | 4 | 591/623 | 10 |
| 9. სტუ | 7 | 3 | 4 | 571/610 | 10 |
| 10. რუსთავი | 8 | 0 | 8 | 557/751 | 8 |
| 11. ბათუმი | 7 | 0 | 7 | 495/611 | 7 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ორმა დაიწყო და წააგო



ლევან ჩილაჩავა და კონსტანტინე მიქაუტაძე

ევროთასების გათამაშების მორიგი, მესამე ტური „ემლინ ჩელენჯ კაპის“ ორი მატჩით გაიხსნა. ორივეში ქართველ მორაგბეთა გუნდმა ითამაშა და, სამწუხაროდ, ორივე დამარცხდა.

B ჯგუფში საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა **ლევან ჩილაჩავას, დავით ქუბრიაშვილისა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონის“ დაპირისპირება სტუმრად „ნიუკასლთან“. შეხვედრა მასპინძლებმა რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით - 6:3 მოიგეს.

აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, მეორეში კი მასპინძელთა ორ საჯარიმოს ტულონელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მატჩში არ უთამაშია „ტულონის“ მგეზავ **ჯონი ვილკინსონს.**

ქართველთაგან ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ მიქაუტაძემ ითამაშა, რომელიც 58-ე წუთზე შეცვალეს, ჩილაჩავა სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა, ქუბრიაშვილი განაცხადში არ იყო.

ამავე ჯგუფში **ტარიელ რატიანიძისა და გურამ კავთიძის** „ლიონი“ შინ ეთამაშება იტალიურ „პადოვას“, რომელსაც, სავარაუდოდ, აუცილებლად დაამარცხებს, თუმცა ეს საკმარისი არ იქნება, მეორეადგილოსან „ტულონს“ დაეწიოს. ლიონელებს მხოლოდ ერთი ქულა აქვთ, მაშინ როცა ტულონელებმა 10 ქულა დააგროვეს და პირველადგილოსან „ნიუკასლს“ სამი ქულით ჩამორჩებიან.

**B ჯგუფი**

**ნიუკასლი-ტულონი 6:3, ლიონი-პადოვა**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ნიუკასლი - 13 ქულა, 2. ტულონი - 10, 3. ლიონი - 1, 4. პადოვა - 0.**

მეორე შეხვედრა E ჯგუფში გაიმართა, სადაც **ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა“ გათამაშების ლიდერ, ინგლისურ „სეილ შარქსს“ უმასპინძლა და 14:29 წააგო. სტუმრები მატჩის დასაწყისიდანვე დიდ უპირატესობას ფლობდნენ და 22-ე წუთისთვის 22:0 იგებდნენ. აჟენელები შესვენების შემდეგღა გამოფხიზლდნენ, მაგრამ გვიანღა იყო.

შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი“ ესპანეთში „ლა ვილას“ ეთამაშება. ვინაიდან მეტოქე საკმაოდ სუსტია, ბრიველთა თავკაცმა **უგო მოლამ** სამივე ქართველს დასვენების საშუალება მისცა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბრივი“ ესპანურ გუნდს აუცილებლად დაამარცხებს, ამ ჯგუფში ლიდერი ჩვენებურთა სწორედ ეს გუნდია. „აჟენს“ კი სამი თამაშიდან ხუთი ქულა აქვს და მესამე ადგილზეა.

**E ჯგუფი**

**აჟენი-სეილ შარქსი 14:29, ლა ვილა-ბრივი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სეილ შარქსი - 10 ქულა, 2. ბრივი - 8, 3. აჟენი - 5, 4. ლა ვილა - 0.**

ყველაზე პრესტიჟული „ჰეინეკენის თასის“ გათამაშების მესამე ტურის წინ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო შედეგი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს“ აქვს. „ვულკანებმა“, რომლებიც D ჯგუფში ასპარეზობენ, განვლილ ორ ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს, თუმცა ორივე შეხვედრაში თითო-თითო პრემიალური ქულა ირგუნეს და ახლა ექვსი ქულით მეორე ადგილზე არიან.

კლერმონი მესამე ტურში ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს“ უმასპინძლებს, რომელმაც ორი მატჩიდან ორივე მოიგო და რვა ქულით ჯგუფის ლიდერია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური გუნდი გამარჯვების შემთხვევაში, ფაქტობრივად, პირველ ადგილს გაინაღდებს.

ამავე ჯგუფში ირლანდიური „ალსტერი“ შინ მიიღებს ჯგუფის აუტსაიდერ, იტალიურ „აირონს“.

**D ჯგუფი**

**ალსტერი-აირონი, კლერმონი-ლესტერი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლესტერი - 8 ქულა, 2. კლერმონი - 6, 3. ალსტერი - 4, 4. აირონი - 0.**

A ჯგუფში ბოლო ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელმაც ორი მატჩიდან ორივე წააგო და მხოლოდ ერთი პრემიალური ქულის მოპოვება შეძლო. ჩვენებურის გუნდმა, როგორც ჩანს, მთელი ყურადღება საფრანგეთის ჩემპიონატზე გადაიტანა, სადაც ლიდერთა შორისაა და ჩემპიონობაზე აცხადებს პრეტენზიას.

კასტრელების მეტოქე საშინაო არენაზე, ამჯერად, ასევე ორჯერ დამარცხებული ინგლისური „ნორსჰემპთონი“ იქნება. ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორისაა.

ამავე ჯგუფში, ლიდერი უელსური „ჰლანეჰლი“ შინ მიიღებს მეორეადგილოსან ირლანდიურ „მანსტერს“.

**A ჯგუფი**

**კასტრი-ნორსჰემპთონი, ჰლანეჰლი-მანსტერი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჰლანეჰლი - 9 ქულა, 2. მანსტერი - 8, 3. ნორსჰემპთონი - 2, 4. კასტრი - 1.**

C ჯგუფში ჯერ არ მოუგია **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიეს“, რომელსაც ამჟამად სამი ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლო, მეოთხე ადგილზეა. არადა, მონპელიელებს განვლილ ორ ტურში ცუდად არ უთამაშიათ და ორივე მატჩის მოგების შანსი ჰქონდათ.

მესამე ტურში „მონპელიე“ სტუმრად დაუპირისპირდება შოტლანდიურ „გლაზგოს“, რომელიც 4 ქულით მესამე ადგილზეა. მონპელიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიენ გალტიემ** გორგოძეს, რომელსაც ბოლო შეხვედრებში აშკარად დაეტყო დაღლილობა, დასვენების საშუალება მისცა. შველიძე და ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში არიან, ნარიაშვილი სათადარიგოთა შორის იქნება.

„გლაზგოს“ წინააღმდეგ არ ითამაშებენ ასევე ტრავმირებული **ფრანსუა ტრინ-დუკი** და **ჟულიენ ტომა**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მონპელიემ“ საკმაოდ სერიოზული დანაკარგი განიცადა. გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელ **ერიკ ბეშუს** მძიმე სენი შეეყარა და სამი თვე მკურნალობის გამო გუნდთან ვერ იმუშავებს.

ამავე ჯგუფში, ინგლისური „ბასი“, რომელიც „მონპელიეს“ სულ რაღაც ორი ქულით უსწრებს, შინ შეხვდება გათამაშების ლიდერ, ირლანდიურ „ლენსტერს“.

**C ჯგუფი**

**გლაზგო-მონპელიე, ბასი-ლენსტერი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლენსტერი - 7 ქულა, 2. ბასი - 5, 3. გლაზგო - 4, 4. მონპელიე - 3.**




ბექა შეყლაშვილი

მსოფლიოს თასის ექო



# ინგლისელებმა მწვრთნელთა სამეული დაასახელეს

ინგლისის რაგბის კავშირმა დაადასტურა, რომ ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ექვსი ერის გათამაშებაზე დროებით ინგლისის A ნაკრების თავკაცი, **სტიუარტ ლანკასტერი** უხელმძღვანელებს. მას ასისტენტობას გაუწევს შერკინების მწვრთნელი **გრემ რაუნტრი** და უკანახაზელთა დამრიგებელი **ენდი ფარელი.**

აღსანიშნავია, რომ ლანკასტერი საკმაოდ წარმატებულად მუშაობდა ინგლისის A ნაკრებში. რაუნტრი კი ერთადერთია ამ სამეულიდან, რომელიც ინგლისის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის **მარტინ ჯონსონის** სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო. რაც შეეხება ფარელს, ის ინგლისის ჩემპიონის „სარასენზის“ მთავარი მწვრთნელია და ორ ფრონტზე, კლუბსა და ნაკრებში მოუწევს ბრძოლა.

თუმცა ეს ყოველივე მხოლოდ მარტის ბოლომდე გაგრძელდება. ექვსი ერის გათამაშების შემდეგ, ზაფხულის ტესტების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ინგლისის რაგბის კავშირი „პომებს“ ახალ, ნამდვილ მწვრთნელს დაუნიშნავს.

*„ჩვენ სამივენი მოხარულნი ვართ, რომ ეროვნულ ნაკრებთან მუშაობის საშუალება გვეძლევა. ენდრიუ ფარელმა შესანიშნავად იმუშავა „სარასენზში“, გრემ რაუნტრი კი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ნაკრების მოთამაშეებში. დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ ერთად ნაყოფიერად ვიმუშაოთ.*

*მსოფლიოს თასის გათამაშებაში ნაკრების გამოსვლამ ყველა გაგვაწბილა, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წლეულს „პომებმა“ 13 თამაშიდან 10 მოიგეს და ექვსი ერის გათამაშებაში პირველობა არავის დაუთმეს. ჩვენ გვყავს საკმაოდ კარგი ჯგუფი მორაგბეებისა, რათა წინ ვიაროთ და საუკეთესო შედეგებს მივაღწიოთ“* - თქვა სტიუარტ ნაკასტერმა.

ინგლისის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **სტივენ ბრაუნმა** ეს გადაწყვეტილება ასე ახსნა:

*„სტიუარტ ლანკასტერი გამოცდილი მწვრთნელია, მან საკმაოდ კარგად იმუშავა ინგლისის A ნაკრებში. მის ხელში ბევრმა შესანიშნავმა მოთამაშემ გაიარა. მას დიდად დაეხმარება გრემ რაუნტრი, რომელიც დიდი ხანია ეროვნული გუნდის ერთ-ერთი დამრიგებელია და მოთამაშეებს კარგად იცნობს.*

*დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „სარასენზის“ მწვრთნელს ენდი ფარელს, რომელიც ნაკრებში დროებით სამსახურს დაგვთანხმდა. მიგვაჩნია, რომ მწვრთნელთა ეს ჯგუფი ინგლისის ნაკრების ამ გარდამავალ ეტაპზე წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას“.*

შეგახსენებთ, რომ ექვსი ერის გათამაშების პირველ შეხვედრას „პომები“ სტუმრად გამართავენ „მერიფილდზე“ შოტლანდიის ნაკრებთან.

# ფრანგებსაც ტრიო უხელმძღვანელებს

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელთა შტაბი სამი საკმაოდ გამოცდილი დამრიგებლით იქნება წარმოდგენილი. მთავარ მწვრთნელად, ჯერ კიდევ ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის დაწყებამდე, საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის“ ყოფილი თავკაცი, **ფილიპ სენტ-ანდრე** აირჩია.

ფილიპმა ახლახან თანაშემწეთა ვინაობა დაასახელა. მას „ლე ბლოს“ გაწვრთნაში დაეხმარებიან **იანიკ ბრუ** და **პატრის ლაჟისკო.**

ამასთან ერთად, მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, გუნდს ისევ **ტიერი დუსოტუარი** უკაპიტნებს, რომელიც IRB-მ 2011 წლის საუკეთესო მორაგბედ აღიარა.

„ნაკრების 30-კაციან შემადგენლობას 5 იანვარს დავასახელებ. გუნდი იქნება გამოცდილებისა და ახალგაზრდობის ნაზავი. კაპიტანი იგივე გვეყოლება, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეა. ის არა მარტო კარგი მოთამაშეა, არამედ შესანიშნავი ორგანიზატორიცაა და მორაგბეთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

*იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტ წარმატებას მივაღწიოთ, ვიდრე მსოფლიოს თასის ფინალში თამაშია, საჭიროა ყოველ წელიწადს მუდმივად ვეთამაშოთ ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს“* - თქვა ფილიპ სენტ-ანდრემ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

კალათბურთი




დევიდ სტერნი

## ლოკაუტი ოფიციალურად დასრულდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მმართველმა საბჭომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ გამოაცხადა. ასე რომ, NBA-ში ლოკაუტი ოფიციალურად დასრულდა.

ახალი ხელშეკრულება ათწლიანია, თუმცა ექვსი წლის შემდეგ ერთ-ერთ მხარეს შეუძლია მისი ცალმხრივად შეწყვეტა. უკვე დღეიდან კლუბები გახსნიან თავიანთ საწვრთნელ ბანაკებს და შეეძლებათ თავისუფალი აგენტების გაფორმება.

ამასობაში, NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** მიანიშნა იმის შესახებ, რომ მალე აპირებს თავისი პოსტის დატოვებას და ლიგის სტრუქტურიდან წასვლას.

*„ვფიქრობ, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს ჩემს ბოლო კოლექტიურ ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი. ეს შეთანხმება ექვსწლიანია ოთხი წლით გაგრძელების პერსპექტივით. ნამდვილად არ ვაპირებ NBA-ში ათი წლით დარჩენას და ვფიქრობ, არც ექვსი წლით. ჯერჯერობით არ მომიფიქრებია როდის წავალ. როცა მივხვდები, რომ დრო მოვიდა, პოსტს დავტოვებ“,* - ამბობს სტერნი.

## ჩაშლილი დიდი ტრეიდი



კრის პოლი

ამ დღეებში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მასშტაბური ტრეიდი იგეგმებოდა. რამდენიმე წყაროს ცნობით, „ნიუ ორლეანმა“, „ლეიკერსმა“ და „ჰიუსტონმა“ სამმხრივი გაცვლა დაგეგმეს, რომლის მიხედვითაც **კრის პოლი** ლოს ანჯელესში წავიდოდა, **ლამარ ოდომი, ლუის სკოლა, კევინ მარტინი** და **გორან დრაგიჩი** „ჰორნეტსში“ აღმოჩნდებოდნენ, „როკეტსი“ კი **პაუ გასოლს** მიიღებდა.

მაგრამ გარიგება არ შედგა. NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** სხვა კლუბების მფლობელთა მოთხოვნით აუკრძალა „ჰორნეტსის“ გენერალურ მენეჯერს **დელ დემპსის** წამყვან კალათბურთელთან გამოთხოვება. გარდა ამისა, სავარაუდო გაცვლა შესამჩნევად დააგდებდა კლუბის ფასს, რომელიც ლიგას ეკუთვნის.

სტერნის ამ გადაწყვეტილებამ დიდი აყიოტაჟი გამოიწვია. „ნიუ ორლეანის“ გენერალურმა მენეჯერმა აღიარა, რომ უნდოდა საკუთარი პოსტის დატოვება მას შემდეგ, რაც ლიგამ დაბლოკა კრის პოლის „ლეიკერსში“ გადასვლა. კალიფორნიული კლუბის მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა** კი აღშფოთება და გაბრაზება ვერ დამალა ამგვარი უსამართლობის გამო.

ასევე უკმაყოფილოა თავად კრის პოლი და არ აპირებს შეურიგდეს ლიგის ამ გადაწყვეტილებას. მან უკვე მიმართა მოთამაშეთა პროფკავშირების თავმჯდომარე **ბილი ჰანტერს** თხოვნით, გამონახოს შესაძლო გაცვლის იურიდიული საფუძველი.

■ ■ ■

ამასობაში, კრის პოლთან მიმართებაში კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს სხვა კლუბებმაც. მაგალითად, „ნიუ იორკი“ მზად არის ამ პლეიმეიკერის სანაცვლოდ **ამარე სტაუდმაიერი** დათმოს, „ბოსტონი“ კი შეელევა **რაჟონ რონდოს, ჯეფ გრინსა** და მომავალ დრაფტზე რამდენიმე არჩევანის უფლებას.

## ჩენდლერი ნიუ იორკში წავიდა

გუშინ ცნობილი გახდა რამდენიმე ტრანსფერის შესახებ. 33 წლის პლეიმეიკერმა **ჯამალ ტინსლიმ** (2001 წლის დრაფტის 27-ე ნომერი), რომელსაც კარიერის დიდი ნაწილი „ინდიანაში“ აქვს გატარებული, „იუტა ჯაზთან“ კონტრაქტის დეტალები შეათანხმა.

NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში ჩატარებულ 436 მატჩში ტინსლიმ საშუალოდ 9.8 ქულა, 6.6 შედეგიანი პასი და 3.3 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

„მილუოკი ბაქსი“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს „გოლდენ სტეიტისა“ და „ინდიანას“ ყოფილ ფორვარდთან **მაიკ დანლივისთან**. 31 წლის კალათბურთელი ორ სეზონში 7.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

დანლივის NBA-ში 10 სეზონი აქვს გატარებული. მისი საშუალო სტატისტიკური მონაცემები 12.1 ქულასა და 4.7 მოხსნას უდრის.

■ ■ ■

„დალასის“ მიერ დაწუნებული ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი** „ნიუ იორკ ნიქსში“ სათამაშოდ მიდის. ის გააფორმებს ოთხწლიან კონტრაქტს, რომლის ღირებულება 58 მილიონი დოლარი იქნება.

როგორც ჩანს, ჩენდლერის გაფორმების შემდეგ „ნიქსს“ მოუწევს **ჩონსი ბილაპსთან** და **რონი ტურიაფთან** გამოთხოვება.

■ ■ ■

დაბოლოს, kidev ერთი საინტერესო ამბავი ის არის, რომ „ორლანდო მეჯიქის“ ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** თავის კლუბს უახლოეს დღეებში „ნიუ ჯერსიში“ გაცვლა სთხოვა. სანაცვლოდ „ნეტსი“ „ორლანდოს“ სთავაზობს **ბრუკ ლოპესსა** და 2012 წლის დრაფტის პირველ რაუნდში ორი კალათბურთელის არჩევანს.

კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაკაბი დასუსტდა

რამდენიმე საინტერესო მატჩით დასრულდა საკალათბურთო ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მერვე ტური.

სატურნირო მდგომარეობის მიხედვით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა A ჯგუფის შეხვედრას საბერძნეთის „ოლიმპიაკოსისა“ და ესპანეთის „კახა ლაბორალს“ შორის. მოგების შემთხვევაში ბერძნები უთანაბრდებოდნენ ცხრილში ესპანელებს და მყარად იმკვიდრებდნენ ადგილს მეოთხე პოზიციაზე.

„ოლიმპიაკოსმა“ გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო ამ ამოცანის შესრულება. პირველი მეოთხედის შვიდი ქულით წაგების შემდეგ, ბერძნულმა გრანდმა მოახერხა მეორე მეოთხედში გარდატეხის შეტანა და ეს ათი წუთი 12 ქულის სხვაობით მოიგო, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

„კახა ლაბორალის“ ბოსნიელმა ლეგიონერმა **ტელეტოვიჩმა** 32 ქულა დააგროვა და მისი მონდომებით სტუმრებმა მესამე და მეოთხე მეოთხედები მოიგეს, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა - „ოლიმპიაკოსმა“ 84:82 მოიგო შეხვედრა.

■ ■ ■

B ჯგუფში ორი გამოკვეთილი ლიდერია - ცსკა და „ბარსელონა“, რომლებმაც უკვე გაინაღდეს ტოპ16-ში თამაში, დანარჩენი ორი საგზურისთვის კი ოთხი გუნდი იბრძვის.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ გერმანიის „ბამბერგმა“, რომელმაც, მოულოდნელად იოლად დაამარცხა სტუმრად ესპანეთის „უნიკახა“.

„ბამბერგმა“ ოთხიდან სამი მეოთხედი მოუგო მეტოქეს, რაც საბოლოოდ ასეთ ანგარიშში გამოიხატა - 90:79. ეს გუნდები სამ-სამი მოგებით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ ჯგუფში. თითო მოგებით ნაკლები აქვთ - „ზაგრებსა“ და „ჟალგირისს“.

■ ■ ■

მადრიდში „რეალი“ და „მაკაბი“ C ჯგუფის ლიდერის ვინაობას არკვევდნენ. ეს იყო მთლიანად მერვე ტურის ცენტრალური შეხვედრა, რომელმაც არ გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი. როგორც ჩანს, **ჯორდან ფარმარის** NBA-ში დაბრუნებამ ძალიან დაასუსტა „მაკაბი“ და ისრაელის ჩემპიონმა დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „სამეფო კლუბს“.

სტუმრებმა მხოლოდ მეორე მეოთხედში იბრძოლეს ღირსეულად და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს, მაგრამ „რეალმა“ დიდ შესვენებამდე აღადგინა რვაქულიანი უპირატესობა, შემდეგ ამას მესამე მეოთხედში კიდევ შვიდი ქულა დაუმატა, ბოლო 10 წუთში კი საერთოდ გაანადგურა მეტოქე და საბოლოოდ, 24 ქულით გაიმარჯვა.

„რეალი“ C ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი გახდა და სავარაუდოდ, აღარ დათმობს პირველ ადგილს, „მაკაბის“ კი მეორე პოზიციისთვის მოუწევს ბრძოლა თურქეთის „ეფესთან“.

ამავე ჯგუფში ტოპ16-ში მოხვედრის თეორიული შანსი დაიტოვა **თორნიკე შენგელიას** „შარლერუამ“. ქართველმა კალათბურთელმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა „პარტიზანის“ წინააღმდეგ და მატჩის მესამე ბომბარდირი გახდა 17 ქულით. რაც მთავარია, მისმა მონდომებამ შედეგი გამოიღო და ბელგიურმა კლუბმა 84:79 გაიმარჯვა.

თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, ბელგიელებმა მატჩის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყვიტეს, რომელიც 11-ქულიანი სხვაობით მოიგეს და შემდეგ მოახერხეს უპირატესობის შენარჩუნება.

თუმცა „შარლერუასთვის“ შემდეგ ეტაპზე გასვლა რთული იქნება - ამისთვის საჭიროა დარჩენილი ორი შეხვედრა მოიგოს და თან „პარტიზანმა“ უნდა წააგოს ბოლო ორი ტური.

■ ■ ■

მოსკოვის ცსკა-ს არ ჩამორჩა და ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვა „ბარსელონამ“, რომელიც შინ რუსეთის უნიქსს ხვდებოდა. ეს უკანასკნელი პირველი სამი მეოთხედი ღირსეულად ებრძოლა ფავორიტს, მოიგო მეორე და მესამე მეოთხედები, მაგრამ ბოლო 10 წუთში 7:16 დამარცხდა და მატჩი 50:63 წააგო.

მიუხედავად ამისა, უნიქსს უკვე განაღდებული აქვს მეორე ეტაპზე თამაში.

ცდილობს „ბარსელონას“ არ ჩამორჩეს და ჯგუფში პირველობისთვის იბრძოლოს იტალიის „მონტეპასკი“. ამისთვის მას გამარჯვება სჭირდებოდა სტუმრად „გალათასარაის“ წინააღმდეგ და პირენეელებმა ამ მიზანს მიაღწიეს.

პირველ ტაიმში „გალათასარაი“ უკეთ გამოიყურებოდა და ერთხელ **ილდირიმის** ზუსტი სამქულიანით ექვსი ქულით წინ გასვლაც მოახერხა. ეს იყო ყველაზე დიდი სხვაობა, რომელიც ამ მატჩში დაფიქსირდა.

„მონტეპასკიმ“ თამაშში გარდატეხა მესამე მეოთხედში შეიტანა, როცა 10-წუთიანი მონაკვეთი 8 ქულის სხვაობით მოიგო, ეს უპირატესობა საფინალო სირენამდე შეინარჩუნა და 67:63 გაიმარჯვა.

ამ წაგების მიუხედავად, „გალათასარაის“ შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს - ამისთვის თურქებმა ბოლო 2 ტურში ერთი მატჩი უნდა მოიგონ.

### A ჯგუფი

**ოლიმპიაკ-კ. ლაბორალი 84:82**

19:26, 27:15, 19:21, 19:20

ო: სპანულისი (21+5 პასი), პაპანიკოლასი (12+5 მოხსნა), ჰაინსი (11+6 მოხსნა), პრინტეცისი (11+6 მოხსნა), ანტიჩი (8+5 მოხსნა).

კ-ლ: ტელეტოვიჩი (32+7 მოხსნა), სან ემეტერიო (14+6 მოხსნა), პრიჯიონი (8+6 მოხსნა+6 პასი).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 5 | 3 | 30 |
| 2. კანტუ | 5 | 3 | 12 |
| 3. კ. ლაბორალი | 4 | 4 | 7 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 4 | 4 | -5 |
| 5. ბილბაო | 3 | 5 | 6 |
| 6. ნანსი | 3 | 5 | -50 |

### B ჯგუფი

**უნიკახა-ბამბერგი 79:90**

23:24, 17:22, 21:21, 18:23

უ: როულენდი (17+5 პასი), ფრილენდი (17+7 მოხსნა), ფიტჩი (15), ზორიჩი (11).

ბ: ჯენკინსი (23+5 პასი), სლოფტერი (14+8 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), ჰაველი (12), იაკობსენი (11), ტაკერი (11+13 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 8 | 0 | 117 |
| 2. პანათინაიკოსი | 6 | 2 | 106 |
| 3. ბამბერგი | 3 | 5 | -2 |
| 4. უნიკახა | 3 | 5 | -24 |
| 5. ჟალგირისი | 2 | 6 | -74 |
| 6. ზაგრები | 2 | 6 | -123 |

### C ჯგუფი

**შარლერუა-პარტიზანი 84:79**

13:18, 24:20, 32:23, 15:18

შ: მალეტი (22), შენგელია (17), ჰილი (15), უელში (13+5 მოხსნა+4 პასი), გრინი (9+7 მოხსნა).

პ: ლოუ (22), კატიჩი (10), მაჩვანი (10+12 მოხსნა), კეჩმანი (10), რადულიცა (10+5 მოხსნა).

**რეალი-მაკაბი 88:64**

22:15, 26:25, 18:11, 22:13

რ: მიროტიჩი (26+8 მოხსნა), კეროლი (17+6 მოხსნა), პოჩიუსი (12).

მ: ლონგფორდი (18), ელიაჰუ (11), ჰენდრიქსი (10+5 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 6 | 2 | 79 |
| 2. ეფესი | 5 | 3 | 18 |
| 3. მაკაბი | 5 | 3 | 2 |
| 4. პარტიზანი | 4 | 4 | -11 |
| 5. მილანი | 2 | 6 | -37 |
| 6. შარლერუა | 2 | 6 | -51 |

### D ჯგუფი

**ბარსელონა-უნიქსი 63:50**

21:15, 12:13, 14:15, 16:7

ბ: ნავარო (13), ლორბეკი (11), მიკელი (10).

უ: ლაიდეი (12), გრირი (10).

**გალათასარაი-მონტეპასკი 63:67**

18:19, 15:13, 10:18, 20:17

გ: ლაკოვიჩი (15), ანდრიჩი (14+7 მოხსნა), ლუკასი (10+6 მოხსნა+5 ჩაჭრა).

მ: ანდერსენი (18+8 მოხსნა), რაკოჩევიჩი (17).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 8 | 0 | 168 |
| 2. მონტეპასკი | 6 | 2 | 54 |
| 3. უნიქსი | 5 | 3 | 6 |
| 4. გალათასარაი | 3 | 5 | -34 |
| 5. პროკომი | 1 | 7 | -72 |
| 6. ოლიმპია | 1 | 7 | -122 |



მიროტიჩი რეალში საუკეთესო იყო

ოლიმპიზმი

## რბილი სასჯელი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** გამოაცხადა იმ სასჯელის შესახებ, რომელიც სოკ-ის წევრებს **ისა ჰაიატუსა** და **ლამინ დიაკს** დაეკისრებათ. ამ ჩინოვნიკების სახელები ამოტივტივდა კორუფციულ სკანდალში, რომელსაც ახლა სამართალდამცავები სოკ-თან ერთად იძიებენ. ჰაიატუმ და დიაკმა მარკეტინგული კომპანია ISL-ისგან ქრთამი აიღეს ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ოლიმპიური კომიტეტის წევრები გახდებოდნენ.

ფიფას ვიცე-პრეზიდენტს ჰაიატუს საყვედური გამოუცხადეს, მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი დიაკი გააფრთხილეს. ამასთან, ეს სასჯელი არ იმოქმედებს სოკ-ში მათ მომავალ მოღვაწეობაზე.

შეგახსენებთ, რომ სოკ-ის კომისია იძიებს კორუპციის ფაქტებს, რომლის შესახებ BBC-ის ტელეეთერში გაჟღერდა. ბრიტანელი ჟურნალისტების მონაცემებით, ჰაიატუმ ტელეუფლებების გადაცემის სანაცვლოდ ISKL-ისგან 100 ათასი ფრანკი მიიღო, დიაკმა - 52 680 ფრანკი. როგორც უკვე ვწერდით, ამ საქმის კიდევ ერთი მონაწილე, ფიფას ყოფილი პრეზიდენტი **ჟოაო აველანჟი** იძულებული გახდა, დაესრულებინა სპორტულ პოლიტიკაში თითქმის ნახევარსაუკუნოვანი კარიერა - ბრაზილიელმა ამ დღეებში დატოვა ოლიმპიური კომიტეტი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი




ფილადელფია გოლს ზეიმობს

# პიტსბურგი ჩამოაქვეითეს

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერი შეიცვალა. „ფილადელფიამ" უმნიშვნელოვანეს მატჩში შინ დაამარცხა „პიტსბურგი" და მისი ადგილი დაიკავა კონფერენციის ცხრილის უმაღლეს საფეხურზე.

„მფრინავებს" საქმე იმანაც გაუადვილა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო თამაში ვერ შეძლო „პიტსბურგის" ლიდერმა **სიდნი კროსბიმ**. მის გარეშე „პინგვინები" პერიოდ-ნახევარი შეტევაში სუსტად გამოიყურებოდნენ, „ფილადელფიამ" კი ამასობაში, სამი გოლი გაიტანა **მარკ-ანდრე ფლერის** კარში.

„პიტსბურგი" მხოლოდ 0:3-ის შემდეგ გამოცოცხლდა, განსაკუთრებით აქტიურობდა რუსი ვარსკვლავი **ევგენი მალკინი**, რომელმაც ჯერ ჯეიმს ნილს გაატანინა, შემდეგ კი თავადაც შეაგდო. „პინგვინზს" კიდევ 12 წუთი რჩებოდა თამაშის გადასარჩენად, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა **ილია ბრიზგალოვს**.

კროსბის მდგომარეობას რაც შეეხება, ჟურნალისტებმა გაავრცელეს ჭორი, თითქოს „პიტსბურგის" კაპიტანმა ისევ ტვინის შერყევა მიიღო და ამის გამო არ უთამაშია, მაგრამ კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სიდნის მცირე ტრავმა აქვს და შაბათს ჩვეულებრივ განაახლებს ვარჯიშებს.

„პიტსბურგის" დაწევის შანსი „რეინჯერსსაც" ჰქონდა, მაგრამ ამისთვის „ტამპა ბეის" დამარცხება იყო საჭირო, რაც ნიუიორკელებმა ვერ შეძლეს. თუმცა მატჩის მსვლელობა ისეთი გახლდათ, რომ „რეინჯერსს" ორი ქულის აღების კარგი შანსი ჰქონდა. მასპინძლები ორჯერ იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ ორი წუთი ვერ გაძლეს - ულამაზესი გარღვევით **მურმა** ახლო კუთხეში გაუტანა **ლუნდკვისტს** და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ბულიტების სერიაში კი გაიბრწყინა „ტამპას" მეკარე **მეტიუ გარონმა**, რომელმაც ორი დარტყმა მოიგერია, ერთიც თავად რეინჯერებმა ააცილეს, „ტამპას" მხრიდან კი პენალტი იმავე დომინიკ მურმა გაიტანა და თავის გუნდს 3:2 მოაგებინა.

**რეინჯერსი-ტამპა ბეი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კელეჰანი-11 (ბ. რიჩარდსი-14, სტეპანი-12), 1:1 მელოუნი-6, 2:1 ანისიმოვი-5 (დელ ზოტო-9, დუბინსკი-11), 2:2 მური-2 (ჰედმანი-1, ბრიუერი-7).
**ბულიტები გაიტანეს:** მური (ტამპა ბეი).

**აილენდერსი-ჩიკაგო 2:3**

0:1, 1:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 მარიან ჰოსა-12 (პ. კეინი-23, შარპი-15), 0:2 შარპი-14 (მარიან ჰოსა-16, ჰიალმარსონი-4), 1:2 ჰამონიკი-1 (პარენტო-18, მოულსონი-8), 2:2 გრაბნერი-8 (სტაიოსი-5, ნილსენი-8), 2:3 შარპი-15 (მარიან ჰოსა-17).

**ნიუ ჯერსი-ოტავა 5:4 (ბ)**

0:2, 1:1, 3:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მ. მიხალეკი-18 (სპეცა-17), 0:2 ფოლინო-10 (კოუენი-3, გრინინგი-7), 0:3 ალფრედსონი-7 (ე. კარლსონი-23, სპეცა-18), 1:3 პარიზე-8 (ენრიკე-13), 2:3 ზუბრუსი-8 (ელიაში-14), 3:3 ტედენბი-1 (კლარკსონი-3, ა. ლარსონი-8), 4:3 კოვალჩუკი-8 (პარიზე-11, ენრიკე-14), 4:4 ვინჩესტერი-2 (კ. ფილიპსი-8, ალფრედსონი-9).
**ბულიტები გაიტანეს:** პარიზე (ნიუ ჯერსი), სპეცა (ოტავა), ელიაში (ნიუ ჯერსი), ალფრედსონი (ოტავა), ენრიკე (ნიუ ჯერსი).

**ბოსტონი-ფლორიდა 0:2**

0:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 კოპეცკი-4 (მატიასი-5, კულიკოვი-17), 0:2 ვერსტიგი-13 (ფლიშმანი-17, ბ. კემპბელი-22).

**მონრეალი-ვანკუვერი 3:4 (ბ)**

2:0, 1:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 სენ დენი-1 (კამალერი-9, პლეკანეცი-18), 2:0 დიასი-2 (პასიორეტი-10, კოული-9), 3:0 კოული-9, 3:1 რეიმონდი-1 (ჰანსენი-6), 3:2 ჰოჯსონი-6, 3:3 სალო-6 (ჰ. სედინი-23, კესლერი-13).
**ბულიტები გაიტანეს:** ჰოჯსონი (ვანკუვერი).

**დეტროიტი-ფინიქსი 5:2**

5:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბერტუცი-2 (დაციუკი-17), 2:0 ფილპულა-9 (ზეტერბერგი-11, ჰუდლერი-12), 3:0 ჰოლმსტრიომი-5 (ი. უაიტი-8, დაციუკი-18), 4:0 ჰელმი-4 (კონერი-1, კინდლი-6), 5:0 ჰუდლერი-4 (ზეტერბერგი-12, ფილპულა-14), 5:1 ვრბატა-14 (იენდლი-15, მორისი-6), 5:2 ჰანჟალი-4 (დოუნი-11, რეი უიტნი-15).

**კალგარი-კოლორადო 3:2**

0:0, 0:1, 3:1

**გოლები:** 0:1 დუშენი-10 (ჰეიდა-6), 1:1 სტემპნიაკი-8 (მორისონი-3, კ. ბატლერი-7), 2:1 გლენკროსი-8 (მორისონი-4, სტემპნიაკი-6), 2:2 გალიარდი-4 (ჰეიდუკი-10), 3:2 ო. იოკინენი-8 (იგინლა-10, გლენკროსი-7).

**სტ. ლუისი-ანაჰაიმი 4:2**

1:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 პორტერი-2 (ლანგენბრუნერი-7, ი. კოული-3), 1:1 რაიანი-10 (სელიანე-19, ს. კოივუ-10), 2:1 ი. კოული-1 (დ'აგოსტინი-5, ლანგენბრუნერი-8), 3:1 ოში-8 (კოლაიაკოვო-6), 3:2 სმიტ-პელი-3 (გეტცლაფი-16, რაიანი-6), 4:2 ოში-9 (ბეკსი-8).

**ლოს ანჯელესი-მინესოტა 2:4**

0:1, 0:2, 2:1

**გოლები:** 0:1 მ. კოივუ-6 (სპარჯონი-9, ტეფი-1), 0:2 პოუ-3 (ნ. ჯონსონი-7, ბროძიაკი-7), 0:3 სკანდელა-3 (ჰიტლი-11, კულენი-9), 1:3 პენერი-2 (ჯ. ჯონსონი-6, კოპიტარი-17), 1:4 ელმონდი-1 (ნ. ჯონსონი-8, პოუ-3), 2:4 ჰანტერი-1 (კლიფორდი-3, ჯ. ჯონსონი-7).

**სან ხოსე-დალასი 5:2**

2:1, 3:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კუტური-11 (ქლოუ-12), 2:0 მაკგინი-5 (ჰანძუში-6, ჯ. ბრაუნი-2), 2:1 რიბეირო-3 (მოროუ-7, ოტი-7), 2:2 მოროუ-4 (რიბეირო-16, რობიდასი-8), 3:2 ქლოუ-6 (ჯ. ტორნტონი-17, ჰავლატი-11), 4:2 ვინჩესტერი-3 (ჯ. ტორნტონი-18, ბერნსი-5), 5:2 ტ. მიტჩელი-3 (მაკგინი-3).

**კოლამბუსი-ნეშვილი 3:4 (ო)**

1:0, 1:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-4 (პროსპალი-15, ნეში-12), 2:0 ვერმეტი-4 (ბოლი-1, ნიკიტინი-9), 2:1 ფიშერი-6 (ს. კოსტიცინი-9, ბუიონი-3), 3:1 დორსეტი-6 (მეტოტი-4, ვიშნიევსკი-12), 3:2 ჰორნქვისტი-8 (შ. უებერი-14, რ. სატერი-14), 3:3 ს. კოსტიცინი-4 (ერატი-10, რ. სატერი-15), 3:4 კ. უილსონი-7 (ერატი-11).

**ფილადელფია-პიტსბურგი 3:2**

1:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბრიერი-8 (სიმონდსი-5), 2:0 სიმონდსი-6 (ვორაჩეკი-14, ჟირუ-21), 3:0 ჰარტნელი-13 (მეზაროში-5, მ. კარლი-9), 3:1 ჯ. ნილი-15 (მალკინი-16, ნისკანენი-6), 3:2 მალკინი-10 (ორპიკი-3, ეშემი-7).

## ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იაპონია-ტუნისი | 32:31 (16:16) |
| საფრანგეთი-კუბა | 38:18 (17:8) |
| ბრაზილია-რუმინეთი | 33:28 (14:11) |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 4 | 4 | 0 | 0 | 128-95 | 8 |
| 2. საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 126-83 | 6 |
| 3. რუმინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 119-116 | 5 |
| 4. იაპონია | 4 | 1 | 1 | 2 | 106-132 | 3 |
| 5. ტუნისი | 4 | 1 | 0 | 3 | 108-116 | 2 |
| 6. კუბა | 4 | 0 | 0 | 4 | 95-140 | 0 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ხორვატია-შვედეთი | 27:26 (14:12) |
| დანია-კოტ დ'ივუარი | 38:17 (22:7) |
| ურუგვაი-არგენტინა | 19:16 (11:11) |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 4 | 4 | 0 | 0 | 128-59 | 8 |
| 2. შვედეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 122-77 | 6 |
| 3. ხორვატია | 4 | 3 | 0 | 1 | 127-84 | 6 |
| 4. კოტ დ'ივუარი | 4 | 1 | 0 | 3 | 87-121 | 2 |
| 5. ურუგვაი | 4 | 1 | 0 | 3 | 58-128 | 2 |
| 6. არგენტინა | 4 | 0 | 0 | 4 | 59-112 | 0 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ტორკი-ბარნეტი | 1:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| სამპდორია-იუვე სტაბია | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| პრატო-პორტოგრუარო | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბარსელონა B-ალმერია | 3:3 |
| **გერმანია** | |
| ჰერტა-შალკე | 1:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| დუისბურგი-კარლსრუე | 3:1 |
| მიუნხენი-ბრაუნშვაიგი | 3:0 |
| პადერბორნი-ჰანზა | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| მაგდებურგი-ჰანოვერი A | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ლევერკუზენი A-ვიდენბრუკი | 0:2 |
| ვუპერტალი-შალკე A | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| ნიმი-ბოვე | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-დორდრეჰტი | 2:3 |
| კამბური-ვეენდამი | 5:1 |
| ემენი-ცვოლე | 1:2 |
| ეინდჰოვენი-დენ ბოში | 2:2 |
| ვოლენდამი-ჰელმონდი | 3:1 |
| ფორტუნა-ვილემი | 3:1 |
| იგლზი-ალმერი | 2:2 |
| სპარტა-მაასტრიხტი | 0:0 |
| ოსი-ტელსტარი | 3:1 |
| **ბელგია** | |
| მეხელენი-ანდერლეხტი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| ბრაგა-ფეირეირა | 5:2 |
| **უელსი** | |
| ბანგორი-ბალა | 2:1 |
| **უკრაინა** | |
| ობოლონი-ტავრია | 1:3 |
| **პოლონეთი** | |
| პოდბესკიძე-ბელხატოვი | 1:0 |
| ვისლა-პოლონია | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| ტარგუ-ბრაშოვი | 0:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კერიკი-დონეგალი | 1:2 |
| **ავსტრალია** | |
| ბრისბენი-მელბურნი ჰ | 1:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| შოლე-პარიზი | 87:94 |
| ვილერბანი-ორლეანი | 71:73 |

**ხელბურთი**

| | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| გერმანია-ანგოლა | 22:25 |
| კოტ დ'ივუარი-ურუგვაი | 31:24 |
| იაპონია-კუბა | 32:24 |
| ესპანეთი-ავსტრალია | 39:9 |
| დანია-შვედეთი | 20:19 |
| ნორვეგია-ჩერნოგორია | 28:27 |
| საფრანგეთი-რუმინეთი | 39:20 |
| ჰოლანდია-ს. კორეა | 26:38 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ცსკა | 3:2 |
| ავტომობილისტი-ტრაქტორი | 1:2 |
| მეტალურგი (მ)-დინამო (მნ) | 3:2 |
| იუგრა-ლევ პოპრადი | 4:2 |
| სკა-აკ ბარსი | 1:4 |
| ატლანტი-ს. იულიაევი | 1:5 |
| დინამო (რ)-ნეფტიხიმიკი | 2:5 |
| **[illegible]** | |
| ალბა-ვენა | 6:2 |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 1:4 |
| გრაცი-ზალცბურგი | 2:3 |
| ლინცერი-აკრონი | 5:2 |
| ოლიმპია-ზაგრები | 3:5 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-კიოლნი | 1:4 |
| აუგსბურგი-აისბარენი | 0:1 |
| დიუსელდორფი-მიუნხენი | 3:2 (ო) |
| ინგოლშტადტი-შტრაუბინგი | 7:4 |
| იზერლონი-ვოლფსბურგი | 0:3 |
| კრეფელდი-ნიურნბერგი | 1:4 |
| მანჰაიმი-ჰანოვერი | 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-სლოვანი | 2:3 (ბ) |
| მარტინი-ტრენჩინი | 0:1 (ბ) |
| სკალიცა-პოპრადი | 4:1 |
| ბისტრიცა-ნიტრა | 6:3 |
| კოშიცე-ზვოლენი | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-იუვიასკიულა | 3:1 |
| კერპეტი-იოკერიტი | 1:2 |
| ლუკო-ჰპკ | 5:1 |
| პელიკანსი-ილვესი | 3:2 (ო) |
| საიპა-კალპა | 0:4 |
| ტაპარა-ესეტი | 3:1 |
| ჰიფკ-ტპს | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ზლინი | 0:1 |
| კლადნო-კარლოვი ვარი | 4:1 |
| ლიტვინოვი-ბრნო | 3:2 (ბ) |
| პარდუბიცე-სპარტა | 8:2 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 0:5 |
| ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 2:4 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-დავოსი | 2:0 |
| კლოტენი-ბილი | 2:1 |
| ლანგნაუ-ლუგანო | 2:5 |
| ფრიბურგი-რაპერსვილი | 3:4 |
| ცუგი-სერვეტი | 2:3 (ბ) |
| ციურიხი-ამბრი პიოტა | 2:3 (ბ) |

## TV პროგრამა

### 10 დეკემბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ჰერტა-შალკე.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. XV ტურის წინ.
**12:30** ესპანეთის ჩემპიონატი. XVI ტურის წინ.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** ესპანეთის სუპერთასი. რეალი-ბარსელონა.
**16:00** ესპანეთის სუპერთასი. ბარსელონა-რეალი.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVII ტურის წინ.
**18:30** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტურის წინ.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. არსენალი-ევერტონი (LIVE).
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVI ტური. ლევანტე-სევილია (LIVE).
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVI ტური. ბეტისი-ვალენსია (LIVE).
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVI ტური. რეალი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:45** ტელეჟურნალი – გზა ლონდონისკენ
**12:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის სეზონის ფინალური მატჩები. როჯერ ფედერერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. ინდიან უელსი. აშშ.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. გალათასარაი-მონტეპასკი.
**17:15** სუპერკოლაჟი.
**17:30** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ვერდერი-ვოლფსბურგი (LIVE).
**20:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის სეზონის ფინალური მატჩები. რაფაელ ნადალი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. მაიამი. აშშ.
**23:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XV ტური. ინტერი-ფიორენტინა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
**13:00** ფეხბურთი.
**15:00** ჩემპიონთა რბოლა.დუსელდორფი. 03.12
**17:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. კონახტი-გლოსტერი (LIVE).
**19:40** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სკარლეტსი-მანსტერი (LIVE).
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**22:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XVII ტური. სოშო-პსჟ (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XVII ტური. მარსელი-ბორდო (LIVE).

**I არხი**

**14:00** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

### 11 დეკემბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVI ტური. რეალი-ბარსელონა
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVII ტური. მარსელი-ბორდო.
**16:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
**18:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი (LIVE).
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. შტუტგარტი-ბაიერნი (LIVE).
**22:30** არგენტინის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. XV ტური. ნოვარა-ნაპოლი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის სეზონის ფინალური მატჩები. რაფაელ ნადალი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. მაიამი. აშშ.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. რეალი-მაკაბი.
**17:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XV ტური. ბოლონია-მილანი (LIVE).
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. სტოკი-ტოტენჰემი (LIVE).
**22:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სარასენი-ოსპრეი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტური. ველესი-რასინგი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი . ATP. ვაშინგტონი.მონფილსი-იზნერი 1/2ფინალი
**12:30** ჩემპიონთა რბოლა.დუსელდორფი. 04.12
**15:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სარასენი-ოსპრეი.
**16:45** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბეთი-ლენსტერი (LIVE).
**18:45** სუპერკოლაჟი.
**19:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. კლერმონი-ლენსტერი (LIVE).
**21:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. რეალი-მაკაბი.
**22:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XVII ტური. ლორიანი-ლიონი (LIVE).

**I არხი**

**17:55** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-კოლხეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# ოსკარს ამირ ხანისა სწამს


ოსკარ დე ლა ჰოია

**ოსკარ დე ლა ჰოიას** სწამს, რომ **ამირ ხანი** მის კვალს გაჰყვება და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი „წონიდანწონაში“ გარდამავალი მოკრივე გახდება. 38 წლის ვეტერანი თავადაც ამით გახლდათ ცნობილი - ჯერ ერთ წონაში გახდებოდა ჩემპიონი, შემდეგ მეორეში. უფრო ზუსტად, მან ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში ათი ტიტული მოიგო.

„ოქროს ბიჭად“ წოდებული დე ლა ჰოია, რომელიც, სხვათა შორის, ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონიც გახლავთ, დღეს ამირ ხანის პრომოუტერი და მენტორია. მექსიკური წარმოშობის ამერიკელი დარწმუნებულია, რომ ინგლისელი უკვე მზად არის **ფლოიდ მეივეზერის** დასამარცხებლად. სხვათა შორის, დე ლა ჰოია ფლოიდის პრომოუტერიცაა და ძალიან უნდა ის **მენი პაკიაოს** დაუპირისპიროს, მაგრამ თუ ამ იდეას ხორცი ვერ შეასხა, მაშინ მეივეზერს ხანთან აჩხუბებს.

შეგახსენებთ: ფლოიდ ჯოი მეივეზერი 34 წლის ამერიკელი მოკრივეა. ის გახლავთ ხუთი სხვადასხვა წონითი კატეგორიის შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონი. ჟურნალმა „რინგმა“, რომელსაც ყდაზე „კრივის ბიბლია“ აწერია, ამერიკელი ორჯერ დაასახელა წლის საუკეთესო მოკრივედ. პროფესიულ კრივში ის ჯერ არ დამარცხებულა.

დე ლა ჰოია, რომელმაც ალკოჰოლურ დამოკიდებულებას სძლია და ბიზნესს დაუბრუნდა, ამბობს: *„თუ პაკიაოსთან ბრძოლას ვერ მოვაწყობ, მაშინ ფლოიდსა და ამირს დავაჯახებ ერთმანეთს. ალბათ, შემეკითხებით, მზად არის თუ არა ამირ ხანი ფლოიდ მეივეზერთან საჩხუბრად. გიპასუხებთ: ის ნებისმიერ მეტოქესთან საბრძოლველად არის მზად. ამბობენ, რომ ამირი ფლოიდის ცნობილ კონტრდარტყმებისგან ვერ დაიცავს თავს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ“.*

ამის შემდეგ „ოქროს ბიჭმა“ 25 წლის ხანი განსაკუთრებული კომპლიმენტებით შეამკო:

*„ამირი ჩემს ახალგაზრდობას მაგონებს. ის ენერგიით ალსავსე მოკრივეა. მოწინაალმდეგეებს დიდი ზეწოლის ქვეშ აქცევს. ფლოიდიც ძალიან ძლიერია. ის დაცვით სტილს ფლობს და, რასაკვირველია, თუ ამირს შეხვდება ორი ან სამი კომბინაცია შეიძლება ჩაუტაროს, რომელთა შედეგადაც ალბათ, რამდენჯერმე მისცხებს კიდეც, მაგრამ ხანი მთელი ბრძოლის განმავლობაში მეტოქეებს იმდენს და ისე სწრაფად ურტყამს, რომ მისი მუშტების თავიდან არიდება უძნელესი საქმეა. ამირი ფლოიდისთვის ნამდვილი პრობლემა იქნება“.*

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დე ლა ჰოიას ხალხის მოთხოვნაც კარგად ესმის. კრივის მოყვარულებს, უპირველეს ყოვლისა, მეივეზერის და პაკიაოს ჩხუბის ნახვა აინტერესებთ, თუმცა, „ოქროს ბიჭის“ მტკიცებით, ამ ბრძოლას, რომელიც არ არის გამორიცხული 5 მაისს გაიმართოს, მოწინააღმდეგეც ჰყავს. ეს 32 წლის ფილიპინელის (სხვათა შორის, თავისი ქვეყნის კონგრესმენის) პრომოუტერი **ბობ არუმი** გახლავთ.

*„ბობ არუმი დედამიწის ზურგზე ერთადერთი ადამიანია, რომელსაც არ უნდა მეივეზერისა და პაკიაოს ბრძოლა გაიმართოს. არადა, ჩვენ ვცდილობთ ორგანიზება გავუკეთოთ იმას, რასაც მთელი მსოფლიო ელოდება.*

*ასეთი ბრძოლების მოწყობას სამი თვე მაინც სჭირდება, ამიტომაც კარგი იქნება, მენი არუმს რაც შეიძლება მალე თუ შეხვდება და მოელაპარაკება. სასურველია, ეს შეხვედრა ამირ ხანისა და ლემონტ პიტერსონის ბრძოლის შემდეგ ერთ-ორ დღეში გაიმართოს. თუ ხანისა და პიტერსონის ბრძოლა ისე დამთავრდება, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, მაშინ, შესაძლოა, პაკიაო მეივეზერის ნაცვლად ამირს შევახვედროთ“.*

ამბობენ, რომ ზემოხსენებული ბობ არუმი მეივეზერთან ბრძოლის ჩაშლას კი არ ცდილობს, არამედ მასთან უშუალოდ უნდა მოლაპარაკება და თუ პაკიაოსთან ბრძოლის შესახებ დე ლა ჰოიას ზურგს უკან გაურიგდება, „ოქროს ბიჭი“ თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ფულიანი ჩხუბის მიღმა დარჩება.

**ილია ბაბუნაშვილი**

● ქვირის ბოლოს


უკომენტაროდ

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● ფორმულა 1

# პეტროვი რენოდან გააგდეს

## 2012 წელს კიმი რაიკონენის პარტნიორი რომენ გროსჟანი იქნება

ოფიციალურად გადაწყდა, რომ ფრანგი **რომენ გროსჟანი** "ლოტუს-რენოში" რუს **ვიტალი პეტროვს** შეცვლის და 2012 წელს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის – ფინელი **კიმი რაიკონენის** პარტნიორი გახდება.

ფრანგული საჯინიბოს ოფიციალურ პრესრელიზში წერია, რომ წელს GP2-ის სერიის გამარჯვებულმა გროსჟანმა "ლოტუს-რენოსთან" თანამშრომლობით და მესამე პილოტის ფუნქციების შესრულებით სასარგებლო გამოცდილება მიიღო.

*"აღელვებული ვარ იმით, რომ 2012 წელს ფორმულა 1-ის ერთ-ერთი საპრიზო პილოტი ვიქნები. მადლობას ვუხდი გუნდს ამ შესაძლებლობისთვის და მოხარული ვარ იმით, რომ ვბრუნდები "სამეფო რბოლებში" მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონთან ერთად. ეს დამეხმარება ოსტატობის დონის ამაღლებაში"*, - აღნიშნა გროსჟანმა.


რომენ გროსჟანი

თავის მხრივ, გუნდის დირექტორმა **ერიკ ბულიემ** მადლობა გადაუხადა ვიტალი პეტროვსა და ბრაზილიელ **ბრუნო სენას** 2011 წელს გუნდის განვითარებისთვის შეტანილი წვლილისთვის.

ამ ტრანსფერით პილოტთა ბაზარზე ერთი ვაკანსიით ნაკლები დარჩა, თუმცა რამდენიმე გუნდს ჯერ არ შეუდგენია შემადგენლობა 2012 წლისთვის: "უილიამსს" არ დაუსახელებია **პასტორ მალდონადოს** მეწყვილე, "ფორს ინდიაში" ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ **პოლ დი რესტას** თანაგუნდელის თაობაზე, თუმცა დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს იქნება გერმანელი **ნიკი ჰიულკენბერგი**.

ასევე მოსალოდნელია სხვადასხვა გუნდში გადაადგილებები. ასე მაგალითად, შვეიცარიული გაზეთი "ბლიკი" წერს, რომ "ზაუბერი" იაპონელი **კამუი კობაიაშის** გაშვებას აპირებს. გამოცემის ინფორმაციით, გუნდში იმედგაცრუებული არიან იაპონელის წლევანდელი შედეგებით. მან კარგად დაიწყო სეზონი, მაგრამ საბოლოოდ, ვერ დაეხმარა გუნდს კონსტრუქტორთა თასზე მეექვსე ადგილის მოპოვებაში.

**გია თვალაბეიშვილი**

● ჩოგბურთი

# კიმის ტრიუმფალური დაბრუნება


კარო და კიმი

„დიდი სლემის“ ტურნირების ოთხგზის ჩემპიონი, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** ტრავმით გამოწვეული ოთხთვიანი პაუზის შემდეგ ტრიუმფით დაბრუნდა კორტზე. მან ბელგიის ქალაქ ანტვერპენში ორ სეტში დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** - 6:2, 7:6(5).

პირველ სეტში კლაისტერსი მთლიანად დომინირებდა კორტზე და 10 ათას გულშემატკივარს წარმატებული შეტევებით ახარებდა. შედეგად, ბელგიელმა 5:0 დაწინაურება შეძლო და პარტიის ბედი გადაწყვეტილი იყო.

მეორე სეტში დანიელმა მოუმატა თამაშს, კიმი კი პირიქით, უფრო ხშირად ცდებოდა. ამასთან, ჩოგბურთელებს არ ავიწყდებოდათ, რომ საჩვენებელ მატჩს თამაშობდნენ: ისინი ცდილობდნენ გაეხალისებინათ პუბლიკა ბადესთან ხშირი გასვლებით და გრძელი გათამაშებებით. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელშიც კლაისტერსი 5:0-ს იგებდა, მაგრამ ვოზნიაცკიმ ზედიზედ ხუთი ქულა აიღო და ანგარიში გაათანაბრა. მიუხედავად ამისა, კლაისტერსმა ბადესთან მორიგი გასვლითა და ზუსტი დარტყმით მოიგო შემოკლებული გეიმი - 7:5.

ორი კვირის შემდეგ კლაისტერსი ავსტრალიაში გაემგზავრება, სადაც ახალი სეზონისთვის გააგრძელებს მზადებას. შეგახსენებთ, რომ კიმმა ავსტრალიის ღიაზე ტიტული უნდა დაიცვას.

*„ჩემი აღდგენითი პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს. ახლა მზად ვარ ჩავჯდე თვითმფრინავში და ავსტრალიაში გავემგზავრო. ამ მატჩის ჩატარებით ძალიან ვისიამოვნე და ცოტათი გავიხალისე ყოველდღიური ვარჯიშებით დატვირთული დღეები.*

*პირველ რიგში უნდა ვიმუშაო თამაშის ხარისხის ამაღლებაზე. ვცდილობ მოწოდების გაუმჯობესებას, რადგან ბოლო დროს ეს იარაღი ხშირად მღალატობდა. დღეს ფიზიკურად ბრწყინვალედ ვგრძნობ თავს - შესაძლოა, ყველაზე კარგად მთელი კარიერის განმავლობაში“*, - განაცხადა კლაისტერსმა.

**გია თვალაბეიშვილი**

● სამთო-სათხილამურო სპორტი

# კოსტელიჩმა პირველი მოიგო

ამერიკის კურორტ ბივერ კრიკში გაგრძელდა მსოფლიოს თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. მორიგი დღე მამაკაცებს დაეთმოთ - პირველად ამ სეზონში პირველობა გათამაშდა სპეციალურ სლალომში.

ამ დისციპლინაში გამარჯვებული ორი ცდის ჯამში ირკვევა და პირველი დაშვების შემდეგ ლიდერობა ავსტრიელმა **მარსელ ჰირშერმა** მოიპოვა. მან დისტანცია 54.5 წამში დაფარა, თუმცა კონკურენტებთან უპირატესობა მინიმალური იყო და ყველაფერი მეორე ცდას უნდა გადაეწყვიტა.

მეორე ცდა კი ყველაზე უკეთ მსოფლიოს თასის მოქმედ მფლობელს, ლეგენდარულ ხორვატ **ივიცა კოსტელიჩს** გამოუვიდა. ამ უკანასკნელს ბივერ კრიკის ტრასასთან ცუდი მოგონებები აკავშირებს - თავის დროზე ის დისტანციაზე დაეცა და ცხრა ნეკნი გაიტეხა. მაგრამ ახლა ყველაფერი წესრიგში იყო. ხორვატმა ვარსკვლავმა საუკეთესო დრო აჩვენა არა მხოლოდ მეორე ცდაზე, არამედ ორი ცდის ჯამშიც და კარიერაში მსოფლიოს თასის მე-19 ეტაპი მოიგო.

რაც შეეხება ჰირშერს, მას მეორე ცდა არ გამოუვიდა და არა მხოლოდ პირველი ადგილი, არამედ მეორე პოზიციაც დაკარგა და პოდიუმის მესამე საფეხურზე აღმოჩნდა. მან წინ გაუშვა იტალიელი **კრისტიან დევილი**, რომელიც ამ ეტაპის სენსაცია აღმოჩნდა. აპენინელი 30 წლისაა და მხოლოდ ახლა მოიპოვა კარიერაში პირველი პოდიუმი. ორი ცდის ჯამში ის 14 მეასედი წამით ჩამორჩა კოსტელიჩს.

ხორვატისთვის ეს პირველი წარმატება სეზონში, ამიტომაც მხოლოდ მეცხრე ადგილზეა საერთო ჩათვლაში. გენერალურ კლასიფიკაციას სათავეში უდგას ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი**, მეორეა ამერიკელი **ტედ ლიგეტი** და მესამე - **მარსელ ჰირშერი**.

**გია თვალაბეიშვილი**


კრისტიან დევილი

